მ ა ტ ი ა ნ ე

ჟურნალი გამოდის 1989 წლიდან, 7 აპრილი, 2017წ. №1-2 (19-20)

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი-
– ეროვნული აღორძინების"
თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

ზვიად გამსახურდიას მიმართვა 1991 წლის 9 აპრილს მთავრობის სასახლის წინ მიტინგზე დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით

ძვირფასო ძმანო და დანო!

დე, იყოს ეს დღე დასაწყისი ქართველი ერის კონსოლიდაციისა, ერთ მუშტად შეკვრისა -- შინაური და გარეშე მტის წინააღმდეგ.

დღევანდელი დღე ცრემლნარევი სიხარულის დღეა. მართალია ჩვენ ცრემლი არ შეგვშრობია თვალზე -- 9 აპრილს წამებულთა გლოვა, სამაჩაბლოში წამებულთა გლოვა დღესაც გრძელდება, მაგრამ უფალმა მოგვივლინა ეს დღე ვითარცა დღე ცრემლნარევი სიხარულისა.

ასეთი იყო საქართველოს ისტორია, ძვირფასო მეგობრებო. ეს იყო ცრემლნარევი სიხარული, ეს იყო ეკლიანი გზით სვლა ჭეშმარიტებისაკენ, საღვთო სიყვარულისაკენ. საქართველოს გზა ეკლიანი გზაა ქრისტესი, ჯვარცმისა, დაფვლისა და გარდაუვალი აღდგომისა.

ამ დღეს დიდი დაფიქრება გვმართებს, დიდი ურთიერთ სიყვარული, დიდი პატიება, ურთიერთ მიტევება - რამეთუ არ არს კაცი, რომელიც ცხოვნდეს და არა სცოდოს.

ამავე დროს, მეგობრებო, ჩვენ უნდა ვიყოთ რეალისტები. მართალია ჩვენ იურიდიულად აღვადგინეთ საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ საქართველოს საბოლოო განთავისუფლებამდე ჯერ შორსაა. გავხედოთ იმ მძიმე გზას რომელიც გველოდება და მოითხოვს ჩვენგან დიდ დარაზმულობას, შრომას, ურთიერთსიყვარულს, ურთიერთგატანას ამ მძიმე გზაზე, ამ ძნელბედობის ჟამს.

ჩვენმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გამოიღო თავისი ნაყოფი. იგი დაგვირგვინდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით. ჩვენმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გააერთიანა არა მხოლოდ ქართველი ერი, არამედ საქართველოს არაქართველი მოსახლეობა! ამიერიდან ისინი ჩვენი ძმები არაიან, ისინი ჩვენთან არიან, ჩვენთან ერთად იბრძვიან საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და საქართველოს რესპუბლიკა მიიღებს მტკიცე საკანონმდებლო საფუძვლებს ყველა ეროვნების წარმომადგენლობათა შორის ჭეშმარიტი ძმობისა და მეგობრობის შესახებ, მათი უფლებრივი გარანტიების შესახებ საქართველოში.

პირველ რიგში მეგობრებო როგორც გამოვაცხადეთ სესიაზე - საქართველო მტკიცე კონსტიტუციურ გარანტიებს მისცემს აფხაზ ხალხს, რომელთან ჩვენი ისტორიული ძმობა საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს. აფხაზთა და ქართველთა სამეფო ერთიანი სახელმწიფო კვლავ აღდგება, ქართველთა და აფხაზთა მეგობრობა დაეფუძნება აფხაზეთის უდიდესი შვილების გიორგი შარვაშიძის, არზაყან ემხვარის და სხვათა მამულიშვილურ, პატრიოტულ გზას და გააერთიანებს ჩვენს მომმე ერებს. საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელი, რომელიც იარაღით ხელში არ იბრძოლებს ჩვენს წინააღმდეგ მიიღებს საქართველოს მოქალაქეობას!

აი, ასეთია მეგობრებო ჩვენი გადაწყვეტილება. დღეიდან საქართველო, მეგობრებო, მიმართავს მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებს რათა დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი მსოფლიოს თავისუფალ ერთა თანამეგობრობაში.

ძვირფასო ძმებო და დებო! დღევანდელი დღე მოიტანა 9 აპრილს დანთხეულმა სისხლმა. შემთხვევითი როდია, რომ დღევანდელ დღეს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ისინი წინასწარმეტყველნი იყვნენ -- მათ წინასწარმეტყველურად დასთხიეს სისხლი აქ, ამ ადგილას, რამე თუ უწყოდნენ რომ სწორედ აქ გამოცხადდებოდა დამოუკიდებლობა და სწორედ 9 აპრილს!

წუთიერი დუმილით პატივი ვცეთ დაღუპულთა ხსოვნას!

გილოცავთ 9 აპრილს - საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

9 აპრილი არის გმირული ბრძოლისა და ამ ბრძოლაში გამარჯვების დღე!

დიდება სამშობლოსათვის დაღუპულ გმირებს!

მოიხსენიე, უფალო, სულნი გარდაცვალებულთ მონათა შენთა! ამინ!

1991 წლის **9** აპრილს საქართველოში აღსდგა არა მხოლოდ ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, არამედ **– 1918-21** წლების კანონიერი ხელისუფლების სამართალ-მემკვიდრეობაც. უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ მოხერხდება ქართველთათვის ნიშნეული ცხოველი მორწმუნეობის აღორძინების გარეშე, ზნეობრივი აღორძინების გარეშე **–** ამას ადასტურებს საქართველოს წარსულიცა და აწმყოც.

ამიტომაც, დღესაც, კვლავ ომახიანად ისმის ზვიადი სიტყვები:

,,... ქართველო ერო, შენ წინაშე არის ორი გზა, შენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მივიდა გზა-გასაყართან. აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა სიწმინდისა, ზნეობისა. აი, გზა დემოკრატიისა. აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და აი, ყაჩაღობისა და მზაკვრობისა. აი, გზა ტერორიზმისა! აირჩიე, ქართველო ერო, აირჩიეთ, ქართველებო, აირჩიეთ ქრისტეს გზა და კეთილის გზა, აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს. და ვინც წავა წარწყმედის გზით, ბარაბას გზით, შეჩვენებულ იყოს უკუნისამდე.

ჩვენ, ძმანო, ვდგავართ პირისპირ სატანასთან, გველეშაპთან. ან ჩვენ დავამარცხებთ მას წმინდა გიორგის ძალისხმევით, ან ის შთანთქავს ჩვენს ისტორიულ ბედ-იღბალს და გაგვთელავს ჩვენ ეს კოსმიური გველეშაპი, ეს პლანეტარული მხეცი, ანტიქრისტე, რომელიც წარმოგვიდგა და გვეუბნება: აი, ეროვნული მოძრაობაო, და ეროვნული მოძრაობის ნიღბით და საფარით მოდის ანტიქრისტე, მოდის ბარაბა და მოდის შეჩვენება...".

ღმერთთან დრო არ არის!

ღმერთი დროსა და თარიღებზე აღმატებულია!

ღვთის იმედად ყოფნა აუცილებელია, მაგრამ არც ჩვენ არ უნდა ჩამოვუშვათ ხელები.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

საქართველომაც პირუთვნელად უნდა აღასრულოს თავისი სულიერი მისია კაცობრიობის წინაშე!

დღესაც, ბრძოლით ხელახლა უნდა მოვიპოვოთ სამართლიანობაც, თავისუფლებაცა და კეთილდღეობაც. ბრძოლის გარეშე კი, ვერავინ ვერაფერს მოიპოვებს. საქართველოს იხსნიან მისი საუკეთესო, თავდადებული და თავგანწირული შვილები.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

ღმერთმა დალოცოს ქართველობა!

ღმერთი შეგვეწიოს ყველას!

ამინ!

საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით (№ 08042017/2) დაარსდა და შემოღებულ იქნა „საქართველოს გმირის" წოდება და „საქართველოს გმირის ორდენი"

საქართველოს გმირები

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა

1989 წლის 9 აპრილს დაღუპულები

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით (№ 08042017/2) „საქართველოს გმირის" წოდება მიენიჭათ და „საქართველოს გმირის ორდენით" დაჯილდოვდნენ:

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამფუძვნებლებს - საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბატონ ზვიად გამსახურდიასა და ბატონ მერაბ კოსტავას, ასევე,1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთ: აზა ადამიას, ნათია ბაშალეიშვილი, ეკა ბეჟანიშვილი, ვენერა მეტრეველი, ნატო გიორგაძეს, თამუნა დოლიძეს, თინა ენუქიძეს, ნინო თოიძეს, ზაირა კიკვიძეს, მანანა ლოლაძეს, თამარ მამულაშვილს, მამუკა ნოზაძეს, ნანა სამარგულიანს, მარინე ჭყონია-სამარგულიანს, ელისო ჭიპაშვილს, თამარ ჭოველიძეს, მზია ჯინჭარაძეს, ნოდარ ჯანგირაშვილის, მანანა მელქაძეს, გია ქარსელაძეს, შალვა ქვასროლიაშვილს.

ბარსელონას ოლიმპიური თამაშები და საქართველოს საუკუნის დიპლომატიური კურიოზი

ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე დამოუკიდებელი ქვეყნის სახით საქართველოს მონაწილეობა - უფრო სწორად კი - მცდელობა მონაწილეობისა, იმდენად არაორდინალურსა და მსოფლიოს სტრუქტურული წესრიგიდან ამოვარდნილი მეთოდით მოხდა, რომ მისი განხილვა და ჯეროვანი გაგება ყოვლად შეუძლებელია ამავე მსოფლიო სტრუქტურულ წესრიგში საქართველოს ადგილის გამოყოფისა, თუ დამკვიდრების პროცესის ფუნდამენ-ტალურად გააზრებისა და გაანალიზების გარეშე. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტში (სოკ-ში) გაუწევრიანებელი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ-ის) მესვეურებმა მოახერხეს და იმდენად სწორი და კარგი ურთიერთობა ჩამოაყალიბეს სოკ-თან, იმდენად დიდი კეთილგანწყობა და სწორი საორგა-ნიზაციო პოზიცია მოიპოვეს, რომ სოკ-ში საქართველოს არავითარი პრობლემა აღარ შეხვდებოდა. მაგრამ, ჩვენი ოლიმპიური პრობლემის სრული ასი პროცენტი მოიაზრებოდა გაერო-ში, სადაც ასევე კარგად ჩამოყალიბებული საქართველოს პოზიცია სპეციალურად და მიზანმიმართულად იქნა განადგურებული და ამ განადგურებაში სატანური გენიის იმხელა სიმძლავრე ჩაიდო, როგორი შემთხვევებიც ალბათ კაცობრიობის ისტორიაში თითებზე ჩამოსათვლელია. ამ საკაცობრიო პრეცენდენტს ჯერჯერობით თვალსა და ყურს არიდებს მთელი მსოფლიო და მას (პრეცენდენტს) ჯერჯერობით არც გაერო-ს მიერ და არც სხვა, რომელიმე დონეზე არ მისცემია ჯეროვანი შეფასება. ჩვენ კი, საქართველოს

- მიზანმიმართულად და მკვეთრად გამოვლენილი სახელმწიფო ნების შემთხვევაში შეგვიძლია, რომ ამ „შეფასებისთვის“ საჭირო კვლევა-ძიება და შესწავლა-გაანალიზება დავიწყოთ, სერიოზულ ფაზაში შევიყვანოთ იგი და ვაიძულოთ „წაყრუების რეჟიმში“ მყოფი მსოფლიო თანამეგობრობა ჩაერთოს ამ კვლევაში, რათა ბოლომდე მივიყვანოთ იგი, შეფასება მივცეთ მას და აღმოვფხვრათ მსოფლიო წესრიგის მოშლის პირველი მცდელობის პრეცენდენტი, რომელსაც ახლა უკვე ხილულ სახეში მეორე, მესამე და კიდევ არაერთი მცდელობაც მოჰყვა. ეს პროცესი არც გაჩერდება, თუ კი მისი სათავე არ გაიშიფრა. სათავე კი საქართველოში, სახელდობრ კი ედუარდ შევარდნაძის განსასვენებელშია.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და შედეგად თხუთმეტი დამოუკიდებელი ქვეყნის, სუვერენული სახელმწიფოს წარმოქმნის გადამწყვეტი დოკუმენტი, რომელსაც გაერო დაეყრდნო, არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 22 დეკემბრიდან - 23 დეკემბრამდე გადამსვლელი, ღამის 3 საათზე მიღებული დადგენილება, რომელსაც საიდუმლო გრიფი ადევს. საკითხავია, თუ რატომ ადევს მას საიდუმლო გრიფი, როდესაც ეს დოკუმენტი თავისი შინაარსორივი მნიშვნელობითა და აგებულებით - კონსტიტუციასავით ღია და გამჭვირვალეა?!

საიდუმლო გრიფის მიზეზი ერთადერთია და ის შემდგომში მდგომარეობს: დადგენილების პირველი სამი პუნქტიდან, პირველივე პუნქტი განეკუთვნება მხოლოდ საქართველოს და დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ მივიდა საქართველო დამოუკი-დებლობამდე. დაწვრილებით არის აღწერილი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საფუძ-ვლად მიღებული, უკლებლივ ყველა დოკუმენტი - ჯერ კიდევ მიღებამდე, გაერო-ში იქნა განხილული, მოწონებული, რეკომენ-დებული და შემდეგ კი, უკვე, ოფიციალურად ლიცენზირებული.

გაერო-ს წარმომადგენელთა ეგიდით მსოფლიოს დამკვირვებელთა ჯგუფებიც ოფიციალურად მონაწილეობდნენ ლიცენ-ზირების ფორმატით და ყოველი მათგანის ჩატარებისა და მიღების შემდეგაც, იმავე გაერო-ს სამსახურებისა და დარგობრივი კომისა-რიატების მიერ იქნა შეფასებული, როგორც ლიცენზიის შესრულების სრული ასი პროცენტით მოპასუხე დოკუმენტი.

ეს დოკუმენტები გახლავთ:

1) კანონი „მრავალპარტიული არჩევნების შესახებ“ რომელიც „მრგავლი მაგიდის“ მიერ იქნა მომზადებული, მიწოდებული გაერო-სადმი და მისი პასუხის შემდეგ

წარდგენილი - საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში;

2) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „საქართველოს პირველი მრავალპარტიული ჩატარების შესახებ“, რომელიც აგრეთვე „მრგვალი მაგიდის“ მიერ იქნა ინიცირებული;
3) დასკვნითი საოქმო დადგენილება საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების შედეგების შეჯამების შესახებ;
4) საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე სრულიად ეროვნული რეფერენდუმის შესახებ“;
5) დასკვნითი საოქმო დადგენილება რეფერენდუმის ჩატარების შედეგების შეჯამების შესახებ;
6) „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაცია“ – „დამოუკიდებლობის აქტი“;
7) კანონი „საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტის შესახებ“;
8) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“;
9) საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება „დროებითი ვადით საქართველოს პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევის შესახებ“;
10) დაკვნითი საოქმო დადგენილება საქართველოს პრეზიდენტის სრულიად ეროვნული საყოველთაო სახალხო არჩევნების ჩატარების შედეგების შეჯამების შესახებ".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ხსენებული დადგენილების პირველი პუნქტში, რომელიც მხოლოდ საქართველოს ეძღვნება, საფუძვლად მოყვანილია ზემოთ ჩამოთვლილი ათივე დოკუმენტი. ათივე მათგანს მუქი შრიფტით მიწერილი აქვს ერთიდაიგივე განმარტება - „აღიარებულია გაეროს მიერ“, ანუ „მრგვალი მაგიდის“ ინიციატივით გაერო-ს ეგზომმა აქტივაციამ განაპირობა ის, რომ ვერ იქნა წამოწყებული პოლიტბიუროს კულუარული გეგმა, ჯერ კიდევ სსრკ-ს შიგნით საქართველოს ოთხ რესპუბლიკად დაშლისა, რომელიც ანდრეი სახაროვის პირით იქნა გაჟღერებული: „Малая империя по замыслу сталина“. ათივე მათგანზე მკვეთრად არის კომენტარები ფორმირებული, რომ დოკუმენტი მომზადებული და ინიცირებულია მოქალაქეთა პოლიტიკური პარტიების გაერთიანება „მრგვალი მაგიდის“ მიერ. დაცვითი სისტემების არ არსებობის პერიოდში, „მრგვალი მაგიდის“ უაღრესად სწორმა და სერიოზულმა სახელმწიფოებრივმა მუშა-პოლიტიკამ წარუშლელი წარმატება მოიტანა. შემუშავებული დოკუმენტი არის უაღრესად მაღალკვალიფიციურად, უაღრესად ობიექტურად, ყოველმხრივ ამომწურავად და ცალსახად, არაორაზროვანი სტილოგრამატული სამართლებრივი დიპლომატიკის ენით შედგენილი. ცხადია, რომ ამ დოკუმენტით იხურებოდა ისტორიის ერთი სერიოზული წიგნი, რაც სათავეს უდებდა ისტორიის ახალი წიგნის დასაწყისსა და მსოფლიოს გარკვეულწილად შეცვლას .

დადგენილების მეორე პუნქტი ეძღვნება ბალტიისპირეთის სამ რესპუბლიკას. სარედაქციო ფართობით ის პირველი პუნქტის დაახლოებით ერთი მეოთხედია და საფუძვლად მოტანილია ერთად ერთი დოკუმენტი - მიხეილ გორბაჩოვსა და ჯორჯ ბუშს შორის კუნძულ მალტაზე გაფორმებული ხელსეკრულება, რომელიც „მალტის ხელშეკრულებად“ მოიხსენიება, რომელსაც არაოფიციალურ შეხვედრაზე არაოფიციალური დოკუმენტის სტატუსით მოეწერა ხელი და მასზე მიწერილია ასევე მუქი შრიფტით - „რეაგირებისა და კომენტარის გარეშე დატოვა გაერო-მ“.

დადგენილების მესამე პუნქტი კი დაახლოებით მეორე პუნქტის მოცულობისაა, მოიცავს მთელ დანარჩენ თერთმეტ პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკას. იგი ძალიან ზერელედ

აღწერს „ბელოვეჟის ხელშეკრულებას“ და ალმა-ატის „დსთ-ს დამფუძნებელ აქტს“, მასთან საფუძვლად ეს ორი დოკუმენტი მოჰყავს და ასევე მუქი შრიფტით მიწერილი აქვს მეორე პუნქტის განმარტების ზუსტი ასლი - „რეაგირებისა და კომენტარის გარეშე დატოვა გაერო-მ“.

გამოდის, რომ მოცემული დადგენილებაცა და გაერო-ს უკლებლივ ყველა დოკუმენტიც, ერთხმად აღიარებენ, რომ საქართველო დანარჩენ თოთხმეტ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკათაგან, ყოველ ნებისმიერ მათგანზე - ზუსტად ათჯერ (და ეს მხატვრული კი არა, მათემატიკური სიზუსტის შედარებაა...) უკეთ არის მზად დამოუკიდებლობისთვისა (ზუსტად ათი საფუძველი ათივე ცნობილი გაერო-ს მიერ..., დანარჩენებს კი თითო საფუძველი გაეროს-ს მიერ აღიარების გარეშე...) და გაერო-ს წევრობისთვის. ამას ემატება ისიც, რომ „მიღებას“, არამედ - ოკუპაციასა და ანექსიის შედეგად დაკარგულის „აღდგენას“, რამაც 1941 წელს ხელმოწერილი „ატლანტიკური ქარტიის“ მესამე პრინციპითაც (პუნქტითაც) უღიარა მსოფლიომ, რაც გაერო-ს შექმნის საფუძველთა საფუძვლად იქნა აღიარებული და რასაც სტალინმაც მიზანმიმართულად წაუყრუა.

სსრ კავშირში უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ხსენებული დადგენილება აღიარა გაერო-მ, რასაც მოჰყვა ავტომატურ რეჟიმში გაერო-ს უკლებლივ ყველა წევრი-ქვეყნის მიერ - ახლადწარმოქმნილი, პოსტ-საბჭოთა თხუთმეტი დამოუკიდებელი ქვეყნის, უკვე თხუთმეტი სუვერენული სახელმწიფოს აღიარება, თუმცა მიმდინარე დადგენილების საფუძვლების ნაწილში მხოლოდ საქართველოს საფუძვლები (სულ ათი საფუძველი) იქნა აღიარებული გაერო-ს მიერ და თანაც სრული სიმძლავრით, არც ერთი ხარვეზი არ იქნა მითითებული. ამ დროს კი, საქართველოს ეგზომ უმაღლეს დონეზე აღიარებულ, კანონიერ, ეგზომ უმაღლეს დონეზე ლეგიტიმურ - ხალხის სრული მხარდაჭერით მოსარგებლე, უკვე ე. წ. „ბუნკერში" მჯდომი ხელისუფება სამხედრო-კრიმინალური, სახელმწიფო გადატრიალების პროცესშია მიტოვებული, ხოლო გაერო-ს წევრი ქვეყნებისაგან საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყანას, სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარებათა მთელი რიგი ღვარად მოედინება და საქართველოს მთავრობის წევრები ამ „გამარჯვებას“ მტრის მიერ შერქმეულ ე. წ. „ბუნკერში" ულოცავენ ერთმანეთს.

ამ დროს კი ნიუ-იორკში მსოფლიოს მერვე საოცრება წარმოეს. თხუთმეტი პოსტსაბჭოთა ქვეყანა სცნო ასსამოცდა-თხუთმეტმა გაერო-ს წევრმა ქვეყანამ. გაერო-ს ქარტიის თანახმად მაშინდელი კვოტირების პრინციპით ასორმოცდახუთი წევრი-ქვეყნის მიერ აღიარებული ახალი სახელმწიფოს ცნობა-არცნობის საკითხი აღარ ექვემდებარებოდა განხილვას, რადგანაც განხილვა თეორიულად გათვილია ორი ერთმანეთის საპირისპირო შედეგზე: დაკმაყოფილება, ან უარის თქმა. გაეროს ასორმოცდახუთი წევრი ქვეყნის მიერ აღიარებული ახალი სახელმწიფოს - გაეროს მიერ აღიარებაზე კი, გაერო მკაცრად არის ვალდებული და მას უარის თქმის აღარავითარი მექანიზმი აღარ გააჩნია. ეს პრინციპი დღესაც უცველია და სავარაუდოდ, ის ვერც ვერასოდეს ვერ შეიცვლება. შეცვლილია მხოლოდ ციფრი. კვოტა - ასორმოცდახუთი, შეიცვალა კვოტით ასსამოცი. რა ხდება ჩვენს შემთხვევაში? გაერო იწვევს გენერალურ ასამბლეას, რომელიც ტარდება 1992 წლის 4 იანვარს და განიხილავს (რატომ? ეს ხომ ყველა მუხლით დაუშვებელი იყო?! . . .) პოსტსაბჭოთა სივრციდან წარმოქმნილი ახალი თხუთმეტი დამოუ-კიდებელი სახელმწიფოს ცნობა-არცნობის საკითხს, რომელსაც ესწრება ასსამოც-დათხუთმეტივე გაეროს წევრი-ქვეყანა, ასსამოცდათხუთმეტივე ადასტურებს თხუთ-მეტივე ახალი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს - აღიარებას, მაგრამ გაეროს უშიშროების საბჭო ამ აღიარებას აკმაყოფილებს თოთხმეტი ქვეყნის ნაწილში და მხოლოდ საქართველოს ნაწილში ადებს ვეტოს, რომელსაც არ ასაბუთებს და არც არავითარ ახსნა-განმარტებას არ გასცემს. ანუ, ბუნკერში

მჯდომი და ცეცხლში გახვეული საქართველოს ლეგიტიმური მთავრობა, სავარაუდოდ 5 იანვარს, ღებულობს გაერო-საგან შეტყობინებას, რომ საქართველო ჯერჯერობით სახელმწიფო არ არის, ის გაერო-ს დაფარვის ზონას არ წარმოადგენს, ნებისმიერ ქვეყანას, ან ქვეყანათა ჯგუფს შეუძლია საქართველოს ჩაყლაპვა, თუ დანაწილება, რადგანაც ჩამყლაპავ-დამნაწილებლები წინასწარვე გარანტირებულნი არიან, რომ გაეროს პრინციპები ვერ დაიცავენ ქვეყანას, რომელიც არ ასებობს. ის მხოლოდ დეპოლიტიზებული გეოგრაფიული ვაკუუმია. არავის არ ჩაეთვლება დანაშაულად, ოკუპაცია-ნაცრად ქცევა ქვეყნისა, რომელიც არ არსებობს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დაგვემარ-თებოდა სომხეთი და აზერბაიჯანი, სწორედ ამ დროს, ყარაბაღისა და ლაჩინ-ლენქორანის ცეცხლით, რომ არ ყოფილიყვნენ ურთერთ-თავწართმეულნი.

ისტორიაში ასეთი ანალოგი არც ყოფილა და სამწუხაროდ ამის შესახება ქართველ ერს დღესდღებითაც კი წარმოდგენაც არა აქვს, ხოლო ქართველი ერის დეგენერაცია-დეგრადირებაში დაინტერესებული მსოფლიოს ელიტა მიზანმიმართულად ფარავს და აყალბებს იმ დროის სინამდვილეს, რომელმაც ფაქტობრივად გადაწყვიტა კიდეც საქართველოს ყველა შემდგომ-დროინდელი მოვლენების ბედი და ამით უბედურება მოუტანა ჩვენს ქვეყანასა და ხალხს! . . .

ამ დროს, კი, უკვე ნათელია გაეროს ხუთი დამფუძნებელი, უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი-ქვეყანა და უშიშროების საბჭოში მჯდომი ხუთი საგარეო საქმეთა მინისტრი. ყოველი მათგანი სხვადასხვა სახის ვეტოს ინიციატორია და ფიქრობს დაითანხმოს დანარჩენი ოთხი. ვინ არის ამ დროს მათ შორის მჯდომი სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი? დიახ, ედუარდ შევარდნაძე, რომელიც, დანარჩენ ოთხთან ერთად, სსრ კავშირის დაშლა-გაუქმებას აწერს ხელს და თვითონ კი ხვალიდან თანამდებობის გარეშე უნდა დარჩეს! . . .

დანარჩენი ოთხისგან ვერც ერთი ვერ შესძლებს ყველაფრის წინააღმდეგ ეგზომ თავაშვებას, რადგანაც ყოველ მათგანს ზურგს უკან დგას სახელმწიფო, შესაბამისად - პასუხისმგებლობაცა და შეზღუდვაც. არცერთ მათგანს არა აქვს საშუალება ეგზომ თავაშვებისა, არც დაინტერესება და არც სხვა რაიმე მოტივაცია. მხოლოდ ის ერთია, რომელსაც ხვალიდან აღარ უდგას ზურგს უკან სახელმწიფო! . . . ვინ არის იმ ხუთ შორის ყველაზე მეტად დაინტერესებული? ვის შეეძლო ყოფილიყო ინიციატორი საქართველოს მიმართ ამ ყოვლად უსაფუძვლო და ყოვლად დაუშვებელ ვეტოზე? . . . ვინ დაითანხმა დანარჩენი ოთხი მინისტრი, ამ ყოვლად შეუძლებელსა და არავისათვის საჭირო ვეტოზე?

. . . თუმცა ვეტოს მხოლოდ ერთი ადებს. დანარჩენებს იურდიულად ისედაც არ შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ, მათგან მხოლოდ თანმხვედრი დუმილი და ტაქტიანი სიჩუმეა საჭირო. ვინ დაამადლიდა? . . . ვის სჭირდებოდა საქართველოს პრივატიზება საკუთარ საოჯახო კოოპერატივად? . . . ვის აჩუქეს, თუ დაუთმეს კოლეგებმა, საპენსიო ასაკში საცხოვრებლად და სათარეშოდ, ეს უფლისაგან ნაბოძები წალკოტი? . . . ყოველივე ამის „მოსაკვარახჭინებლად“ ვის სჭირდებოდა „მრგვალი მაგიდის“ მიერ ბრწყინვალედ წაყვანილი პროცესის პოლიტიკურ სირეგვნედ და ერის ღალატად წარმოჩენა? . . . ხოლო „მრგვალი მაგიდის“ მეთაურის კი, ,,პოლიტიკურად უმეცარ და ურა-პატრიოტ პროვინციალად წარმოჩენა? . . . ". ვინ მიაღწია იმას, რომ მსოფლიოს იმიჯმეიკერთა ფარული სიმძლავრეების შედეგად, დღევანდელ საქართველოშიც კი, ქართველთა საკმაოზე მეტ რაოდენობას - ედუარდ შევარდნაძე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დისიდენტი ჰგონია, ხოლო ზვიად გამსახურდია კი, ლამის, მამათის კომკავშირული უჯრედიდან აღმოცენებული კომპარტიის ცეკას მდივანი? . . . ვინ დააბრმავა ამ დონეზე და ეგზომ ულტრა-თანამედროვე მეთოდური ტექნოლოგიებით ერი და ბერი? ამ კითხვაზე პასუხი მსოფლიოს დიპლომატიისა და ისტორიოგრაფიის წამყვან მკვლევართა მუშა ჯგუფებმა და მსოფლიოს

პოლიტიკურმა გამოძიებამ აუცილებლად უნდა მოიკვლიონ, შეისწავლონ და დადონ დასკვნები. ამაზე ოდესმე ტომეულები დაიწერება.

გაერო-მ თავის მიერ აღიარებულ დარგობრივ მსოფლიო სტრუქტურებს (სოკ-ი, ინტერმედია, ინტერფოსტი, ვორლდინ-ტერპასპორტი, მსოფლიოს მეტეოროლოგიის სამსახური, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ჟურნალისტთა მსოფლიო ორგანიზაცია, იუნესკო, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის მსოფლიო ფედერაცია და სხვადასხვა . . .) დაუგზავნა თავისი აღიარება თოთხმეტი ახალწარმოქმნილი ქვეყნის შესახებ და მკვეთრი გამიჯვნა მათგან საქართველოსი, რომელიც ჯერჯერობით მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე არ არსებობს და ის მხოლოდ დეპოლიტიზირებული გეოგრა-ფიული ვაკუუმია. სოკ-მა გაერო-სგან მიიღო თოთხმეტიდან ყოველი თითოეული ახლადაღიარებული ქვეყნის სახელმწიფო კონსტიტუცია, განსაზღვრება სახელმწიფო ენისა, მოქალაქის პასპორტის დროებითი ბლანკები თავისი საკონტროლო მექანიზმით, დროშა, ჰიმნი, გერბი, გეოშიფრი და სავაჭრო და სამაკლერო ნიშნები. საქართველოს შესახებ კი სოკ-მა გაეროსგან მიიღო გზავნილი, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყოველივე ზემოჩამოთვლილი საქართველოს არ გააჩნია, რომ საქართველო ჯერჯერობით ქვეყანა არ არის, რომ ის გაერო-ს დაფარვის ზონაში არ იმყოფება და მასზე ვერც ერთი ზემო-აღნიშნული საერთაშორისო დარგობრივი სტრუქტურა თავის ფარვას ვერ განაგრძობს.

უმძიმეს დღეში ჩავარდა სოკ-ის პრეზიდენტი, ესპანეთის სამეფო საბჭოსა და კასტილიოს ლიოდე ბურბონის სასახლის დარბაზის წევრი, მისი უდიდებულესობა ხუან კარლოს ბურბონის სამეფო ელიტის წარმომადგენელი მარკიზ დე ხუან ანტონიო სამარანჩი. მას სსრ კავშირის ეროვნული ოლომპიური პრეზიდენტი ვიტალი სმირნოვისათვის, რომელიც ამავე დროს სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტიცაა - გაგზავნილი აქვს სტანდარტულისაგან განსხვავებული მოწვევის პაკეტი ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე. პაკეტი გულისხმობს თხუთმეტი რესპუბლიკის გამოცხადებას სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიურ კომიტეტის სამართალმემკვიდრედ და უფლება-მონაცვლედ, რომ ვიტალი სმირნოვი ბარსელონაში გაგზავნის თხუთმეტი ქვეყნის თხუთმეტ დელეგაციას და მათ კვალიფიცირებულ წარმომადგენლებს - თითოეული მათგანის ყველა ზემოთ-ჩამოთვლილი სახელმწიფო სიმბოლიკითა და ატრიბუტიკით. მათ ჩამონათვალში საქართველოც წერია. გარდა ამისა მარკიზი სიტყვიერადაც არის ვალდებული საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მესვეურთა წინაშე, რომელთაც მან, მოსკოვში, პირობა მისცა, რომ მათი პოზიცია გათვალისწინებული იქნება. ახლა კი გაერო-მ ყოველგვარი საერთაშორისო კანონმდებლობისა და პოლიტიკური ლოგიკის გარეშე „საქართველოს არარსებობა“ გამოაცხადა და თანაც იმ ერთადერთი მიზეზით, რომ საქართველომ დანარჩენ თოთხმეტ რესპუბლიკაზე ათჯერ უფრო მაღალი და უფრო სერიოზული პოლიტიკური კულტურა გამოავლინა, თუმცა დღემდე სრულიად საწინააღმდეგოში კი ვარწმუნებთ ერთმანეთს. საქართველო უკვე წელიწადზე მეტია ბარსელონასათვის დამოუკიდებელი ქვეყნის ამპლუაში ემზადებოდა და ეს ხდებოდა სამარანჩის, როგორც სიტყვიერი პირობის, ისე მყარად გაფორმებული იურდიული პაკეტის საფუძველზე. ქართველ სპორტცმენებს უკვე მოპოვებული აქვთ ოლომპიადის ლიცენზიები. როგორ ეკადრა, ან როგორ მოეხერხებინა მეფური სისხლის დიდგვაროვანს, მისთვის უკადრებელი ხერხით - საბაზრო ბირჟის მაკლერის მანევრით ქვეშიდან გამოძრომა? . . . რა ცინიზმი იქნებოდა?! . . . მის უდიდებულესობა ესპანელ მარკიზს ყოვლად უღირსი დავალება გაერო-დან, სწორედაც რომ მამათელმა პოლიტიკურმა თაღლითმა მოუგვარა.

სოკ-ში კვლავ ამოქმედდნენ ჯერ კიდევ გაუწევრიანებელი სოკ-ის მესვეურები, არაერთხელ დაანამუსეს ესპანელი მარკიზი მის

მიერ გაცემულ პირობაზე, არაერთგზის გამოიყენეს რუსთაველისეული სიბრძნე: „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“, მითუმეტეს, რომ სამარანჩი არამცდაარამც არ იყო გველი. ის ქართველებზე არანაკლებად ცდილობდა თავი აერიდებინა გველისაგან წამოსული გველური დავალებისათვის. შეთანხმდნენ, საქართველო ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან ერთად ჩვეულებრივ რეჟიმში გააგრძელებს პროცესში მონაწილეობას, საელჩოებისა და სასაზღვრო გადაკვეთების პროცედურებს ვიტალი სმირნოვი მწვანე შუქს მოუგვარებს, საქართველო ოლომპიადაში მონაწილეობას დაიწყებს და ყველანი იმედოვნებენ, რომ ოლიმპიადის დასრულებამდე, გაერო გააუქმებს ვეტოს, რომელმაც შეუძლებელია, რომ დიდხანს გაძლოს, იმდენად ყველაფრის წინააღმდეგ არის ის მიღებული. აი, მაშინ კი, სამარანჩს მიეცემა საშუალება, ასე ვთქვათ, „გაგვიპრავოს“ მონაწილეობა, რომელიც არაიურდიულად, უბრალო სიტყვიერი შეთანხმებისამებრ წარმოებს. არადა, თუ აღიარება ოლიმპიადის დასრულებამდე ვერ მოგვისწრებს, ოქმებიდან ისე ამოგვიღებენ, თითქოს იქ ფიზიკურადაც არ ჩავსულვართ.

ოლიმპიადა დაიწყო პროცესი მიდის, ქართველები მონაწილეობენ, გაერო აგვიანებს, სამარანჩი სიგიჟის ზღვარზეა. მთლიანად ამოღება ოქმიდან საქართველოსი აღარ გამოუვა, რადგანაც ქართველები ბარსელონას ოქროსა და ბრინჯაოს მედლებს ართმევენ. კეთილშობილ, მაგრამ მაინც მსოფლიო ავანტიურაში ჩათრეულ სამარანჩს თენგიზ გაჩეჩილაძე აწყნარებს და ისე ტექნიკურად სთავაზობს ახალ-ახალ პოზიციებს, როგორც იმერული „ცოლიკაურით“ სავსე ყანწებს. სამარანჩიც ვერ უძლებს მის „ენატკბილად მოუბარობას“ და თითო-თითო ნაბიჯით სულ უფრო და უფრო ღრმად ხდება მისი ჩათრევა „კვაჭისეულ ხაფანგში“. არც ემზარ ზენაიშვილი და პაატა ნაცვლიშვილი აკლებენ კვაწარახგადასმული გურული კვერივით ნუგბარ-ნუგბარ არგუმენტაციას. პოლიტი-კურად უკვე კარგად შეზარხოშებული სამარანჩი ცლის და ცლის - დამამშვიდებელი სიტყვებით სავსე ზესტაფონურ თიხის ფიალებს. ოლიმპიური ბახუსის საჭირო ფაზაში შესულ სამარანჩს არარსებული ქვეყნიდან მოვლენილმა არსებულმა ჩემპიონებმა ლერი ხაბელოვმა და კახი კახიაშვილმა - მეტაფიზიკურ მაგიდაზე თითო-თითო ფუთიანი დიპლომატიური მუშტიც დაურტყეს და თავთავიანთი არსებული ოქროს მედლების - არარსებული ქვეყნის არარსებული დროშითა და არარსებული ჰიმნით გაფორმებაც მოსთხოვეს. კვლავ სცადა წინააღმდეგობა მარკიზმა, მაგრამ კვლავ ამოქმედდა თენგიზიც და ისე გამოართვა დასტური, როგორც სოლომონ მორბელაძე გამოართმევდა საქორწინო ბეჭედს - დარისპანის კაროჟნასათვის. დარღვევებში ღრმად ჩათრეულ ღირსების დიდგვაროვანს, ალბათ თავისი ნათესავის, მეფე ხუან კარლოს ბურბონის მიმართვა გაახსენდა ჰუგო ჩავესისადმი მსოფლიოს ღია ტელე ეთერში: „უმორჩილესად გთხოვთ მოკეტოთ! „ჰოდა „კვაჭის ხაფანგში“ მოყოლილ სამარანჩსაც - აბა, „მოკეტვის“ მეტი რაღა დარჩენოდა? . . . მაინც აიწია ქაქუცას შინდისფერი დროშა, აჟღერდა კოტე ფოცხვერიშვილის „დიდება“. . . აენთო გაერო-ს მიერ ჯერ კიდევ ინტერ-პასპორტში დაუკვალი-ფიცირებული გეოშიფრი „GEO“ სეოკ-ელებმა შეუძლებელი შეძლეს და ნაწილობრივ მაინც დაიცვეს ყველაფერში წაგებული საქართველოს ღირსება.

აი, ასე შევასაღეთ შევარდნაძის მიერ მოტყუებული - გაბახებული „კაროჟნა“ ნავარიელ ბურბონთა ნათესავს. ასე, „გაგვიმასქნენ“ მზითვად სეოკ-ელებმა სამი ოქრო და ხუთი ბრინჯაო. ასე მოიჭყლიტა და მოისრისა სამარანჩი მამათელ ანტიქართველსა და ვითომ პროქართველ მამულიშვილებს შორის.

ეს მოხდა მაშინ როცა, საქართველო, დანარჩენი თოთხმეტი პოსტსაბჭოთა ქვეყნისაგან განსხვავებით, არც გაერო-ს წევრი იყო და არც დსთ-სი, არც სოკ-ის, სპორტის სახეობებში, არცერთი საერთაშორისო ფედერაციისა და სტრუქტურისა.

ის უბრალოდ - არ არსებობდა!

საუკუნის დიპლომატიური კურიოზი! . . .

აი, ასე, მოკლედ მოიხაზა იმდროინდელი საერთაშორისო სისტემური სქემა, რომელშიც საქართველოს მიზანმიმართულად დაეკეტა შესასვლელი და გარკვეული პერიოდის მანძილზე საქართველო არ წარმოადგენდა ქვეყანას.

სწორედ ამ დროს, ქვეყნის ვერაგი, გარე, თუ შიგა მტრების მიერ, დატრიალდა აფხაზეთისა და ეგრეთწოდებული „სამხრეთ ოსეთის“ სისხლიანი ტრაგედიები ეთნიკური წმენდებით, რასაც შემდგომ რუსეთის „ცისფერჩაფხუტიანი მშვიდობისმყოფელების“ ჩადგომა მოჰყვა - თავდაპირველად მხოლოდ დსთ-ს მანდატით (თუმცა საქართველო, ამ დროს, არც დსთ-ს წევრი არ იყო), რადგანაც გაეროს ქარტიის თანახმად სახმელეთო საზღვრის მქონე ქვეყანაში ეს გარნიზონი ვერ ჩადგებოდა.

საქართველო გაეროში მხოლოდ მას შემდეგღა გაწევრიანდა, რაც ყველაფერი დაკარგა, რაც დსთ-ს, როგორც სივრცე, ამ სივრცეში ხელოვნურად და მიზანმიმართულად არეულ-დარეული გეოპოლიტიკური ცეცხლის ზონებით, აღიარა გაერომ.

გაეროც იძულებული გახდა ამ რეალობას შეგუებოდა. ერთადერთი სფერო კი, იყო სპორტი, რომელშიც საქართველომ მხოლოდ ნაწილობრივ შესძლო დაეცვა თავისი პოზიცია.

მემატიანე

ა ჩ რ დ ი ლ ი

ერის ბედი წყდება „აქაც" და „იქაც" – მიწასა და ზეცაში, ღვთისა და ხალხის ნებით. ეს ნება ან ემთხვევა ერთმანეთს (როდესაც ერი ღმერთს მიჰყვება), ან - არა (როცა ერი ღვთისკენ მიმავალ გზას კარგავს).

ერის სული, იგივე ერის მითიური სუბსტანცია, ღმერთმა ხომ თავად სცნო გადარჩენის ღირსად. დიდ ილიას სურდა, რომ ერს ეცოცხლა, როგორც მთლიანობას, რომელიც გამჟღავნდებოდა მის ყოველ ნაწილში. ეს მთლიანობა კი ყველაზე მძაფრად თვით მის პიროვნებაში გამოიხატა, რომელიც გაიგივდა „აჩრდილთან" „მარად და ყველგან მყოფ უკვდავ სულთან".

სწორედ აჩრდილმა, უპირველეს ყოვლისა, შეგვამეცნებინა ჩვენც წარსულის, აწმყოსა და მომავლის, როგორც დაუცალკევებელი მთლიანობის, აუცილებლობა.

ის, რაც იყო, აღარ არის და რაც არის, აღარ იქნება (ეს გულისხმობს არა მხოლოდ ბიბლიურ სიბრძნეს, არამედ კონკრეტულ-რეალურ ვითარებასაც), მაგრამ, ამავდროულად, რაც იყო, ის უნდა დარჩეს, ის უნდა განმეორდეს, თორემ ერი დაიღუპება. ერის „აჩრდილი", რომელიც „მარად და ყველგანაა", მუდამ განმეორდება და გამოვლინდება (ოღონდ საჭიროა იმგვარი ცხოვრება, რომ შესაძლებელი გახდეს მისი „დანახვა" „გზნება").

განმეორება გულისხმობს წინაპართა მსგავსად ცხოვრებას. ერი უნდა ერობდეს, რაც, უპირველესად, გულისხმობს მამულისა და რჯულისათვის ბრძოლას.

მისი უდიდებულესობა ერი წარმოდგება, როგორც მატერიალურისა და სულიერის ერთობა. ერი ვეღარ „მიემსგავსება" წინაპარს („ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს". „არ ვიცით, რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ - რანი ვართ, ვერ გამოგვისახია - რანი ვიქნებით! ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის" („რა გითხრათ? რით გაგახაროთ?"), წარსულსა და და აწმყოს შორის გაწყვეტილია კავშირი, რაც ერისთვის თვითმკვლელობას ედარება.

დღეს ქვეყანა ავსებულია უსამართლობით, განუკითხაობით, ურწმუნოებით, გამქრალია ქართველი ერის სიმყარის განმაპირობებელი „ჯვარცმული ღმერთის" რწმენა.

„რაღა დაბადავს თქვენში დიდს გრძნობას?" - კითხულობს თავად ილია.

წარსულის აწმყოში მყოფადობას ერი განიცდის არა მხოლოდ მეხსიერებით, არამედ მატერიალურადაც, დატოვებულ-მიტოვებული ძეგლების, ხელნაწერების, ტაძრების და სხვა სახით - ისტორიის შეგრძნებას გემოთი.

დღეს, ყოველ ქართველში როდი არის „მარად და ყველგან მყოფის" ნაწილი. ვინც კარგავს მას, კარგავს მამულსაც. მამულდაკარგული ასეთი ქართველების სიმრავლე კი, მუდამ საგონებელში აგდებდა და გამუდმებით „აფხიზლებდა" ეროვნულ-სარწმუნოებრივი სულით გაჟღენთილ ერის შვილებს, ერის დაღუპვისაგან ხსნისათვისა და მომავლისათვის - გამეორებისა და ცვლის ერთიანობის აუცილებლობისათვის („რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭნაროსა. იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა").

მატერიალურ-სულიერ ერთობას, უნდა ჰქონდეს თავისი ჩრდილი. დღესაც ხომ, აჩრდილი ის ჩრდილიცაა, რომელსაც განფენს ღმერთის მიერ შექმნილი სულიერი, თუ უსულო საგანი.

ნამდვილად არ გვინდა საქართველო გავიაზროთ ჩრდილდაკარგულად.

ამ ჩრდილს კი დიდმა ილიამ მიაგნო და დაუბრუნა ერს, თავისი მოწამეობრივი მსხვერპლით გამოისყიდა . . .

. . . და მაინც, რანი ვიყავით გუშინ, რანი ვართ დღეს და რანი ვიქნებით ხვალ?! . . .

ფოტოებზე გამოსახულია . . . ილია ჭავავაძის ბიუსტი, თბილისში, მეტრო „ისანის" გვერდით მდებარე სკვერში, სავენტილაციო შახტაზე (არ ვიცი, ამით შახტა გააკეთილშობილეს, თუ ილიას მიაყენეს ჩრდილი?!). ამოსაცნობად, ბიუსტზე წარწერაც კი არ იარსებებდა, ვიღაც „ღვთისნიერს" რომ არ მიეწერა: RUGBI 13 . . .

. . . „ყინვაში", სკოლისაკენ მიმავალ მოსწავლეს კითხვა უჩნდება - ვინ იყო ეს კაცი, ვისი ბიუსტიც შემოუდგამთ ხმამაღლა მოგუგუნე ვენტილაციის შახტაზე: ცნობილი მეშახტე, თუ 13 ნომრით მოთამაშე ასევე ცნობილი რაგბისტი?! . . .

რა ვუპასუხოთ?! როგორ განვანათლოთ?! რითი დავამშვიდოთ?! . . .

ნუკრი ბაღდავაძე

გმირის ვარამი

„ვერ ამიხსნია, სამშობლო იმიტომ მიყვარს ასე ძალიან, რომ მისგან ასე შორსა ვარ, თუ ასე შორსა ვარ იმიტომ, რომ სამშობლო ასე ძალიან მიყვარს?!!“

ეს, ტკივილით აღსავსე სიტყვები ეკუთვნის ადამიანს, რომელმაც თითქმის მეოთხედი საუკუნე გაატარა საბჭოეთის უმკაცრესი რეჟიმის დაწესებულებებში. სასტიკად ნაწამები, ორგზის სიკვდილმისჯილი ისეთი „უმძიმესი დანაშაულისთვის“, როგორიცაა სამშობლოს სიყვარული! მწერალი, საზოგადო მოღვაწე, მთამსვლელი, პედაგოგი, ეროვნული მოძრაობის შეუდრეკელი მებრძოლი, ყოვლად ღირსეული, უმამაცესი ადამიანი - ლევან გოთუა!

სულ რაღაც 15 წლისა იყო, უფროს ძმასთან ერთად ოჯახიდან რომ გაიპარა, მოხალისეთა რიგებში ჩაეწერა და თბილისის მისადგომებისკენ, რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა. 1921 წლის თებერვლის სუსხს ვერ გაუძლო ბავშვის ორგანიზმმა, სანგარში გაცივდა და ერთი კვირის შემდეგ მაღალი სიცხით გათანგული ძმამ ქალაქში ჩამოიყვანა.

საბჭოთა წყობილების დამყარებას მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილება მოყვა. შეიქმნა წინააღმდეგობის არალეგალური ორგანიზაციები. ლევანი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაება.

1924 წელს აბასთუმანში დასავენებლად მყოფ გოთუების ოჯახს „ჩეკისტები“ დაეცნენ. ლევანი დააპატიმრეს ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით. მასთან ერთად დააპატიმრეს 200-მდე სტუდენტი და ინტელიგენტი. სამკაციანმა ტრიბუნალმა ყველა მათგანს დახვრეტა მიუსაჯა, რაც მოგვიანებით, უმეტესობას, მათ შორის ლევანსაც, პატიმრობით შეეცვალა. იმავდროულად თბილისში დააპატიმრეს მისი მამა, პართენ გოთუა. იგი ორჯერ გაიყვანეს დასახვრეტად, მაგრამ ორივეჯერ უკან გააბრუნეს: - „ჩვენ შენ არ გვჭირდები, ახალგაზრდა გოთუა გვჭირდებაო“. ამაოდ ეხვეწებოდა თავზარდაცემული პართენი: - მე დამხვრიტეთ, რა მნიშვნელობა აქვს, მეც ხომ გოთუა ვარო (სავარაუდოდ, ეს ამბავი აისახა გოთუას მოთხრობაში, „უგზო ქარავანი“). ლევანი კი ამ დროს „ჩეკას“ სარდაფში ელოდა სიკვდილს.

7 თვის პატიმრობის შემდეგ მამა-შვილი ახლობლების დახმარებით გაათავისუფლეს.

1925 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტი. იმავე წელს დააპატიმრეს როგორც სტუდენტთა არალეგალური ჯგუფის ხელმძღვანელი. მიესაჯა 3 წლით შორეულ ციმბირში, სოლოვეცკის ბანაკში გადასახლება. მოათავსეს მკვლელებთან, ქურდებთან, ბანდიტებთან ერთად, უმძიმეს პირობებში. ერთი წლის შემდეგ გაათავისუფლეს 3 წლის ვადით, საქართველოში ცხოვრების აკრძალვით. დასახლდა ვლადიკავკაზში. მუშაობა დაიწყო ქართულ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1930 წლის დეკემბერში, 2 მეგობართან ერთად სცადა საზღვარგარეთ გაქცევა. მდინარე ჭოროხის გადაცურვისას დააკავეს. მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა საკონცენტრაციო ბანაკში. მემორანდუმში, გრიფით „სრულიად საიდუმლო“, არის ასეთი ჩანაწერი: „გადაბირების მცდელობას აზრი არ აქვს“. ისევ ყინულიანი შორეთი. ისევ კაციჭამიების გარემოცვაში. ისევ „სამშობლოს ღლატის“ ბრალდებით. რაოდენ შეურაცხმყოფელი იყო ეს ბრალდება ადამიანისთვის რომელიც სწორედ სამშობლოსთვის სწირავდა თავს!

გათავისუფლდა 1936 წელს. ამჯერად თბილისში ცხოვრება აუკრძალეს. ცხოვრობდა ჯერ წალკაში, შემდეგ-ბოლნისში. ლექსების, მოთხრობების წერა ბავშვობაშივე დაიწყო. ამ პერიოდში კი დაწერა პირველი პიესა „ჩაძირული ქალაქი“, რომელიც რუსთაველის თეატრში მის ხელმძღვანელს, აკაკი ხორავას მიუტანა. ხორავას პიესა მოეწონა და მზად იყო დაედგა კიდეც, ოღინდ ფინალური სცენის საბჭოთა აგიტაციისთვის მოსაწონ სტილში შეცვლა

მოსთხოვა, რაზედაც ლევანმა კატეგორიული უარი განაცხადა. ეს კონფლიქტი გახდა ერთ-ერთი მიზეზი ლევანის მორიგი დაპატიმრებისა. სხვათაშორის, ამაში სხვა ცნობილი ქართველი ხელოვანის, მიხეილ ჭიაურელის „წვლილიც“ იყო (წყარო: „თავგადასავალი ლევან გოთუასი“ თამარ და ალექსანდრე გოთუები). იმავე პერიოდში შექმნა პიესები: „უძლეველნი“, „დავით აღმაშენებელი“, „სამი პატარძალი“; მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა „ერელე II“, პიესა, რომელმაც საკავშირო კონკურსში გაიმარჯვა. ამავდროულად დაუმეგობრდა ცნობილ ალპინისტს, ალიოშა ჯაფარიძეს და მასთან ერთად რამდენიმე მწვერვალი დალაშქრა. მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. იკვლევდა, სწავლობდა, ტკბებოდა სამშობლოს სილამაზით. ქართლში, თრეხვის ქვაბულში მეგობრებთან ერთად აღმოაჩინა მოჩუქურთმებული ქვაჯვარი ჩვენი მემატიანის, ლეონტი მროველის წარწერით: „მე, ლეონტი მროველმან, დიდი მოჭირვებითა აღვაშენე ესე ქუაბი ხატისათვის ღმრთისა და დღისა ჭირისასა ნავთსაყუდელად რუისისა საყდრისა შვილთათვის ჟამთა შინა ალფარსლან სულთნისაგან აოხრებისა ქორონიკონსა სპვ(1066წ.)“. ასევე მიიღო მონაწილეობა ხვამლის მთის და ქვაბულის, კაცხის სვეტის, დავით გარეჯის და სხვა მრავალ კვლევით ექსპედიციაში. განაგრძობდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. მისი პოპულარობა დღითიდღე იზრდებოდა.

1946 წელს ისევ დააპატიმრეს. ჯერ უშიშროებაში: დაკითხვები, წამება, თვითმკვლელობის მცდელობა. შემდეგ ციხე და ბოლოს ისევ შორეული ყინულეთი, ამჯერად ვორკუტის შრომა-გასწორებითი ბანაკი - 10 წლის ვადით.

მრავალი სხვა ღირსების გარდა, ლევანს გამოარჩევდა მისი რაინდული სული. შეუდრეკელი, მამაცი, ღირსეული ვაჟკაცი ხიბლავდა ყველას და პატივისცემის გრძნობას აღძრავდა თვით სასტიკ კრიმინალებსა და არანაკლებად სადისტ ზედამხედველებშიც კი. მით უფრო, მას ეთაყვანებოდნენ ქართველი პატიმრები. სწორედ მათი დახმარებით შეძლო ლევანმა მისი უმთავრესი რომანის, „გმირთა ვარამის“ ხელნაწერის ბანაკის ტერიტორიიდან გამოტანა და საქართველოში გამოგზავნა. ეს კი ასე მოხერხდა: ქვანახშირის მაღაროსთვის, სადაც ამუშავებდნენ პატიმრებს, საჭირო მორებს და ბოძებს ადმინისტრაცია ზოგჯერ მახლობელი პატარა ქალაქის მოსახლეობაზე ყიდდა. ხის ტანში აკეთებდნენ საიდუმლო სამალავს-ნაპრალს, მასში ათავსებდნენ ფურცლებს. შემდეგ ნაპრალს ხურავდნენ, ხეს კი ტალახში ამოგანგლავდნენ. ქალაქში ტვირთს ყიდულობდა ბანაკიდან განთავისუფლებული რამდენიმე ქართველი, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ, ვიდრე სასჯელის ვადის ამოწურვის შემდეგ, სამშობლოში გამგზავრების ნებართვას მიიღებდნენ.

ამრიგად, წლების მანძილზე თბილისში გამოიგზავნა მთელი რომანი. ამ ისტორიაში ყველაზე საოცარი იყო ის, რომ ოპერაციაში მონაწილე ათობით ადამიანს შორის არ აღმოჩნდა არცერთი დამსმენი, რისი ნაკლებობაც ბანაკში ნამდვილად არ იყო.

1952 წელს სრულიად მოულოდნელად სამუშაოდან გამოიძახეს და რკინიგზის სადგურში წაიყვანეს, სადაც მოკოვის მატარებელში სამხედრო ოფიცერს ჩააბარეს. მოსკოვში ბუტირკის ციხეში მოათავსეს, ისე რომ წარმოდგენაც არ ქონდა მის თავს რა ამბავი ხდებოდა. დილით შეიყვანეს აბანოში, წვერი გაპარსეს, გაკრიჭეს, ახალი ფეხსაცმელი, ტანისამოსი ჩააცვეს, გემრიელი საჭმელით გაუმასპინძლდნენ, რის შემდეგაც მიიყვანეს მდიდრულად მოწყობილ სამუშაო კაბინეტში. შემოვიდა ასაკოვანი სიმპატიური მამაკაცი, უშიშროების თანამშრომელი, რომელიც ქართველი აღმოჩნდა. მან ჯერ ხოტბა შეასხა ლევანს, როგორც საუკეთესო მწერალი-დრამატურგს და ავტორიტეტულ ადამიანს. შემდეგ უთხრა, რომ სურს, დაეხმაროს ვადაზე ადრე პატიმრობიდან გათავისუფლებაში, რის სანაცვლოდაც ითხოვდა „მცირე სამსახურს“: მას უნდა ემოგზაურა საზღვარგარეთის ქვეყნებში, იქ მცხოვრები ქართველი ემიგრანტები გადმოებირებინა და საბჭოთა კავშირში ჩამოეყვანა. „- თანხმობის შემთხვევაში ამავე წუთიდან თავისუფალი იქნებით“ - უთხრა ოფიცერმა.

ამ წინადადებამ გოთუა საშინლად აღაშფოთა. „ - ისეთი ხმით დავიღრიალე, რომ ჩემი ხმის მე თვითონ შემეშინდაო“ - იგონებდა მოგვიანებით. ცხადია, იმავე დღეს ბანაკის გზას გაუყენეს.

სამშობლოში 1955 წელს დაბუნდა. სიცოცხლის ბოლო წლები არმაზში გაატარა.

„სად არ მათრიეს, სად არ გადამაგდეს, სად არ მაწვალეს, ყველაფერს რომ ჩავყევი და გავიხსენე, თვითონ განვცვიფრდი: ნუთუ ეს ყოველი მე მხვდა წილად...

ვაჟკაცის გულმა, სამშობლოს და ერის სიყვარულით სავსემ, გამარჯვების, მომავლის იმედით და მისი კეთილდღეობით მტკიცემ, ყველა სიძნელეს და სიმწარეს უნდა გაუძლოს, ეს კი ერის სწორუპოვარი პირობაა “ - წერდა ერთ-ერთ წერილში.

გარდაიცვალა 1973 წელს.

დაკრძალულია მცხეთის სამთავროს ეკლესიის ეზოში.

ნოდარ კიკნაძე,

“ჰეფი ბერსდეი“, ახალო-ძველო საქართველო!

მეგობრის დაბადების დღის აღსანიშავად შევიკრიბეთ მისი უახლოესი ადამიანები. იუბილარი-70 წელს გადაცილებული, დიდებული ქართველი ვაჟკაცი! საზოგადოებაც, სუფრაც შესაფერისი! ლხინია, ნამდვილი, მამაპაპური!

ერთ მომენტში, რესტორნის დარბაზში შუქები გამორთეს და სანთლებით დამშვენებული, დიდი ტორტი შემოიტანეს. წამსვე ადგილობრივმა მომღერლებმა „ჰეფი ბერსდეი“-ს სიმღერა დაიწყეს. აჰყვა დარბაზი.

- რატომ ამერიკული სიმღერა, „მრავალჟამიერი“ უფრო არ შეეფერება?!- ჩავილაპარაკე ხმადაბლა.

ცოტა ხნის შემდეგ, ჩემს გვერდით მჯდომმა მეგობარმა მართლაც წამოიწყო „მრავალჟამიერი“. ავყევით, ვისაც შეგვეძლო. ისეთი დავაგუგუნეთ, ძარღვებში სისხლი რომ დუღდება და თვალები ცრემლით რომ გევსება! ყველას ესიამოვნა ამ ღვთისგან ბოძებული ჰიმნის მოსმენა!

გახურდა ლხინი! არ ვიცი, ვინმემ შეუკვეთა, თუ თავისი ინიციატივით, რესტორნის მომღერლებმა „ეტატ დენ პაბედი“ დაცხეს. აბა, აქ იყო ერთობლივი სიმღერა და აღტაცება. აღვშფოთდი, თავი ვერ შევიკავე, პროტესტი გამოვთქვი. დარწმუნებული ვარ, თვითონ რუსები არ მღერიან ამ სიმღერას ასეთი აღტაცებით. ვერაფრით დავეთანხმები, ყოვლად უპასუხისმგებლო არგუმენტს: „მერე რა მოხდა!“, როდესაც საქმე ერის თავმოყვარეობას ეხება, დიახაც, რომ მოხდა!

დამაწყნარეს. მოვიბოდიშე კიდევაც, გაცხარების გამო...

მივდიოდი სახლისკენ და ვფიქრობდი: ასეთია ჩვენი ხალხი: იქეთ ამერიკელებს ფეხქვეშ ვეგებით, იქეთ რუსებს ვეპოტინებით, პატრიოტებადაც მოგაქვს თავი, ჯამში კი ვღებულობთ არშემდგარ სახელმწიფოს, რომელსაც არც შორეული და არც ახლო მეზობელი პატივს არ სცემს.

როგორც ერთ ქართულ ფილმშია: - „ასე, არ შეიძლება! აი, ასე, არ შეიძლება!“

ნოდარ კიკნაძე

,,რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!

„ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი,
თავისდა საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს.'' -

ილია მართალი

უდავოა, ეს გამონათქვამი დღევანდელობასაც ესადაგება, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ დავიწყება შეიძლება იმის, რაც იცი და გახსოვს, ჩვენდა საუბედუროდ არ ვიცით და ჩვენს თაობას არ ახსოვს ის, რის დავიწყებასაც ასე გულმოდგინედ ცდილობს უფროსი თაობის ,,გარკვეული" ნაწილი. საქართველოს ისტორია ყველაზე ბრწყინვალედ ქართული სუფრით წარმოისახებოდა ყველაზე მეტად.

როდესაც თამადა რიხიანი ხმით იწყებს: ,,რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ შემოგვსევიან - თემურ-ლენგები, თუ შაჰ-აბასები, მონღოლები, თუ არაბები, „რჯულიანები", თუ ურჯულოები, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლისღვრა, რა კბილთა ღრჭენა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ, ყველაფრისათვის გაგვიძლია, ქვეყნისა და საკუთარი თავის მეობა შეგვინარჩუნებია.

თუმცა ტკბილად მოსაგონარიც ბევრი გვაქვს ქართველებს, გვყავდა ფარნავაზი და ვახტანგი, თამარი და დავითი, მრავალნი კიდევ, რომელიც არ ვიცით და რომლის ობიექტური შეფასების არსებობა-არარსებობის საკითხი დღესაც ნამდვილად დგას.

ჩვენ თაობას შემორჩა მხოლოდ რამდენიმე კადრი და შავ-თეთრი ფოტოსურათები, დაკარგული ტერიტორიები და დახლეჩილი სამშობლო. ეს მართლა გავს იმას, რაც არ გინდა რომ გაიხსენო, გინდა დახიო და გადაყარო უსიამოვნო მოგონებებივით, რომ არასოდეს ამოტივტივდეს და ლაღად იცხოვრო, რაც არ უნდა გაიხსენო და არც სხვას მოუყვე, მაგრამ საბედნიეროდ წინა თაობა - მშობლები და ბებია-ბაბუები, ბუხრის პირას ისევ ჰყვებიან ტკბილი ზღაპრების ნაცვლად იმ ისტორიებს , რომელიც სულ ცოტა ხნის წინ იყო, აღწერენ დანგრეულ ქალაქებს, რომლებსაც დღეს მინის შენობებმა დაავიწყა წარსული და იგონებენ იმ დროზე, როცა ,,ცაც კი სხვანაირი იყო'', მერე კი, იძინებენ იმის იმედით, რომ რამდენიმე წამით მაინც გაიელვებს ძილში ის საქართველო, რომელიც მათ მოგონებებში ცოცხლობს მხოლოდ. ეს არის დრო რომლის აღწერის, გააზრებისა და შეფასების გარეშე ქვეყანა შეუძლებელია განვითარდეს.

ეს არის მიზეზი იმისა თუ რატომ ვერ შედგა ჩვენი ქვეყანა, როგორც სახელმწიფო,

რატომ ვერ გაიხარა იმ ნაყოფმა, რომელიც დიდი ილიას თაოსნობით დარგო ეროვნულმა მოძრაობამ და რატომ არ აცალეს ეროვნულ ხელისუფლებას ქვეყანა ფეხზე დაეყენებინა, რატომ მოხდა ძმათა და მართალ კაცთა სისხლისღვრა, რატომ იმარჯვა ბოროტმა სიკეთეზე? რატომ? . . .

დღესაც ორ უკიდერესობას შორის გავჩხერილვართ: არსებობენ ადამიანები, რომელთათვის ქართველობა, ეროვნება სირცხვილია. მათთვის რა მოსატანია ჩვენი „ძველმოდური" კულტურა და ტრადიციები იმ „ნანატრ ევროპასთან".

ადამიანთა მეორე კატეგორია კი, ცოტა კიდევ უფრო საშიშია, რადგან თუ შემთხვევით კრიტიკული აზრი მოისმინეს, უნდა ნახო, რა დანცივითა და სიავით გაგცემენ პასუხს ყველა შენს კითხვაზე და ყველა საშუალებით ეცდებიან დაგაჯერონ, რომ რჩეულთა შორის გამორჩეულები არიან ყველაფერში.

ადამიანთა ჯგუფმა, რომლებმაც ვითომდა აიღეს პასუხისმგებლობა ემართათ ქვეყანა „ხელები დაიბანა", მეორე მხარეს გადაბრუნდა და საღათას ძილს მიეცა.

ეს იმიტომ რომ ყოველთვის გვაქვს შეგრძნება, რომ ჩვენ გასაკეთებელს სხვა გააკეთებს. ვქმნით კერპებს, ვეძებთ სასწაულებს და მინიშნებებს, მაგრამ პასუხად ჩვენც იგივე გვაქვს, რაც სასწაულის მაძიებელ ფარისევლებს: „ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იონა წინაწარმეტყველისაჲ".

ხომ არ ნიშნავს ეს სიტყვები და ყოველივე, რომ დროა ხანგრძლივი ძილისგან გათავისუფლებისა, დროა შევწყვიტოთ ზეციური მანანას მოლოდინში ყოფნა, გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა,

რომ უარი ვთქვათ იმ მანკიერებებზე, რამაც აქამდე მიგვიყვანა. მოვიგოთ ყველაზე დიდი ომი საკუთარ თავთან და სამუდამოდ დავივიწყოთ შური და იუდას ხელობა, რამეთუ ზუსტად შენიშნა დიდმა კონსტანტინე გამსახურდიამ და ათქმევინა მეფე გიორგის სიკვდილის წინ: „როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას".

დროა თავისი ადგილი მივუჩინოთ ყველაფერს და ვისწავლოთ ადამიანების შეცნობა. ცუდის დაფარვა არასოდეს მიგვიყვანს კარგ შედეგამდე, რადგან ის უფრო მრავლდება და გვრჩება სიცარიელე, რომელსაც ვერაფერი ავსებს. უნდა ვისწავლოთ იმ ადამიანების ადგილის განსაზღვრა, რომლებიც ათასეულობით ადამიანის ცოდვა-მადლს იტევენ და არიან რჩეულები. პარადოქსია, როცა მათ ვერ ვპატიობთ ჩვენთვის და სამშობლოსათვის თავგანწირვას. ძალიან გვიან ვცდილობთ მათ დაფასებას და ხშირად მაინც არ ვირჩევთ იმ გზას, რომელიც დაგვისახეს.

. . . სამწუხაროდ, სასიკვდილოდ გაიწირა ჭეშმარიტი მამულიშვილები - ილია ჭავჭავაძე და ზვიად გამსახურდია, რითაც ერმა თავისთავს „უდაბნოში" მრავალ-წლიანი ხეტიალის განაჩენი გამოუტანა. ერთგვარად წინასწარმეტყველური-ცაა ბატონი ზვიად გამსახურდიას სიტყვები, რომელიც მან გააჟღერა ლექსში „ქრისტეშობა":

„ქრისტეშობას, სხვა ჩემს გარდა, სევდას ვინ დაიბედებს" და სიმბოლურია ისიც, რომ დიდი ილია მართალი, ახალი წლის ღამეს, კვლავ ეძებდა პასუხს კითხვაზე: „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?! ".

ნათია მუკბანიანი

განდეგილის სულის ძახილი



ეს ამბავი ერთმა ღვთის მსახურმა მიამბო, რომელსაც თავის მხრივ გაგონილი ჰქონდა ხანშიშესული განდეგილისგან. განდეგილს ხანგრძლივი მარტოობისა და ღვთისმსახურების გამო, სულიერი რწმენა და ღვთის სიყვარული ძვალ-რბილში გაჯდომოდა და შორსჭვრეტის სიბრძნეს იყო ნაზიარები. იგი ამქვეყნიურ ცოდვებს განრიდებოდა და ღმერთთან მარტოდ დარჩენილს სამყაროსეული ცოდნა შეემეცნებინა.

ბერი გაბრიელის წმინდანად შერაცხვამ და მისი საფლავის გახსნის პროცესმა, დიდი ინტერესი და რელიგიური ვნებათა ღელვა გამოიწვია ერსა და ბერში. ბუნებრივია, მეც დავინტერესდი ამ საკითხით და გადავწყვიტე უფრო მეტი გამეგო ბერი გაბრიელის ცხოვრების შესახებ.

ჩემი აზრით, მეტად საინტერესოა ღვთის მსახურის მონათხრობი, რომლის გადმოცემულ ამბავს ამ პატარა წერილში მოგიყვებით.

განდეგილის მონათხრობიდან, ბერი გაბრიელი, საოცრად თავმდაბალი, მადლმოსილი ყოფილა, რომელსაც 12 წლიდან უფლის გზა აურჩევია და ამ გზაზე, მრავალი ტანჯვაც გამოუვლია, თუმცა, სატანჯველს მისი არჩევანი უფრო მეტად გაუმყარებია. მას საოცრად ჰყვარებია უფალი, რომლის სიყვარულით, იგი ვერც სიცივეს და ვერც სიცხეს გრძნობდა, რადგან თავად უფლის სიყვარულით იწვოდა. ცხოვრების ბოლოს, სწორედ უფლის სიყვარულს მიუყვანია სამთავროს დედათა მონასტერში, სადაც თავდაპირველად ერთ მცირე გალიაკში დაბინავებულა, უწინ მონაზვნები საქათმედ რომ იყენებდნენ. საოცრად თავმდაბალი და გულისხმიერი ბერი, რომელსაც მრევლი საოცრად უყვარდა, დიდ სითბოს ამჟღავნებდა მოყვასისადმი. მას გულთან ახლოს მიჰქონდა მათი გასაჭირი, მტირალთან ტიროდა და ისე ანუგეშებდა. ის „თავისი ცოდვების" ჩამოთვლით, მრევლსაც ათქმევინებდა დაფარულ ცოდვებს, ხან სიმკაცრით, ხანაც სიყვარულითა და ლმობიერებით სწორ გზაზე აყენებდა მომსვლელთ, მშიერს არავის უშვებდა, საკუთარ ლუკმას უწილადებდა და შუაზე უყოფდა. იგი ვერ იტანდა ამპარტავნობას და მორჩილებას ქადაგებდა.

ქვეყნის გულშემატკივარი ბერი დიდად განიცდიდა საქართველოს ბედს, ცრემლებით ავედრებდა ღვთისმშობელს საკუთარ ქვეყანას, რომელსაც „ათონზე მოღვაწეობითაც კი არ გაცვლიდა". ერის განსაცდელის ჟამს, მაშინ კი, როდესაც რუსთაველის გამზირზე, ქართველს ქართველისთვის უსვრია, განგაშის ზარები დანურისხებია! გადმოცემის მიხედვით, იგი თავს დიდ ცოდვილად მიიჩნევდა და თავადვე ამბობდა: „წმინდანობა არ არსებობსო", თუმცა იქვე უმატებდა: „წმინდა ცხოვრება კი არსებობსო". იმდენად თავმდაბალი ყოფილა ბერი გაბრიელი, რომ თავის სასაფლაოდ ნაგავსაყრელს მოიაზრებდა, სადაც შემდგომში მისი განსასვენებელი იყო. მას უხაროდა, რომ ბერ-მონაზვნები გამრავლდნენ საქართველოში, ქვეყანაში, სადაც თავისი მოღვაწეობის დასაწყისში მხოლოდ თავად იყო ბერი, თუმცა, იქვე დასძენდა, რომ „ბერ-მონაზვნები მონასტრის გალავნის გარეთ არ უნდა გადიოდნენო".

ბერ გაბრიელს არ ჰყვარებია ცრუ სწავლებანი და ფარისევლობა. მას ექვსი კლასის განათლება მიუღია, კარგად შეუთვისებია ხუცური და სახარებიდან თავებს ზეპირად განმარტავდა. ხშირად კუბოში ჩაწოლილი ქადაგებდა და ისე ამცნობდა ხალხს თავის გულთამხილავ აზრებს. მის ლოცვას საოცარი ძალა ჰქონია, ტკივილს აამებდა, სნეულს მალამოდ ედებოდა და ამიტომაც მისი სახელი შორს გავარდნილა. მისი საზრუნავი ხალხი და მისი გასაჭირი ყოფილა და თავს ბედნიერად გრძნობდა, როცა მასთან ხალხი მოდიოდა, ესე იგი, „უფალს ვახსოვარო", ასე ამბობდა.

მაგრამ მოახლოვებულა მისი სიკვდილის ჟამი, მუდმივი განსაცდელის, მარხვის, საშინელი ნესტის, სიცივის გამო, რომელსაც მრავალი წელი ღვთის სასოებით ითმენდა ბერი გაბრიელი, გამოვლენა უპოვია სიცოცხლის ბოლოს და ძალიან დამძიმებია ჯანმრთელობის მდგომარეობა. მისთვის ექიმს ანალიზისთვის სისხლი აუღია, რომელიც გადაადგილების დროს დაღვრილა და სინჯარაში 2 გრამამდე დარჩენილა. გულთამხილავ ბერს მისთვის მაშინვე უკითხავს: „რა უყავით ჩემი სისხლი? სად წაიღეთ ჩემი სისხლი?" როგორც გამოირკვა, სიცოცხლეშივე აღებული ეს სისხლი უნახავთ რამდენიმე წლის შემდეგ და ამის საფუძველზე დაუდგენიათ სისხლის უხრწნელობა,

რითაც სასულიერონი, სხეულის უხრწნელობასაც ვარაუდობდნენ. გადმოცემათა თანახმად, სინჯარაში მოთავსებული 2 გრამი სისხლი ყოფილა დაკვირვების ობიექტი, რომელიც ზოგიერთი წყაროს თანახმად, სანაწილე ჯვარში ინახება და ღვთისმშობლის ხატისადმია შეწირული, ზოგიერთის აზრით, კი ,,დედა პარასკევას" აქვს და ამით ლოცავს მომსვლელებს.

ბერი გაბრიელი დაუსაფლავებიათ წესისამებრ ჭილოფში გახვეული, როგორც სიცოცხლეში, მუდამ უბრალოების მაძიებელი. მისი კუბო სასულიერო პირებთან ერთად ერთ-ერთ იმ ადამიანსაც აუწევია, რომლისთვისაც სიცოცხლეშივე უთქვამს ,,შენ ამწევო". თავმდაბალი ბერის თხოვნისამებრ, უწინ ნაგავსაყრელად ყოფილ ადგილას დაუსაფლავებიათ ნეშტი, ხოლო საფლავზე მდგომ კანდელში, რომელიც ჩაუქრობლად ენთო, ,,დედა პარასკევას" ის ზეთი ჩაუსხამს, რომელიც ბერს კელიაში ედგა და განდეგილის მონათხრობით, ბერი, ,,დედა პარასკევას", ყოველთვის შუბლზე აცხებდა, შემდეგი სიტყვებით: ,,გონება მოგემატება". შემდგომში, კანდელში ზეთს ყოველთვის ამატებდნენ მონაზვნები და მორწმუნეებსაც აღნიშნული ზეთი და საფლავიდან აღებული მიწა მიჰქონდათ განსაკურნებლად.

მოთხრობილი ამბის მიხედვით, ბერი გაბრიელის წმინდანად აღიარება არ ხერხდებოდა, ამიტომ ერთ-ერთმა მიტროპოლიტმა თავის ეპარქიაში აკრძალა მისი საფლავიდან ზეთის გამოყენება სამკურნალოდ და სამღვდელოებას აუკრძალა მისი სურათები ჰქონოდათ ეკლესიებში.

განდეგილის მონათხრობით, მის კანონიზაციამდე (წმინდანად შერაცხვამდე) დაიწერა მისი პირველი ხატი. იგი მის კანონიზაციამდე იკურთხა და მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს ტაძარში იქნა განთავსებული.

2013 წელს, ბერი გაბრიელის კანონიზაციამდე და მისი ნეშტის საფლავიდან ამოსვენებამდე, მომსვლელი და მომლოცველი არ აკლდა სამთავროს მონასტერსა და ბერი გაბრიელის საფლავს, რითაც მრევლის წევრები გარდაცვლილს პატივს მიაგებდნენ და მის სულს შველას სთხოვდნენ.

და აი, ერთ წელსაც, გაცხადდა ამბავი ,,დედა პარასკევას" ხილვის შესახებ, რომლის მიხედვითაც ბერი გაბრიელი სურვილებს უსრულებდა შობამდე იქ მომსვლელ მორწმუნეებს, რამაც ხალხში, განდეგილის გადმოცემით, ურწმუნოება უფრო გააღვივა, მონასტრის რიდი და საფლავთან კრძალვა დაავიწყა მორწმუნეებს და ფაქტიურად ქაოსისა და უმართავი თავყრილობის სურათი შექმნა (მონასტრის გალავანზე მორბენალი ხალხი, შემაკავებელი ჯეგირები, ბერის საფლავზე დაწყობილი საფულეები და სხვა).

საპატრიარქომ დროებით უკან დაიხია და დაგვიანებით გამოეხმაურა მომსვლელებს და აუწყა, რომ მამა გაბრიელი, მომსვლელთ ყველა სურვილს ვერ შეუსრულებდა.

შემდეგ გაცხადდა ბერი გაბრიელის საფლავის გახსნის ამბავი, ზღვა ხალხი მოაწყდა სამთავროს. როგორც განდეგილი გვარწმუნებს, ეკლესიის მამები, ღრმად იყვნენ დარწმუნებულები ნეშტის უხრწნელობაში, თუმცა ადამიანთა მცირე ჯგუფის მიერ საფლავიდან ამოსვენების პროცესს, მრავალი განსხვავებული აზრი მოჰყვა, დაბეჯითებით ვერავინ დაადასტურა ნეშტის უხრწნელობა, რასაც მის სიცოცხლეში, (ხაზგასმით, მის სიცოცხლეში და არა გარდაცვალების შემდეგ) აღებული სისხლით ასაბუთებდნენ, რასაც, ბუნებრივია, ყველა სასულიერო პირი არ ეთანხმებოდა და ალბათ, ამიტომაც ცდილობდნენ, მის წმინდანად შერაცხვამდე გარკვეული საეკლესიო წესები დაეცვათ.

განდეგილის მოსაზრებით, იქნებ სჯობდა საფლავის გახსნის საკითხი შეესწავლა შესაბამისი დარგის სპეციალისტებით დაკომპლექტებულ კომისიას, რათა თავიდან აცილებულიყო მრავალი უხერხული, პასუხგაუცემელი კითხვა და რომელსაც ვერ ავირიდებდით?! იქნებ სჯობდა, ამ საკითხზე ემსჯელათ ღვთისმეტყველებს, სწავლულებს და მსჯელობის შედეგად გადაწყვეტილიყო ეს საკითხი?! ანდა, რამდენად მართებული იყო საფლავის გახსნა?!

ბერი გაბრიელის ნეშტი გადაასვენეს ჯერ სვეტიცხოველში, შემდეგ წმინდა სამების ეკლესიაში, რასაც კვლავ მოჰყვა აურაცხელი რიგები, ღამის თენება და უკიდურესად შეჭირვებული ხალხის იმედი, რომ ბერი გაბრიელი შესძლებდა მათ მეოხებას.

თუმცა, განდეგილის მოსაზრებით, არავინ აუხსნა და განუმარტა მრევლს საეკლესიო ცხოვრების წესები, რასაც ბერმა გაბრიელმა მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა. თუნდაც ის, რომ, რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ უფალი დაგვეხმაროს?! რა უნდა ვთხოვოთ უფალს, როგორ ვთხოვოთ, რას ნიშნავს საეკლესიო ცხოვრება?!

საეკლესიო პირთაგან არავინ განმარტა რა მიზანი ჰქონდა ნეშტის აქეთ-იქით გადასვენების პროცესს, თუ იგი, არ იქნებოდა სრულფასოვნად განმარტებული?! ანდა, წმინდა სამების შემოგარენსა და მის გარეთ საეკლესიო ბაზრის გამართვას, სადაც სანთლები, ბერი გაბრიელის ხატები და საეკლესიო დანიშნულების ნივთები იყიდებოდა?! რომელსაც ღვთის იმედად დარჩენილი ერი გაჭირვებით იძენდა?! ანდა როგორ უნდა მიახლოვებოდნენ, რა წესები დაეცვათ მორწმუნეებს ბერი გაბრიელის ნეშტთან?!

განდეგილის აზრით, საფლავთა გახსნა, გადასვენება, დაუსაბუთებლობის შემთხვევაში,

არღვევდა მრავალსაუკუნოვან ქართულ და ამავე დროს საეკლესიო ტრადიციას, რაც დღემდე მიუტევებელ ცოდვად ითვლებოდა!

საქართველოში დღემდე შემორჩენილია ათასწლოვანი ტრადიცია, რომელიც საფლავთა თაყვანისცემისა და მიცვალებულის სულის პატივისცემის გამოხატულებაა. ქართველები ვანდალიზმად მოიაზრებდნენ საფლავის წაბილწვასა და მიცვალებულის სულის შეურაცხყოფას და მას ისტორიული ცხოვრების მანძილზე არასოდეს პატიობდნენ ურჯულოს, გადამთიელს, მტერსა და დუშმანს!

ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ ამ დრომდე, მიცვალებულის ნეშტს, ქრისტიანი კაცი, მერკანტილური თვალსაზრისით, კრიმინალის გარდა, არასოდეს შეხებია, რადგან მას ჰქონდა უფლის რისხვისა და მიცვალებულთა სულის რიდის შიში! სასაფლაო, ძვალთ შესალაგი, ყოველთვის საფიცრად მიაჩნდათ ქართველებს, ასეთად ითვლებოდა მიცვალებულის ძვლები, ანდა, როგორც თვითონ მოაზრებდნენ, საკუთარი წინაპრის ძვალი და მათდამი ხსოვნა. ანდა რას იტყოდა მუდამ თავმდაბალი, წმინდანობის არმაძიებელი, სხვათა დამპურებელი ბერი გაბრიელი, სასულიეროთა თავგასულობას, საპატრიარქოს მხრიდან სამთავრობო საშვის გაცემას, ეკლესიის მსახურთა მატერიალურ აღზევებას და უღვთოდ გაღატაკებულ ხალხის გასაჭირის ამბავს რომ ისმენდა, იმ ხალხისას, რომელთა შუამდგომელი თავად იყო სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდეგ, მონათხრობთა მიხედვით, იგი, ღმერთთან უნდა მიეტანა?! რას იხილავდა ორი ათეული წლის წინათ გარდაცვლილი ბერი გაბრიელი, რომელიც გადმოცემათა მიხედვით, სიცრუეს ვერ იტანდა, როცა სნეულნი, ინვალიდნი, მრავალგზის მოტყუებული „ამა ქვეყნის ძლიერთა მხრიდან", თვალუწვდენილ რიგებში ჩამდგარი, ასაკოვანნი, თუ უასაკონი, მის ნეშტს დახმარებას სთხოვდნენ?!

ანდა როგორ შეხედავდა ბერი გაბრიელი იმ ფაქტს, რომ ერთ მხარეზე იდგა უნუგეშო, ლუკმა-პურს ნატრული ერი, მეორეს მხრივ კი, თვალისმომჭრელი რეგალიებით აღჭურვილი, ძვირფასი ტექნიკის (მობილური ტელეფონები, მანქანა და სხვა) მომხმარებელი, ამ იდეის ინიციატორი, შემსრულებელი „შავი სამღვდელოება", მაშინ როდესაც, თავად, 40 წლის ნამსახურებ ბერს, გადმოცემათა მიხედვით, არ დაუმსახურებია ტელევიზორის ქონაც კი?!

რას იტყოდა ბერი გაბრიელი, რომელიც ხედავდა, მის სახელს ამოფარებული საპატრიარქო უკანასკნელ გროშებს როგორ ართმევდა უნუგეშოდ დარჩენილ, ღვთის ანაბარად მიტოვებულ ქართველებს და ამით მრევლს იმრავლებდა, სიმდიდრეს იხვეჭდა, თავადაც ცდუნდებოდა, სხვებსაც აცდუნებდა და ამით, პოლიტიკანურ ნაბიჯებს დგამდა, იმ მოტივით, რომ თავად იყო ამ მრავალრიცხოვანი ხალხის ბატონი, გამგებელი, ბედის განმკარგავი?!

განდეგილის აზრით, ერის მოზარე, განგაშის ზარის დამრისხებელი ბერი გაბრიელი, თავადაც არ გაჩერდებოდა საფლავში, აკი თვითონაც ამბობდა: „ერისკაცს ერისა მოეკითხება და ბერს - ბერისა. ისე კი, ერი და ბერი რამ გაყოო!?"

იქნებ მისი საფლავის გახსნა, მიცვალებულის ნეშტის ამოღება და დიდხანს გაჩერება საკათედრო ტაძარში, თავად ბერის მიერვე, სიყვარულით მოწყობილი გამოცდაა, ერისა და ბერის რწმენის გამოსაცდელად და მრავალ უგვანოთა ეკლესიიდან განსაწმენდად?! ანდა, იქნებ ეს, მისი იმ უნარის დემონსტრირებაა, რითაც, მონათხრობის მიხედვით, ბერი გაბრიელი მუდამ გამორჩეული იყო?!

ამგვარი სახით გადმომცეს განდეგილის სულის ღაღადი, სულის ძახილი, რომელიც ბერი გაბრიელის ცხოვრების, მოღვაწეობის და მისი გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ამბებს გულისტკივილითა და სინანულით მოგვითხრობდა და მეც ვეცადე ამგვარი კრძალვით თქვენამდე მომეტანა ეს ამბავი, რომელიც გულისხმიერ მკითხველს დააფიქრებს და სამართლიანი, გონივრული განსჯისთვის განაწყობს.

P. S. ბოლო პერიოდში საქართველოს საპატრიარქოში მიმდინარე ერთი შეხედვით უცნაურმა, მაგრამ სავსებით ლოგიკურმა და მოსალოდნელმა პროცესებმა, ისედაც რწმენაშერყეული, ყოველგვარად დამშეული ხალხის დიდი ნაწილი ჭორაობისა და მითქმა-მოთქმის მორევში ჩაითრია, რითაც კიდევ უფრო დააშორა უფალსაც და რეალობასაც.

პირველობისათვის, გავლენის სფეროების გადანაწილებისა და სხვადასხვა პოლიტიკურმა, თუ მერკანტილურმა რყევებმა საქართველოს საპატრიარქოში ნათლად აჩვენა, რომ ამ უღმერთო და უხელისუფლებო, უსამართლო ქვეყანას ეშმაკები შესევიან და ილტვიან თავიანთ, ჯოჯოხეთურ ცეცხლში შთანთქან სიმართლე, სამართალი, რწმენაცა და ერიც, რისთვისაც ახალ-ახალ ეშმაკურ თამაშობებს იგონებენ.

თბილისში, მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა დღესაც მიმდინარეობს, სხვადასხვა, მრავალი ფონდისა, თუ მრევლის მიერ მოკრეფილი დაფარული და გაურკვეველი თანხების მეშვეობით. ძალიან კარგია ტაძრების მშენებლობა და რწმენაზე ზრუნვა, მაგრამ საკითხავია რამდენად კანონიერი და კანონიკური გზებია ამისათვის გამოყენებული?!

ამჟამად, კომპლექსის ტერიტორიაზე აპირებენ ე. წ. „უსახელო ბერების" საკმაოდ დიდი სასაფლაოს მშენებლობას?!

ესეთი კატეგორიის ბერების მოძიება უნდა მოხდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ისინი ამოსვენებულ უნდა იქნენ არსებული მონასტრების ტერიტორიებიდან და გადმოსვენებულნი უნდა იქნენ მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე.

აზრი და არსი ჯერჯერობით გაურკვეველია. ანუ, მავანთა მიერ, კვლავ „მოდაში" რჩება ბერთა ნეშტების აქეთ-იქით გადასვენების პროცესები. დაუსაბუთებლად, არაკანონიკურად საფლავთა გახსნა, გადასვენება, რაც, დღესაც, უთუოდ, კვლავ არღვევს მრავალსაუკუნოვან ეროვნულ საეკლესიო ტრადიციებს და ამავდროულად, მიუტევებელ ცოდვათა გაგრძელებას წარმოადგენს!

თუმცა, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ამდაგვარი ჩანაფიქრები ორაზროვანი მიზნებისა და საბჭოური გადმონაშთების მარადიული აღზევებისაკენ გვიბიძგებს ცალსახად.

სულ ახლახანს გაჟღერდა, რომ სწორედ მახათას მთის ფერდობზე, სადაც დღეს ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს და სადაც აპირებენ უსახელო ბერების საკმაოდ დიდი სასაფლაოს მშენებლობას, იმავე ადგილას, ექვს თვეში, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ახალი პანთეონი უნდა მოეწყოს.

რის შემდეგაც, მეორე ვერსიით, იქ, იმ საზოგადო მოღვაწეებსგაადასვენებენ, როლებიც დღევანდელ დღემდე თბილისის სხვადასხვა სასაფლაოებზე, დროებით არიან დაკრძალული.

ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა საპატრიარქომ, ეკლესია-მონასტრებში, არამარტო მოიაზრა, არამედ თავად შექმნა სხვადასხვა სახის ე. წ. „პანთეონები", სადაც გადაასაფლავ-დაასაფლავა, ზოგჯერ მართლაც ცნობილი და ღვაწლმოსილი პიროვნებების სახელს ამოფარებული „წითელ ინტელიგენციად" წოდებული მიცვალებულნი, მათი ოჯახების, ახლობლებისა, თუ ვინ იცის ვისთა დასტურით.

მაგრამ, ოი, საოცრებავ!

ძალზედ საინტერესოა, როგორ შეხვდნენ ამას თავად დღევანდელი „წითელი ინტელიგენციის მამები", რომლებიც, უკვე, სიცოცხლეშივე თავად წყვეტენ მათი მომავალი საძვალეთის ადგილსამყოფელის საკითხს?!

სწორედ, ამ კატეგორიის „საზოგადო მოღვაწეებისათვის", მახათას მთაზე „პანთეონის" მოწყობა მიუღებელია მისი ადგილმდებარეობის გამო. პრობლემა ის არის, რომ ამ „პანთეონში" მოხვედრა თვითონ „წითელი ინტელიგენციის ამ გამოჩენილ ადამიანებს", გარდაცვალების შემდეგ, სულაც არ უნდათ. არ უნდათ სადღაც „მიყრუებულ ადგილზე" (მათი ტერმინია) დამარხონ. მათ პრეტენზია გამოხატეს და სანაცვლოდ დიდუბის პანთეონის გაფართოება მოითხოვეს . . . უფალო შეგვიწყალენ!

ნუკრი ბაღდავაძე

მღვდელი გიორგი სხილაძე – პარიზის წმ. საბას სახელობის საკათედრო ტაძრის ქართული სამრევლო (ინტერვიუ გაზეთ „გუშაგს“)

1. კითხვა: *მამაო გიორგი, ქართველი მამულიშვილები უკვე კარგად იცნობენ სერბეთის ეკლესიის (ბელგრადის საპატრიარქო) საფრანგეთისა და დასავლეთ ევროპის ეპარქიის, პარიზის წმ. საბას სახ. საკათედრო ტაძრის ქართული სამრევლოს სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივ გამოცემას, რომელიც პარიზშია გამოცემული. სანამ კონკრეტულ საკითხებზე დავიწყებდეთ საუბარს, იქნებ, გაეცნოთ ჩვენი გაზეთის საშუალებით ქართველ მკითხველს.*

პასუხი: ერისკაცობაში მალხაზ აკაკის ძე სხილაძე. დაბ. – 1967 წ., ქ. ზესთაფონი (აქ შეცდომა არ გეგონოთ, განგებ ვწერ „ზესთაფონი“ და არა „ზესტაფონი“, რადგან ისტორიულად ამ ქალაქის სახელში ასო-ბგერა „თ“ იყო და არა „ტ“, რომელიც, როგორც ჩანს, რუსული ფონეტიკიდან შემორჩა მას; ამის აღდგენა უნდა მოხდეს: „ზესთა“, როგორც მოგეხსენებათ, ზეციურს, ღვთიურს ნიშნავს, ხოლო „ზესტა“ – არაფერს. თუ ისტორიული ფორმით მოიხსენებთ ჩემს მშობლიურ ქალაქს, მხოლოდ გამეხარდება). იქ სწავლა: N1 საშუალო, N1 მუსიკალური სკოლა (ფორტეპიანოს კლასი) და ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლი. თბილისში: რკინიგზის N1 საშუალო და კონსერვატორიის ექსპერიმენტული სკოლა (თეორიულ-საკომპოზიციო და საგუნდო-სადირიჟორო კლასი); 1986 წ. მცხეთის სასულიერო სამინარიასა და თბილისის უნივერსიტეტში ფილოსოფიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტებზე სწავლის სურვილის შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარია და გელათის სასულიერო აკადემია (1988-96 წ. წ.). ერისკაცობაში – ქართული ქორეოგრაფიული სკოლის აკომპანიატორი და „საღვთო სჯულის“ მასწავლებელი საშუალო სკოლებსა და სასულიერო სასწავლებლებში. 1992 წ. 23 ნოემბერს, გიორგობას, ტაბაკინის (ზესთაფონი) წმ. გიორგის სახ. მონასტერში ხელდასხმა იპოდიაკვნად, სახელით გიორგი და 1993 წ. 28 აგვისტოს – დიაკვნად მარგვეთის (ზემო იმერეთი) ეპარქიაში. 1990-92 წ. წ. მგალობლობა და 1994-95 წ. წ. დიაკვნობა თბილისის წმ. პეტრე-პავლეს სახ. ტაძარში. 1997 წ. – საქართველოს დატოვება. ჩარიცხვა შამბეზის (შვეიცარეთი) მართლმადიდებლურ ინსტიტუტში და სწავლა ბეზანსონის (საფრანგეთი) ენათა ინსტიტუტში. ასევე, ჩარიცხვა ჯორდანვილის (ა.შ.შ.) სასულიერო სემინარიაში. 2002 წ. – ხელდასხმა მღვდლად ქართული მრევლის თხოვნით პარიზის სერბულ ტაძარში.

2. კითხვა: *რამ შთაგაგონათ, გამხდარიყავით საეკლესიო პირი? რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ აქტიურად იყავით ჩართული ეროვნულ მოძრაობაში, ახლოს იცნობდით მერაბს და ზვიადს. გთხოვთ, გაიხსენოთ თქვენი ცხოვრების ეს პერიოდი.*

პასუხი: წმ. იოანე ოქროპირი თავის წერილებში „ექვსი სიტყვა მღვდლობის შესახებ“, საუბრობს რა სასულიერო პირობის პასუხისმგებლობასა და სიდიადეზე, დაასკვნის: „ის, რაც მომავალ მღვდელს არ უნდა სურდეს, არის მღვდლობა“, რადგან სასულიერო პირობა ხომ საეკლესიო თანამდებობაა და მისკენ სწრაფვაში მთავრობისმოყვარეობის, დიდების-მოყვარეობისა და სიამაყის ცოდვა იკითხება (იგივეა საერო თანამდებობის მოპოვების მსურველშიც). ამავე დროს ეს უგნურებაცაა,

რადგან ღვთისა და ხალხის წინაშე პასუხისგება ხომ თანამდებობრივი საფეხურის პირდაპირ-პროპორციულია.

გავიხსენოთ მსგავს შემოთავაზებაზე წმ. მამის გამონათქვამი: „პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან მეშინის". ათონის წმ. მთაზე ძველი წესი მოქმედებდა – თუ მონასტრის წინამძღვარი რომელიმე ბერს სამღვდელო ხარისხის მიღების სურვილს შეამჩნევდა, მას მთელი ცხოვრება აღარ აკურთხევდა მღვდლად. მოციქულები მაცხოვრის მოწოდებით გახდნენ მოწაფეებიც და მოძღვრებიც. თავისი სურვილით, როგორც საღვთო გადმოცემა მოგვითხრობს, მხოლოდ იუდა ისკარიოტელი აედევნა უფალს (დღეს რომ „მიტმასნილს" ეძახიან) ნივთიერი გამორჩენის მიზნით და როგორც წმ. მოციქული იოანე ღვთისმეტყველი ამხელს მას, იპარავდა კიდეც შესაწირის ყუთიდან, რომელიც სწორედ მას ჰქონდა მიბარებული. წმ. მამებიც ყოველთვის იკავებდნენ თავს სასულიერო პირობაზე და მათ ძალით აკურთხევდნენ.

აქედან გამომდინარე, ჩვენ მით უფრო არ უნდა გვდომებოდა ხელდასხმა და უნდა გვშინებოდა ამისი. ამიტომაც მოხდა ჩვენი დიაკვნად კურთხევა სულიერ ძმათა და მოძღვართა, ხოლო ხუცესად – ქართველი მრევლის დაძალებით. ჩვენ მხოლოდ დავით წინასწარმეთყველის უფლისადმი წუხილის გახსენებაღა დაგვრჩენოდა: „ჟამი არს მსახურებად უფლისა, რამეთუ განაქარვეს სჯული შენი!". აქ ერთი საღვთო წესი მოქმედებს: თუ განგებას სურს ვინმეს გამორჩევა, მას წინ ვერავინ დაუდგება, ხოლო თუ მხოლოდ კაცთაგან ხარ გამორჩეული, ეს დროებითია და დიდს არაფერს ნიშნავს. რაც შეეხება ეროვნულ მოძრაობაში ქმედით ჩართულობას, ჩვენგან ამის თქმა არანაკლები სიამაყის გამოვლენა იქნებოდა, ვიდრე მღვდლობის სურვილი. უბრალოდ, ვცდილობდით, მრავალი სხვასავით ვმდგარიყავით იქ, სადაც საქართველოს ყოველი მოქალაქე უნდა მდგარიყო და იდგეს. იმის გახსენება კი ნამდვილად სათუთია, რომ ახლო ნაცნობობა და ამაღლებული ურთიერთობა გქონდა საქართველოს ეროვნულ გმირებთან, დიდ ადამიანებთან – ზვიადთან და მერაბთან (მათ მხოლოდ სახელებით ვახსენებ არა „შინაურობის", არამედ აღმატებულობის ხარისხით).

<u>3.კითხვა:</u> *თქვენ ქადაგებთ, რომ დიდი ხანია, საქართველოში „სერგიანული" აზროვნება გატონობს და ხელისუფლებისადმი იგივე დამოკიდებულებაა, რაც „ათეიზმის" დროს იყო. გთხოვთ უფრო ვრცლად აგვიხსნათ, თუ რას ნიშნავს ზემოთხსენებული აზროვნება?*

<u>პასუხი:</u> „სერგიანობა" არის იმ აზროვნების, სულისკვეთების აღმნიშვნელი სიტყვა, რომელიც ეკლესიის უახლეს ისტორიაში დამკვიდრდა: მას შემდეგ, რაც „ბოლშევიკებმა" რუსეთში მოაწყვეს სახელმწიფო გადატრიალება და ღვთის ერთგულ მსახურთა და მორწმუნეთა დევნა და ხვრეტა დაიწყეს, საპატრიარქო ტახტის კანონიერ მემკვიდრეთა სიცოცხლეშივე, მათი წინააღმდეგობის მიუხედავად, უკანონოდ გააპირველ-იერარქეს ერთ-ერთი მიტროპოლიტი – სერგი სტრაგოროდსკი, რომელმაც 1927 წელს გამოსცა არსებული რეჟიმისადმი მორჩილების გამომხატველი განცხადება („დეკლარაცია"), სადაც ამბობს, რომ მათ ქვეყანაში სარწმუნოების არავითარი დევნა არ მიმდინარეობს, „საბჭოთა სამშობლოს წარმატებები ეკლესიის წარმატებებია და მისი მარცხი – ეკლესიის მარცხი". ამის სანაცვლოდ, მოგვიანებით, 1943 წელს ღვთისმტერმა სტალინმა ის უკვე „გააპატრიარქა" სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევის გარეშე, რომელზეც გადამწყვეტი სიტყვა იატაკქვეშეთში გადასულ („კატაკომბურ") და ემიგრაციაში გასულ სამღვდელოებას ეკუთვნოდა. ეს უკანასკნელნი კი – კატაკომბური და ემიგრაციული ეკლესიები, რომელთაც ღვთისა და მართლმადიდებლობის ერთგული კეთილ-მსახურება დღემდე შეინარჩუნეს, წინააღმდეგნი და მამხილებელნი იყვნენ სერგის მიმართულებისა, რომელიც მაცხოვრის სიტყვათა საწინაარმდეგოდ ქადაგებს კეისრისადმი მიცემას არამარტო კეისრის, არამედ ღვთისაც.

„სერგიანობა" საზოგადო მნიშვნელობით არის ღვთისმსახურთა სატანისმსახური ხელისუფლებისადმი მორჩილება.

<u>4.კითხვა:</u> *როგორ შეაფასებდით ქართველი ერის დღევანდელ მდგომარობას? რა პოზიცია უკავია დღეს საქართველოს ეკლესიას ქართველი ერის ზნეობრივი გადარჩენის საქმეში?*

<u>პასუხი:</u> მხოლოდ სულიერად ბრმა ვერ ხედავს, რომ მიმდინარეობს ქართველი ერის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, ზნეობრივი და ნივთიერი გადაგვარება, გამათხოვრება, ეროვნული სიმდიდრის მითვისება-გასხვისება, „მსოფლიოს ახალი წესრიგის" ძალადობრივი დამკვიდრება და ა. შ. და ამ ყველაფერს უცხო სახელმწიფოთა მიერ დასმული „მთავრობა" ხელმძღვანელობს ხელისუფლებაში ყოფნისა და გამდიდრების სანაცვლოდ. ყველაზე საშიში კი ისაა, რომ ეს ყველაფერი ეროვნულობის („ნაციონალურ") და დემოკრატიის საბურველშია გახვეული. წინა ნეოკომუნისტურმა ხელისუფლებამ შვა ნეოკომკავშირული ხელისუფლება, რომელთა მამამთავარმა ედუარდ-გიორგიმ (ესეც გაუგებარია,

რატომ შეუცვალეს მას სახელი, ბერად ხომ არ აღკვეცილა?! ედუარდიც არის წმიდანის სახელი, კერძოდ, ინგლისის მართლმადიდებელი ხელისუფლისა) „მოქალაქეთა კავშირის" დაარსებისას პირდაპირ განაცხადა: „დღეს იქმნება პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელისუფლებაში დიდხანს იქნება!". დღეს გვახსენდება ერთი წიგნი, რომელსაც სკოლაში „კომკავშირული აქტივი" გვაკითხებდა: „თემური და მისი რაზმი"…

დამისახელეთ საზოგადოებრივად და ზნეობრივად მნიშვნელოვანი ერთი საკითხი, რაზეც საქ. საპატრიარქომ, ან რომელიმე იერარქმა ხმა ამოიღო და ხელისუფლება ან ამხილა, ან შეაგონა. პირიქით, მას ყველაფერში გვერდით უდგანან და მის საქმეებს აკურთხევენ. ასე იყო ეს „ათეისტური" და წინა ხელისუფლების დროსაც, ასეა დღესაც.

<u>5.კითხვა:</u> *უღირსი მღვდლის თემა მეტად მტკივნეულია და დამაფიქრებელი. საქართველოში წლების განმავლობაში მკვიდრდებოდა აზრი იმის შესახებ, რომ მღვდლის მხილება ერისკაცს არ შეუძლიაო და ამით უფალს ვეწინააღმდეგებითო. გვაქვს თუ არა უფლება, მართლმადიდებელ ქრისტიანებს მათი მხილების და რატომ?*

<u>პასუხი:</u> ქრისტიანს უღირსი მღვდლის მხილების მარტო უფლება კი არა, მოვალეობაცა აქვს „სახარებისა" და „სჯულის კანონის" მიხედვით. ეს ჩემისთანა უღირსი მღვდლები ქადაგებენ, მღვდლის მხილება ერისკაცს არ შეუძლიაო. ამის თქმა იგივეა, ავადმყოფს უფლება არ ჰქონდეს უღირსი, ცრუექიმის (მოძღვარი ხომ სულიერი ექიმია) გამოაშკარავებისა. პირიქით, ამ დროს თვალის დახუჭვა ცოდვაა, რადგან საფრთხეს სხვებს არ არიდებ. წინასწარმეტყველი ეზეკიელი გვაფრთხილებს: თუ შენ იხილო მახვილი მომავალი და არ აუწყო შენს ძმას, „სისხლი მისი ხელისაგან შენისა გამოვიძიო!".

ხშირად, მხილებას განკითხვაში ურევენ, მაგრამ ეს უკანასკნელი ცოდვაა, ხოლო პირველი – სათნოება. სხვა საკითხია, რომ ვინმეს და მით უფრო, სასულიერო პირის მხილება სიყვარულით, თავმდაბლობითა და სჯულის ცოდნით უნდა აღესრულოს.

<u>6.კითხვა:</u> *ერთია კიდევ, როგორც კი გულშემატკივრობით სიტყვას იტყვი და რაღაც პრობლემებს წამოსწევ წინ, რაც დღეს ეკლესიაში არსებობს, მაშინვე მტრული ძალები დროს იხელთებენ ხოლმე და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ახალ-ახალ შეტევებს განახორციელებენ ხოლმე.*

<u>პასუხი:</u> ეკლესიის წინააღმდეგ ყველაზე დიდი შეტევა სწორედ მის წიაღში არსებული სიძნელეებისა და სატკივრების უგულებელყოფაა, რაზეც წმ. გრიგოლ ნაზიანზელი გვეუბნება: „დუმილით ღმერთი გაიცემა". პირიქით, როცა ეკლესიისვე წევრები სიმართლეს ამბობენ და სხვებს ასწრებენ ჭრილობების წარმოჩენას, ამით სწორედ „მტრულ ძალებს" უბლაგვებენ მახვილებს. იმის ფიქრი, რომ ეკლესიის სიწმიდის დაცვით მისი მტრები არ გავაძლიეროთო, იგივეა, მგლის შიშით ცხვარი გაწყვიტო.

<u>7.კითხვა:</u> *ზვიად გამსახურდია ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის შავბნელ პერიოდში თამამად ამხელდა და მიუთითებდა საქართველოს ეკლესიაში არსებულ მანკიერ მხარეებზე. თქვენც, მის დარად, გულისტკივილით წერთ საქართველოს ეკლესიაში არსებულ დარღვევებზე. მაინც რა არის ეს დარღვევები; რითაა გამოწვეული ყოველივე ეს, შესაძლებელია ამის შესახებ ლაპარაკი და თუ არა, მაშინ როგორ შეიძლება მათი გამოსწორება?*

<u>პასუხი:</u> სანამ ეკლესიის შესახებ ვიტყოდეთ, მანამდე ერზე ვთქვათ, რადგან ,,რაც ერი, ის –ბერი". ჩვენი ხალხი ხომ ჯერ კიდევ გუშინ ღმერთს ებრძოდა: ტაძრებს ანგრევდა, „ბიბლიას" თქმულებებად ასაღებდა, სამღვდელოებას დასცინოდა, თანამედროვე კერპებს (მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინი) ემსახურებოდა.

კერპთაყვანის-მცემელი ხალხის ცნობიერების შეცვლა კი შეუძლებელია დიდი სინანულისა და ღვთის სიყვარულის გარეშე, რაც დღეს ძალზე ცოტას გააჩნია. ამ წიაღიდან მოდის, ძირითადად, მომავალი სამღვდელოც ეკლესიაში. თქვენ რომ კითხვა ასე დაგესვათ, „რა დარღვევები არ ხდება ეკლესიაში?", პასუხის გაცემაც უფრო გაგვიადვილდებოდა…

ჩვენ ხშირად ერის ადამიანები შემოგვჩივიან ხოლმე, თუ რატომ ხდება ესა თუ ის დარღვევა: მოძღვრები ბოლომდე სიმართლეს არ ქადაგებენ; ზოგიერთი უზნეო ცხოვრების წესსაც კი ეწევა მამათმავლობა, მრუშობა, ნარკომანობა, თამბაქოსა და სხვა მსგავსის მოწევა ; ზოგ ტაძარში ნებაყოფილობითი შესაწირავის მაგივრად ტარიფების (და თანაც, მაღალი) დაწესება, ანუ უფლის სახელით ვაჭრობა, უწიგნურობა, ფანატიზმი, პაპიზმი (პატრიარქის გაკერპება) და ა. შ. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, სამარცხვინოა და ეკლესია ასეთებისგან უნდა განიწმინდოს, მაგრამ ჩვენი ხალხის, თუნდაც მრევლის, უმეტესობა ხორციელი თვალით უფრო მეტს ამჩნევს, ვიდრე სულიერით. არადა, უფრო საგანგაშოა ის, რომ სარწმუნოების სიწმიდის დაცვა არ ხდება ისე, როგორც ეს მართლმადიდებლობას შეჰფერის ანუ როგორც ამას მსოფლიო ეკლესიის ყველა წმიდა მამა გვასწავლის. წარსულს რომ თავი დავანებოთ, მაღალიერარქი რომ რაბინებთან ერთად ილოცებს და არა ქრისტეანებს სინაგოგის აშენების იუბილეს მიულოცავს, ეს უკვე არის არა უბრალოდ ეკუმენიზმი ან თუ გნებავთ, უფრო საშინელება –

პანეკუმენიზმი, არამედ საერთოდ, ქრისტეს გამცემლობა და ამ დროს რა ეკლესიურობაზე და რომელ დარღვევებზე შეიძლება იყოს საუბარი?!

8.კითხვა: *საქართველოს ეკლესია 1962 წლიდან მსოფლიო ეკუმენური საბჭოს ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო. 1997 წლიდან იგი გამოვიდა ამ ორგანიზაციიდან. რა საფრთხეს უქმნიდა იქ ყოფნა საქართველოს ეკლესიას და რა შეიცვალა მისი ეკუმენური საბჭოდან გამოსვლის შემდეგ?*

პასუხი: საქმე ე. წ. „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში" შესვლა-გამოსვლით კი არ წყდება, არამედ იმით, რა არის პირველის, ან მეორის მიზანი. შესვლის მიზანი თუ იქ ჭეშმარიტი აღმსარებლობის – მართლმადიდებლობის დამოწმება და მწვალებელთა „ერეტიკოსთა" მოქცევაა რაც ასე არ ყოფილა , მაშინ არათუ საჭირო, აუცილებელიცაა; ხოლო იძულებით გამოსვლას აზრი არა აქვს, თუ ისევ გრძელდება უკვე ფარულად არამართლმადიდებლებთან თანალოცვა, რაც არის ე. წ. ეკუმენიზმის, ამ ერესთა ერესის ანუ ანტიქრისტეს რელიგიის ქადაგება საქმით, რაც უფრო მჭრელია და სახიფათო, ვიდრე ამის მხოლოდ სიტყვით ქადაგება.

9.კითხვა: *მრავალგვარი სექტები, თუ არატრადიციული რელიგიის მიმდევრები ელვის სისწრაფით მრავლდებიან საქართველოში. მათი კარგი დაფინანსების გამო გაჭირვებული ხალხი ადვილად ებმება ხაფანგში. დღესდღეობით ამ მხრივ კატასტროფული მდგომარეობაა. ამაზე რას იტყოდით?*

პასუხი: სექტების წარმოშობასა და გავრცელებას, საერთოდ, სარწმუნოებრივი უმეცრება და ამპარტავნება იწვევს; ჩვენს ხალხს კი, სამწუხაროდ, არც ერთი აკლია და არც მეორე. მით უფრო, ამას უკიდურესი სიდუხჭირეც თუ ემატება. არის კიდევ სხვა მიზეზი: როცა რწმენის მაძიებელი სექტების წარმომადგენლებთან ხშირად უფრო მეტ პატიოსნებასა და გულმოდგინებას ხედავს, ვიდრე ჩვენისთანა უღირს მღვდელმსახურში, მას განსჯის უნარი არ ჰყოფნის და იმის მაგივრად, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას, ანუ დედას უმკურნალოს, „დედინაცვალთან" გარბის... საქართველოში სექტანტობას მნიშვნელოვნად შეასუსტებს ახალი „რუის-ურბნისის" კრების განმართვა, ანუ ეკლესიის განწმენდა.

10.კითხვა: *მამაო გიორგი, გთხოვთ ჩვენი გაზეთის მკითხველს აუხსნათ, რას ნიშნავს „პროზელატიზმი". ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას კათოლიკებთან, ბაპტისტებთან, მონოფიზიტებთან, მაჰმადიანებთან და იუდეველებთან შეთანხმებას, რომლის თანახმადაც არცერთ მათგანს არა აქვს უფლება, პროზელიტიზმი გასწიოს.*

პასუხი: ამ შემთხვევაში სიტყვით თამაში მოხდა: „პროზელიტიზმი" ბიბლიურადაც და ლექსიკონურადაც ნიშნავს არასწორი სარწმუნოებიდან, ანუ როგორც წმ. მამები იტყოდნენ, ბოროტმადიდებლობიდან მართლ-მადიდებლობაში ვინმეს მოქცევას სიყვარულითა და თავმდაბლობით ქადაგების, განმარტების, სულიერ-ლოგიკური დარწმუნების გზით, ანუ გონებრივზნეობრივი „იძულებით".

საქ. საპატრიარქოს წარმომადგენლებმა კი ტელევიზიითაც და ჩვენთან სატელეფონო საუბარშიც განაცხადეს, რომ ასეთ შეთანხმებებს ხელი მოაწერეს იმიტომ, რომ სიტყვა „პროზელიტიზმი" დასავლეთში ნიშნავს რელიგიური ნიშნით ძალადობას და ამიტომ არ უყვართო... მაგრამ აქ ეს სიტყვა არ უყვართ არა ამის გამო, არამედ აქაური ეკუმენისტ-ნიჰილისტებისათვის პროზელიტობა, როგორც ასეთი, დაუშვებელია, რადგან ვისთვისაც ჭეშმარიტება ღირებულებას არ წარმოადგენს, მისთვის გაუგებარია, რატომ უნდა შეიცვალოს ვინმემ აღმსარებლობა, ან რატომ უნდა იყოს, საერთოდაც, აღმსარებელი?

მაშასადამე, ასეთი ხელშეკრულებებით უკეთეს შემთხვევაში უმეცრების, ხოლო უარეს შემთხვევაში –მკრეხელობის უნებური დაკანონება მოხდა.

11.კითხვა: *საქართველოს პოლიტიკურმა ემიგრაციამ მკაცრი შეფასება მისცა გლდანის ეკლესიის და მისი მრევლის დარბევის ბარბაროსეულ ფაქტს. მართლმადიდებელი მღვდელი ბასილ მკალავიშვილი და მორჩილი პეტრე ივანიძე ციხეშიც კი იმყოფებოდნენ. როგორ აფასებთ მამა ბასილის მოღვაწეობას; რა არის ის შეცდომები, რასაც საეკლესიო კანონმდებლობის დარღვევად მიიჩნევთ და დიდი გულშემატკივრობით, საქართველოს ეკლესიას და მის წინამძღოლს მათი გამოსწორებისაკენ მოუწოდებდით?*

პასუხი: სანამ ხალხის სულიერ-სარწმუნოებრივი შეგნება არ ამაღლდება, მხოლოდ ეკლესია ყველაფერს ვერ გამოასწორებს; თუმცა, ის ამას მაინც ყველა შემთხვევაში უნდა ეცადოს. თუ ისევ შეცდომებზე უნდა ვისაუბროთ, სარწმუნოებრივ საკითხებში შეცდომა იყო გლდანის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვრის ბასილ მკალავიშვილის დასჯა, ხოლო ამავე დროს

მეორე მღვდელის, სხვა ბასილის, კობახიძის, აღზევება. ეს ორი ბასილი ჩვენი განსაკუთრებული ტკივილია. ისე არავინ გაიგოს, გლდანის მრევლის მოღვაწეობის ძალადობრივ ხერხებს ვეთანხმებოდეთ და ვიწონებდეთ, მაგრამ ჩვენ გვახსოვს, რომ თავიდან ეს მრევლი ასეთ შეცდომებს არ უშვებდა.

ისეთი რწმენა, სიმართლისმოყვარეობა, უბრალოება, შემართება, უშიშობა და მამულიშვილობა, რაც მან და მისმა წინამძღვარმა გამოიჩინა, არათუ დასასჯელი, წასახალისებელი იყო და საქმე აქამდე აღარ მივიდოდა. ხოლო მეორე ბასილის შემთხვევაში პირიქით, უკუღმა მოხდა: ჯერ ისეთი სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის კაცის კურთხევა მღვდლად საერთოდ არ შეიძლებოდა; ახლა კი მას, მიუხედავად იმისა, რომ არათუ საქ. ეკლესიის, არამედ საერთოდ, მართლმადიდებლობის მოწინააღმდეგეა.

საერთოდ, რა ხელშეკრულებებიც არ უნდა დადოს ეკლესიამ, ყველაფერი მაინც მისი და ხელისუფლების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რადგან თვით საბჭოთა კავშირშიც კი კანონით აღიარებული იყო „სინდისის თავისუფლება", მაგრამ ყველასთვის ცნობილია, როგორი „თავისუფალიც" იყო მაშინ ადამიანი.

თანაც, ეს „კონკორდატი" შეიცავს რამდენიმე მიუღებელ დებულებას და ეყრდნობა ლენინის 1918 წლის 2 თებერვლის მასონურ დადგენილებას: „ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და სკოლა – ეკლესიისაგან". როგორც წმ. მამა იტყოდა, მართლმადიდებლებს ეუბნებიან: „დადუმდით! სხვას არაფერს ვითხოვთ თქვენგან. მხოლოდ გაჩუმდით და ჩვენც გავჩუმდებით, არაფერს ვიტყვით თქვენს წინააღმდეგ". ძნელი სათქმელია, რა სიკეთეს მოუტანს ეს შეთანხმება ეკლესიას არსებული რეჟიმის პირობებში.

ერთხელ მსგავსი კითხვით მიმართეს ერთ-ერთი ტაძრის წინამძღვარს და როცა მისი პასუხი წავიკითხე, გავოცდი, ისე ამართლებდა ნებისმიერი ფულით ტაძრების შენებას. ჟურნალისტი კვლავ ჩაეკითხა, ეს როგორო, მამაო, იმდენად მიუღებელი იყო მისი პასუხი. ქვეყანამ ჯერ ის ძველი სიწმიდეები უნდა აღადგინოს, რომლებიც თავზე გვენგრევა და ახლები ამის შემდეგ უნდა ააშენოს, მაგრამ არა „შავი" ფულით: „თუ ჩვენ ერთი და იმავე ხელით ერთს ვძარცვავთ, ხოლო მეორეს ვმოსავთ, სასჯელს ვერ ავცდებით…

სჯობს, საერთოდ არ გაიღო მოწყალება, ვიდრე ასეთი" – ამბობდა წმ. იოანე ოქროპირი, რომელსაც ეკლესია მსოფლიოს დიდ მოძღვარსა და მღვდელმთავარს უწოდებს.

12.<u>კითხვა:</u> *თქვენი სიტყვებია: „ვინც ცდილობს, რომ ილია მეორეს ადრინდელი ეკუმენური მოღვაწეობა გაამართლოს, ამბობს, რომ პატრიარქმა ეს ყველაფერი მოინანია". ამაზე დღეს რას იტყოდით?*

<u>პასუხი:</u> საოცარი ისაა, რომ ამას დღეს იგივე ხალხიც ამბობს, ვინც იმ დროს, როცა ჩვენ ეკუმენიზმის ერესს ვეწინააღმდეგებოდით, ამბობდა, პატრიარქს არაფერი აქვს მოსანანიებელიო და ჩვენ კი მის მტრებად გვნათლავდა.

გავიმეორებთ: მას არსად და არასდროს უთქვამს, რომ ეკუმენიზმი ცოდვაა. ხოლო რასაც ცოდვად არ თვლი, იმას არც და ვერც მოინანიებ უფრო ზედმიწევნით მკითხველს შეუძლია იხილოს თქვენს მიერ ნახსენებ ჩვენს წერილში: „საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერის სარწმუნოებრივსაზოგადოებრივი მოღვაწეობა „გარდაქმნიდან" „გარდაქმნამდე", გამოც.„სა. ქ. მ. ე.", N1, პარიზი, 2004წ. ვებ-გვერდი: http://www.saqme.fr .

რატომ იწყებს ეკლესია ახალ წელიწადს შემოდგომის დასაწყისიდან? –იმიტომ, რომ „წელსა შინა პირველსა დღესა სეკტემბრისა თვისასა, მეუფე ჩუენი ქრისტე შევიდა ტაძარსა ურიათასა და იკითხვიდა წიგნსა ისაია წინასწარმეტყველისასა, სადა იგი წერილარს ესრეთ, ვითარმედ „წელიწადი უფლისა შეწყნარებული" (…).

ამისთვის დღესასწაულობს ეკლესია პირველსა მას დღესა ინდიკტიონისასა, რამეთუ ამას დღესა შინა შევიდა ქრისტე ეკლესიასა და გამოუჩნდა მუნ მყოფთა" („ჟამნი", 1. 09).

ლიტურგიკულად დღე-ღამის დასაწყისიც საღამოდან, ანუ მწუხრიდან იწყება, სადღეღამისო ბრუნვის („ციკლი") მწუხრი კი წლიური ბრუნვის შემოდგომას შეესაბამება როგორც შუაღამე – ზამთარს, განთიადი, ანუ ცისკარი – გაზაფხულს და შუადღე – ზაფხულს . მაგ., შაბათ საღამოს „კვირაძალიც" ეწოდება, ანუ უკვე კვირადღე ძალაში შედის, მაგრამ სამაგიეროდ კვირა, ანუ ერთშაბათი ძალაშია მწუხრამდე, საიდანაც ორშაბათი იწყება და ა. შ. (ამიტომ ეკლესიაში შაბათის „მწუხრზე" საკვირაო ლოცვების კითხვა-გალობა მიმდინარეობს).

<u>13.კითხვა:</u> *საბჭოთა ტოტალიტალური სისტემის ეპოქაში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი უხეშად ერეოდა ეკლესიის საქმეებში და უფრო მეტიც, ეკლესიის შიგნით საიდუმლო სამსახურები თავიანთ აგენტებს აწინაურებდენენ. ამის შესახებ ძალიან ბევრი დაიწერა და ითქვა. როგორია თქვენი აზრი ამაზე? შეგიძლიათ, მოიყვანოთ კონკრეტული მაგალითები.*

<u>პასუხი:</u> როგორც ჩვენი საუბრის დასაწყისშივე აღვნიშნე, „სერგიანობა", რომელიც 1927 წლიდან რუსეთის შემდეგ საქართველოში და

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ – საბჭოთა კავშირის მიერ დაპყრობილ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დამკვიდრდა, აკანონებს სასულიერო პირთა უღმერთო ხელისუფლებასთან ნებაყოფლობით „თანამშრომლობას“, რაც ხელ-ფეხს უხსნის სახელმწიფოს, არათუ მღვდელთა შორის შეაგზავნოს საიდუმლო სამსახურის წარმომადგენლები, არამედ საერთოდ, მართოს კიდეც ისინი. ამიტომაც ყოველთვის ვამახვილებთ ყურადღებას „სერგიანობაზე“, როგორც დამღუპველ ერესზე, რომელიც ეკლესიას ართმევს მთავარს – სულიერ თავისუფლებას, რაც თავის მხრივ არის უცილობელი პირობა ადამიანის სულის ცხონებისა, ანუ მარადიულ სამყოფელში უფალთან, წმ. ანგელოზებთან და წმიდანებთან დამკვიდრებისა.

გვახსოვს, სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებაზე, რომელიც 1995 წლის 18-19 სექტემბერს გაიმართა სვეტიცხოვლის ტაძარში, როცა ღვთისმსახურისგან დაისვა შეკითხვა, მართალია თუ არა გამოქვეყნებული საანკეტო მონაცემები (ხაზგასმა ჩვენია – მღვდ. გ. ს.), რომლებიც ზოგიერთი მღვდელ-მსახურის, „აგენტობაზე“ გადაბირებას ასახავს, ერთერთი მათგანი წამოდგა და სინანულით კი არა, სიამაყით განაცხადა, „დიახაც, ვიყავი უშიშროების აგენტი!“. ამას, მეორე დღეს, გამოეხმაურა კათალიკოს პატრიარქი, რომელმაც კრებაზევე სიტყვა-სიტყვით ბრძანა (აი, ეს ხმოვანი ჩანაწერიც):

„მე მინდა შევეხო ერთ ძალიან მტკივნეულ საკითხს, რომელსაც, ასევე, ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა მიაქციოს ყურადღება. გუშინ, მსჯელობის დროს ითქვა, რომ არის შემთხვევები, როცა პრესაში იბეჭდება ამა თუ იმ პირზე, ამა თუ იმ ადამიანებზე იმის შესახებ, თითქოს ეს პირი იყო თანამშრომელი უშიშროებისა. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ საბჭოთა კავშირის ხელისუფლება არის უნიკალური ხელისუფლება;

იყო, მადლობა ღმერთს, რომ იყო და აღარ არის. და თქვენ კარგად იცით, რომ ყოველ ადამიანზე, რომელსაც ოდნავ მაინც რაღაც თანამდებობა ეკავა, აუცილებლად შედგენილი იყო პირადი საქმე. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ამ პიროვნებას, ასევე, არქმევდნენ „ფსევდონიმს“. იყო შემთხვევა, როცა უკავშირდებოდნენ იმას და ეუბნებოდნენ, რომ აი, შენზე გვაქვს ჩვენ ეს პირადი საქმე;

იყო შემთხვევა, როცა ამას არც კი ეუბნებოდნენ და თითქმის ყველა თანამდებობის პირზე, განსაკუთრებით ჩვენს მეცნიერებზე, სახელმწიფო პირებზე, სასულიერო პირებზე იყო შედგენილი ასეთი პირადი საქმე“.

გაუგებარია, რატომ გადავიდა საუბარი პირად საქმეზე, როცა კითხვა შეეხებოდა უშიშროებასთან თანამშრომლობას? ეს ხომ ორი სხვადასხვა რამაა: პირადი საქმე ყველა სახელმწიფოში ყველა მოქალაქეზეა შედგენილი, ხოლო გამოქვეყნებული საანკეტო მონაცემები („სამრეკლო“, 16. 09. 1995, „soviet analist“, X, 95) ყველა მღვდელ-მსახურზე როდი იყო შედგენილი.

იქნებ, ახლანდელმა ხელისუფლებამ მაინც „მიაქციოს ყურადღება“ მამამთავრის სურვილს და ახლახანს საპარლამენტო ოპოზიციის მიერ შემუშავებული ლუსტრაციის კანონი საერო მოხელეებთან ერთად სასულიერო პირებზეც გაავრცელოს?!.

დიახ, რახან თვითონ არ მიდიან, ჩვენ უნდა გავუშვათ. კერძო მაგალითებს კი, უკაცრავად და ჯერ ვერ დავასახელებთ, წმ. პავლე მოციქულის სიტყვისამებრ „დროზე ადრე განკითხვაში“ რომ არ ჩავვარდეთ, ხოლო ზემოხსენებული თვით-მაღიარებელი იყო (და არის) თბილისის წმ. ბარბარეს სახ. ტაძრის მოძღვარი ელგუჯა ლოსაბერიძე (რომლის ხსენებულ კრებაზე გამოსვლის ხმოვანი ჩანაწერიც გაგვაჩნია).

<u>14.კითხვა:</u> *როგორ შეაფასებდით ქართველი ერის სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივი მოღვაწეობას „გარდაქმნიდან გარდაქმნამდე”?*

<u>პასუხი</u>: ეს შეკითხვა, ალბათ, გამომდინარეობს ზემოთდასახელებული წერილის სათაურიდან, სადაც პირველ „გარდაქმნაში” ვგულისხმობდით გველის მიერ პერანგის გამოცვლას 1985 წლიდან, ხოლო მეორეში – 2003 წლიდან, რომელიც თან გვაგონებს მასონური ორდენის – „როზენ-კრეიცერთა” (ვარდიჯვრის) „რევოლუციას”: (ვარდი ხელში დააჭერინეს, ჯვარი დროშაზე დაახატვინეს). უარეს შემთხვევაში – უარყოფითად, ხოლო უკეთეს შემთხვევაში – არადამაკმაყოფილებლად.

როცა სულიერება მაღლდება, მაშინ სახელმწიფოებრივი შეგნებაც უმჯობესდება; ამათზეა დამოკიდებული ზნეობრივი და ნივთიერი კეთილდღეობაც. მაგრამ სამწუხაროდ, ქართველი ერიც და მსოფლიოც დღეს ნეოწარმართულ ხანაში იმყოფება, საიდანაც გამოსვლას ღვთისმოშიშება და დიდი სინანული სჭირდება, რასაც მხოლოდ ერთეულები შეძლებენ. აპოკალიპსი ძალაში შედის.

<u>15.კითხვა:</u> როგორი იმედით უყურებთ საქართველოს მომავალს; რას უსურვებთ ქართველ ერს; რა გადაგვარჩენს?

<u>პასუხი</u>: გავიხსენოთ, როდის ხდებოდა ამა თუ იმ ერის გადარჩენა, აღორძინება და გაბრწყინება. ამის მაგალითად გამოგვადგებოდა წმ. კეთილმსახური მეფის – დავით IV აღმაშენებლის ხელშეწყობით ქართლში, რუისსა და ურბნისში გამართული საეკლესიო კრება (1105წ.), როცა

საქართველოს ეკლესია, რომელიც იმხანად, ამავე კრების შეფასებით რომ ვთქვათ, „ქვაბ ავაზაკთა“ ქცეულიყო, უწმინდური შენარევისგან განიწმიდა მსგავსი რამ მოიმოქმედეს თავის დროზე მეფეებმა – წმ. თამარმა და გიორგი ბრწყინვალემ , რასაც დაემატა წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ საქართველოდან წაყვანილი და საბერძნეთში აღზრდილი 80 ბავშვის, ბოლოს ისევ სამშობლოში მღვდლებად დაბრუნებულთა და მათ სულიერ შთამომავალთა კეთილმოღვაწეობა, რის შედეგადაც მივიღეთ „ოქროს ხანა“.

აი, რა იყო ამ კრების პირველივე დადგინება: „პირველ რიგში, განვკვეთეთ და მღვდლობის პატივი ჩამოვართვით ისეთ ეპისკოპოსებს, რომლებიც ღირსეულად ვერ ატარებენ მღვდელმთავრობის პატივს და უღირსნი არიან პირველმწყემსმთავრის – ქრისტესი, რადგან სიწმინდის შეხება არაწმინდისგან არ შეიძლება. ღვთის ახლოს მყოფი ცეცხლის ახლოს მყოფია და აუცილებელია, რომ სუფთა ოქრო იყოს.

ასეთნი არ შეგვიკრავს, არც შეგვიჩვენებია, ღმერთმა ნუ ქნას! არამედ უბრალო ერისკაცებთან ერთად ზიარების უფლება მივეცით, თუ ამიერიდან სიწმიდეს შეინახავენ. მათ ნაცვლად დავადგინეთ სხვები, ასაკითაც და საქმითაც სარწმუნონი, რომლებმაც კეთილად გამოაწრთეს ხორცი და დაუმორჩილეს სულს“. და მით უფრო დღეს, როცა ბოლო ასწლეულში, რომელსაც ატომისა და კოსმოსის საუკუნესთან ერთად ცოდვის საუკუნეც შეიძლება ეწოდოს, უღმერთო ხელისუფლებათა მმართველობის შედეგად საზოგადოება და შესაბამისად, სამღვდელო დასი „რაც ერი, ის – ბერი“ სულიერადაც და ხორციელადაც თვალსაჩინოდ შეიმწიკვლა, საერთოდ, მსოფლიო ეკლესიას და ქართულსაც სჭირდება ორგზისი „რუის-ურბნისი“. ეკლესიის განწმედის შედეგად, მისცემს რა კეთილ მაგალითს ხალხს, ეს უკანასკნელიც გამოსწორდება და აქედან გამომდინარე – გადარჩება, რადგან ღმერთი წმიდანების, მართლების ლოცვას ისმენს („მტყუანს ლოცვაც ცოდვად ჩაეთვლება“ – ფსალმ.) და ასევე, ეკლესია ისტორიულად თავისი სიწმიდითა და ღირსებით აქცევდა ხალხს სარწმუნოებაში, რადგან ერის ძირითადი ნაწილი, უბრალო ხალხი, ღვთის სიღრმეებს გონებით ვერ წვდება; მას სასულიერო პირთა პირადი ზნეობრივი მაგალითი ანუ საქმითი ქადაგება აღძრავს და აღაფრთოვანებ ღვთისაკენ და ეკლესიისადმი ნდობა უჩნდება; შედეგად კი შემოქმედის სამსახურში დგება.ვისაც სურს, საკუთარ სულსაც უშველოს და ერსაც, უნდა შეწყვიტოს ცოდვები და განიწმიდოს. ასეთ ადამიანსა და ხალხს ყველაფერი კეთილად წარემართება. ეს არის გადარჩენის ერთადერთი გზა.

<u>16.კითხვა:</u> *და ბოლოს, თქვენი დღევანდელი საქმიანობის და მომავლის შესახებ. რამ გაიძულათ საქართველო დაგეტოვებინათ? ძნელია, ალბათ, უცხოობაში ყოფნა და ცხოვრება.*

<u>პასუხი:</u> ჩვენ აქ ვართ ქართულ მრევლთან ერთად, რომელიც თავისი სულიერებით, ადამიანობითა და ყველაფრით ბევრად აღემატება თავის მოძღვარს. ვცდილობთ, აღვზარდოთ, განვსწავლოთ და მოვამზადოთ ახალგაზრდები ჭეშმარიტ მორწმუნეებად, მამულიშვილებად, მომავალ ღირსეულ მღვდლებად და მღვდელმთავრებად, რომელთა გვერდით ადგილი აღარ ექნება ჩვენისთანას. მანამდე კი ერთად ვმუშაობთ საღვთისმეტყველო ნაშრომთა თარგმანებსა და გამოცემა „ს.ა.ქ.მ.ე”-ს მორიგ გამოშვებებზე. რაც შეეხება მომავალს, ის ყოველთვის ღვთის ხელშია და მას კაცი ბოლომდე ვერასდროს გამოთვლის. უცხოობაში ყოფნა მართლაც ძალიან ძნელია. სამშობლოდან შორს გადასახლება, საერთოდ, სასჯელია; დღეს კი თავით თვისით ვისჯით თავს. პირადად ჩვენ აქ იმიტომ ჩამოვედით, რომ სულიერი თავისუფლება შეგვენარჩუნებინა, რაც არ გაიცვლების არც კარიერაში და არც ნივთიერ კეთილდღეობაში (ეს „სალი კლდეების უკვდავების ხეზე” და „ჩემი სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზე” გაცვლაში არავის აერიოს .

მ ო ს ა ზ რ ე ბ ა

გიორგი ივანიაშვილი-ორბელიანი
მეცნიერი, მწერალი
"International Centre for Social Research and Policy Analysis"-ის თავმჯდომარე

1985 წლის 27 სექტემბერს, გაზეთ „ვაშინგტონ თაიმსში" გამოქვეყნდა ცნობილი ამერიკელი პალეო-კონსერვატორი პოლიტიკური მიმომხილველის, ჯონ ლოფტონის სტატია სახელწოდებით - „ბატონი შევარდნაძის უცნობი სახე".

პალეოკონსერვატიზმი, როგორც ვიცით, არის პოლიტიკური იდეოლოგია, რომლის ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს ქრისტიანულ ღირებულებებზე დაფუძნებული ტრადიცია და მორალი.

1975 წელს, რადიო თავისუფლების მიერ წარმოდგენილი კვლევის მასალებზე დაყრდნობით, სტატიაში ავტორი დაწვრილებით აღწერდა 1965-1972 წლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ შევარდნაძის მიერ სასჯელაღსრულების სისტემაში დამკვიდრებულ არაადამიანურ წამებებზე, რის შედეგადაც ციხეები „ჯოჯოხეთურ სასაკლაოდ" იყო გადაქცეული. ციტირება:

"When Sevardnadze was minister of internal affairs in the Republic of Georgia, he personally authorized the torture of people detained in Georgian prisons...In one of these documents, one of these "pressure cells" in Georgia - under the control of Mr. Shevardnadze - is described as a slaughterhouse and a place for the MVD hangmen's orgies where the most horrible tortures were used: beating with iron bars, prodding with steel needles and rods, hanging up by the feet, burning parts of the body with lighted cigarettes, holding under a hot shower, homosexual rape, and so on."

კონსერვატორულ ტრადიციებზე მდგარი რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის წასვლის შემდეგ, ეს სტატია, ისევე როგორც შევარდნაძის დანაშაულებრივი წარსულის მამხილებელი სხვა მრავალი მასალა, უცნაურად გაქრა ამერიკული პრესიდან. 1989 წლიდან დაიწყო მასირებული პროპაგანდა დასავლეთში შევარდნაძის „ჰარდლაინური" რეპრესიული იმიჯის რებრენდინგისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე ორიენტირებული ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციის მიზნით.

ოფიციალურ ვაშინგტონს მიეწოდებოდა გამიზნული დეზინფორმაცია ქართული ნაციონალიზმის საფრთხისა და არაფორმალური პოლიტიკური ჯგუფების ხელისუფლებაში მოსვლის დაუშვებლობის შესახებ.

1990 წლის 24 აპრილით დათარიღებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტში, (მისი დასახელებისგან ამჟამად შეგნებულად ვიკავებ თავს), საუბარია „დემოკრატიისთვის უაღრესად საშიშ ქართულ შოვინიზმზე, რომელიც მიმართული იყო საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ჩაგვრისკენ."

ამ დოკუმენტში აქცენტი გაკეთებულია საქართველოს დამოუკიდებ-ლობის აღდგენის მიზანშეუწონლობაზე და სანაცვლოდ ფედერალური სტატუსის გაფართოებაზე რეფორმირებულ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

ამ პროცესში განსაკუთრებული როლი უნდა ეთამაშა კომუნისტურ პარტიასთან ზომიერ ოპოზიციაში მყოფ „სახალხო ფრონტსა" და „რუსთაველის საზოგადოებას", რომლებსაც თავის დროზე, მერაბ კოსტავამ სპეცსამსახურების ინსპირაციით შექმნილი ფსევდო-ოპოზიცია უწოდა. როგორც ვიცით, „წითელი ინტელიგენციით" დაკომპლექტებული „სახალხო ფრონტიც" და „რუსთაველის საზოგადოებაც", ე. წ. „ეროვნულ კონგრესთან" ერთად, იქცნენ მთავარ დესტრუქციულ ძალებად ზვიად გამსახურდიას ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობასა და შევარდნაძის რევანშისტული გეგმის განხორციელებაში.

შესაბამისი დეკლასიფიცირებული წყაროებიდან ირკვევა, რომ ანტიქართული შეთქმულების უკან იდგნენ რენეგატი ქართველები, რომლებიც ბოლო ოცდახუთი წელია განასახიერებენ ე. წ. ქართულ „ელიტას".

ეს რუკა ერთერთია ჩემს ხელთ არსებულ იმ

უნიკალურ ისტორიულ დოკუმენტებს შორის, რომლებიც ადასტურებენ საქართველოს ისტორიულ საზღვრებს და მის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას ევრაზიის რეგიონში. ლეგიტიმური სუვერენიტეტის აღდგენა ამ ტერიტორიულ საზღვრებში შესაძლებელი იყო 1991-92 წლებში, თუ საქართველო გახდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალ-მემკვიდრე. ამ საკითხში არ არსებობდა არავითარი წინააღმდეგობა დასავლეთში 1991 წლის სექტემბრამდე, როდესაც მოსკოვიდან შევარდნაძისა და სხვა რენეგატი ქართველების ორგანიზებით დაიწყო მასშტაბური დეზინფორმაციული პროპაგანდა და დესტრუქციული ქმედებები დამოუკიდებელი საქართველოს იმიჯის დისკრედიტაციის მიზნით. ბევრს დღემდე ჰგონია, რომ ეს იყო შიდა კონფლიქტი - რევანშისტული ძალების ბრძოლა გამსახურდიას მთავრობის დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, სინამდვილეში კი ყველაფერი მიდიოდა კრემლის ფარული სცენარის მიხედვით, რომელიც დაიგეგმა 1991 წლის მაისში გორბაჩოვისა და შევარდნაძის მიერ და რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში პოლიტიკურ კოლაფსს, რათა ჩაშლილიყო ისტორიული სამართალ-მემკვიდრეობის მიღების საკითხი, როგორც ეს მოხდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში. კრემლის ანტიქართული სცენარი წარმატებით განხორციელდა კომუნისტი და კომკავშირელი ნომენკლატურის, „წითელი ინტელიგენციის" და კგბ-ს მიერ ზვიად გამსახურდიას მთავრობასა და ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებში ჩანერგილი აგენტების ხელით, ხოლო საერთაშორისო თანამეგობრობამ საქართველო ცნო როგორც საბჭოთა წიაღიდან ახლად აღმოცენებული სახელმწიფო და არა როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლეგიტიმური სამართალ-მემკვიდრე. ქართული პოლიტიკური კონიუნქტურა და სახელმწიფო ინსტიტუტები - ხელისუფლება, პოლიტიკური პარტიები, მსხვილი ბიზნესი, მედია, ჯიბის NGO-ები, უნივერსიტეტები დღემდე იმართება ერთი სისტემის - მეხუთე კოლონის მიერ, ამიტომაცაა, რომ ქვეყანაში იბლოკება ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული, სტრატეგიული მნიშვნელობის თემები. ერს, რომელსაც არ შესწევს წინაპართა სისხლით მოპოვებული, საერთაშორისო სამართლით აღიარებული ლეგიტიმური სუვერენიტეტის შენარჩუნებისა და ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიების დაცვის უნარი და რომელიც კარგავს ცივილიზირებული განვითარების ისტორიულ შესაძლებლობას რენეგატი მეხუთე კოლონის ხელით, ვერასდროს გახდება თავისუფალი და დამოუკიდებელი, სანამ არ გააცნობიერებს საკუთარ უსუსურობას, გაყალბებულ წარსულს და არ მოუხმობს ღირსებას რათა აღადგინოს სამართლიანობა.

გადახედეთ ზნეობრივად და ინტელექტუალურად დეგრადირებულ ქართულ პოლიტიკასა და მედიას - რა თემებია აქტუალური და როგორი პრიმიტივი და ოდიოზური სახეები გამოდიან არენაზე. ეს გამორჩენის მაძიებელი და ყველაფერზე წამსვლელი მედროვეები ვერ ააშენებენ სამართლებრივ, ხალხის ინტერესებზე ორიენტირებულ დემოკრატიულ სახელმწიფოს, როცა, მათ, ჯერ კიდევ, საკუთარი იდეოლოგიური ორიენტაცია და პარტიული ინტერესები ვერ გაურკვევიათ?

მახსენდება ფინეთის ეროვნული გმირის, კარლ გუსტავ მანერჰაიმის გენიალური სიტყვები - „ვაჭრუკანების, მსტოვრებისა და კარიერისტების მიერ აშენებული ქვეყანა არავის უნახავს. სახელმწიფოს იდეალისტები და პატრიოტები ქმნიან, რომლებიც მზად არიან უყოყმანოდ

შესწირონ თავი სამშობლოს". ფინეთი წარმოადგენს კლასიკურ მაგალითს იმისას, თუ როგორ შეიძლება მცირე ხუთ მილიონიანმა ერმა გმირული თავდადებით და ეროვნული კონსოლიდაციით შეძლოს კრემლის იმპერიალისტურ აგრესიასთან გამკლავება. საქართველო, კი ისტორიაში დარჩება, როგორც მეხუთე კოლონათა ღალატის მსხვერპლი, რომლის ანალოგი მსოფლიო ისტორიაში არ მოიძებნება. ფაქტია, რომ ფარისეველთა ცხვრის ფარის იდეალებით ნასულდგმულევ ოდიოზურ სისტემას დიდი ხნის არსებობა არ უწერია. ტრაგიკომიკური ქართული რეალობის ფონზე, ერთი ძველი რომაული ანდაზა მახსენდება - „გუბე თავიდანვე თუ არ დააშრე, ის აშმორებულ ჭაობად იქცევა და ირგვლივ ყველაფერს წაბილწავს". თუმცა სიბრიყვის, უმეცრების, პრიმიტივიზმის, ფარისევლობის, ანგარების ჭაობმა იმდენი ვინმე ჩაითრია შიგნით, რომ არა მგონია ახლო მომავალში მისი დაშრობა მარტივად მოხერხდეს. აზროვნებისა და კულტურის დეგრადაცია 25 წლის წინაც აშკარა იყო, მაგრამ ვერასდროს წარმოვიდგენდი თუ საქართველო ასეთი უნიათობის, გაუნათ-ლებლობის, მდარე ღირებულებებისა და პროვინციული პრიმიტივიზმის ტყვეობაში მოექცეოდა.

იმის გამო, რომ საქართველოში ყველანაირად დაიბლოკა ლუსტრაციისა და ტრანზიციული მართლმსაჯულების განხორ-ციელება (რასაც წარმატებით გაართვეს თავი ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა), ანტი-ქართულმა ფსევდო-ლიბერალურმა დესტრუქციულმა ძალებმა შექმნეს კორუმპირებული და იმავდროულად კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი პოლიტიკური სისტემა, რომელსაც არჩევნებიდან არჩევნებამდე ხელისუფლებაში მოჰყავს დისკრედიტირებული ავანტიურისტები და მათი ლაქია ქვეშევრდომები. სიმპტომატურია, რომ ჯონ ლოფტონის სტატიაში აღწერილი შევარდნაძის ზღვარგადასული რეპრესიული პოლიტიკა, მთელი 9-10 წლის განმავლობაში, გაუკუღმართებულ ხელწერად იყო ქცეული მისი ზნედაცემული პოლიტიკური მემკვიდრეების ხელში, რამაც არა მარტო განაჩენი გამოუტანა მათ ოდიოზურ რეჟიმს, არამედ გამოიწვია მმართველობის კრიზისი და ქვეყანა სახელმწიფოებრივი კოლაფსის წინაშე დააყენა. ქართული პოლიტიკური მმართველობის სისტემისთვის დამახასიათებელ ანომალიურ სიმპტომთა შორის, განსაკუთრებით გამოკვეთილია კომპრომატებზე დაფუძნებული შერჩევის პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, თანამდებობებზე ინიშნებიან დისკრედიტირებული, ღირსების შემლახველი, ანტისახელმწიფოებრივი და სხვა დანაშაულებრივი წარსულის მქონე ფარისეველი ადამიანები, რომლებიც მონური ერთგულებით ემსახურებიან ყველა ხელისუფლებას. ძველი ანდაზაა - ოქროს ცეცხლი გამოცდის, ხალხს კი უფლის მიერ მოვლენილი განსაცდელიო. ეტყობა, ამ ღვთისაგან დავიწყებულ ქვეყანას განსაცდელი მარადიულ სასჯელად ექცა, რადგან ჭეშმარიტების მქადაგებელი მართლმადიდებლური ეკლესიაც კორუმპირებული დანაშაულებრივი სისტემის თანაზიარი აღმოჩნდა. უცნაურია, როდესაც მილიონიანი მრევლი მხოლოდ დღეს, ბინძური ინტრიგების მსხვერპლი სასულიერო პირის ისტორიიდან გებულობს, რომ თურმე საპატრიარქო ყოფილა ზნედაცემულ ფარისეველთა თავშესაფარი. საინტერესოა, რატომ სტუმრობს ხშირად პატრიარქის რეზიდენციას ამდენი დისკრედიტირებული და საეჭვო რეპუტაციის მქონე „ცნობადი სახე", მაშინ როდესაც რიგითი მორწმუნეებისთვის საპატრიარქოს კარი დახშულია?! ძალიან მაინტერესებს „პატრიარქის" პასუხი იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ აღუდგნენ წინ ქრისტეს ჯვრით ის და მისი ხელდასმული მღვდელმთავარნი 1991-1993 წლებში კრემლის მიერ ინსპირირებულ საქართველოს ანექსიას და რატომ დაულოცეს გზა სამხედრო გადატრიალების გზით მოსულ, კგბ-ს მიერ მართულ რენეგატ მეხუთე კოლონას, რომელმაც დაასამარა ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობა ისტორიულად კუთვნილ საზღვრებში. როგორც სჩანს, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიაც იმ თავსმოხვეული ექსპერიმენტების მსხვერპლად იქცა, რის შესახებაც წმინდანად შერაცხული საქართველოს პატრიარქი ამბროსი ხელაია გულდაწყვეტილი წინასწარმეტყველებდა 1922 წელს გენუის კონფერენციისადმი მიწერილ წერილში.

საქართველოში ძალიან რთულია სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის სეკულარული პრინციპების ამოქმედება, ვინაიდან ორივე მათგანი წარმოადგენს ერთიანი კორუმპირებული სისტემის განუყოფელ ნაწილს და იმართება ჯერ კიდევ საბჭოთა უშიშროების ორგანოების მიერ ჩანერგილი „დანოსჩიკებითა" და კოლაბორაციონისტებით, ვისთვისაც უცხოა ღირსება და ქრისტიანული მორალი. მათ არ აწყობთ ერთიანი, ძლიერი, ქრისტესმიერი ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის ერთგული ეკლესია, რომელიც პოლიტიკური ძალების ზეგავლენის ქვეშ არ მოექცევა. ამიტომაც, სისტემა ცდილობს ხელისუფლებაშიც და მაღალ საკლესიო იერარქიებშიც ააღზევოს ისეთი დისკრედიტირებული პირები, რომლებსაც მათი კომპრომიტირებული წარსულის გამო იოლად

გააკონტრელებს. დღევანდელ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში, როდესაც ხელისუფლებას პრაქტიკულად აღარ დარჩა მოსახლეობის მხარდაჭერის რესურსი, რთული წარმოსადგენი არ არის, თუ ვისი ინტერესები დგას ამ იაფფასიანი ინტრიგების მიღმა.

საქართველოში არაფერი არ შეიცვლება, სანამ ქართველი ხალხი ანგარიშს არ გაასწორებს რენეგატი „მეხუთე კოლონის" მიერ გაყალბებულ წარსულთან. აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, ამ პროცესში მთავარ იარაღად ლუსტრაცია და ტრანზიციული მართლმსაჯულება უნდა იქცეს. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მორალურად და ინტელექტუალურად დეგრადირებულ ქართულ რეალობაში, დემოკრატიული, სამართლებრივი და ეკონომიკურად მდგრადი სახელმწიფოს მშენებლობა საკმაოდ რთული იქნება. მართვის სისტემა მთლიანად უნდა შეიცვალოს და დაკომპლექტდეს კვალიფიციური, კომპეტენტური, სახელმწიფოებრივ ინტერესებზე ორიენტირებული პიროვნული რესურსით, რომლებიც შეირჩევიან მკაცრად განსაზღვრული მერიტოკრატიული მეთოდით: პრიორიტეტი მიენიჭება კონკურენტუნარიან, ხარისხიანი შედეგების მომცემ პროდუქტიულ კადრებს, და არა საქართველოში აპრობირებული მახინჯი პრაქტიკით შერჩეულ ბალასტ კარიერისტებს.

როგორც საქართველოს უახლესი ისტორია გვიჩვენებს, მორალთან, ზნეობასთან და ღირსებასთან შეუთავსებელი რეჟიმები ყოველთვის კრახს განიცდიდნენ, რადგან არ გააჩნდათ ჭეშმარიტ ფასეულობებზე დაფუძნებული იდეოლოგია. დღევანდელ პროვინციულ ქაქოკრატიასაც, თავისი გაბანკროტებული წინამორბედის მსგავსად, ისტორიის ანალოგიური განაჩენი ელოდება, მაგრამ მთავარი ის არის, თუ როდის შეძლებს ქართველი ხალხი ჭეშმარიტისა და ყალბის ერთმანეთისგან გარჩევას, საკუთარი წარუმატებლობის მიზეზების გააზრებას, სახელმწიფოებრივი ინტერესების გარშემო კონსოლიდაციას და შელახული ღირსების აღდგენას.

პარადოქსული „მეტასტაზები", რომლებიც ძირს უთხრიან საქართველოს სახელმწიფოებრიობას და ქვეყანას აყენებენ რევოლუციური ცვლილებების აუცილებლობის წინაშე, ჩემის აზრით, შემდეგია:

1. ყალბ ღირებულებებზე დაფუძნებული ცნობიერება, რომელიც ახდენს მორალის, ზნეობის, ცივილიზებული აზროვნების, სახელმწიფოებრივი თვითშეგნების იგნორირებას. ასეთი დამანგრეველი ცნობიერების დამკვიდრება განპირობებულია როგორც ჯანსაღ ეროვნულ ფასეულობათა ნგრევით, ისე პიროვნული გაუნათლებლობითა და კულტურული დეგრადაციით, რამაც მოიცვა საზოგადოების ყველა ფენა და ინსტიტუტი;

2. ქვეყანას მართავს პარადოქსულად არაკანონიერი, არაკომპეტენტური ხელისუფლება, რომელსაც არავითარი ნდობა არ გააჩნია მოსახლეობაში. პარლამენტის თავმჯდომარე, ვიცე-სპიკერები, კომიტეტის თავმჯდომარეები, პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, მათი მოადგილეები, დანიშნულნი არიან მონური ერთგულების, და არა ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის მიხედვით. მათი მმართველობის პირობებში საქართველოს არ გააჩნია განვითარების არანაირი პერსპექტივა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ მათი მორალური და ინტელექტუალური შესაძლებლობები ვერ გაწვდებოდა ჯანსაღი პოლიტიკური რეფორმების შემუშავებასა და განხორციელებას;

3. ენდემური სიღატაკე და სოციალური კრიზისი შედეგია იმისა, რომ საქართველოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსები არ წარმოადგენს ხალხის საკუთრებას და ისინი ერთეული ოლიგარქების ხელშია. ინფლაცია განპირობებულია უმწვავესი ეკონომიკური კრიზისით, რომელიც თავის მხრივ გამოწვეულია სახელისუფლებო სტრუქტურებში ფესვგადგმული კორუფციით, არაკომპეტენტურობით, არაეფექტურობით და უპასუხისმგებლობით. ქვეყანა მთლიანად დამოკიდებული გახდა იმპორტზე, რის შედეგადაც კატასტროფულად შემცირდა მთლიანი ეროვნული პროდუქტის დონე და ადგილობრივი წარმოება, რამაც ძირი გამოუთხარა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შესაძლებლობას;

4. დემოკრატიისთვის რეალური საფრთხე მის ფსევდო-წარმომადგენლობაშია. როგორც უახლესმა 25-წლიანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, საქართველოში წარმომადგენლობითმა დემოკრატიამ სრული კრახი განიცადა ქართულ საზოგადოებასა და მმართველ ინსტიტუტებში დამკვიდრებული ენდემური კორუფციის გამო. უფრო მეტიც, ფსევდო-დემოკრატიის ფსევდო-წარმომად-გენლობითმა გადახრებმა ქვეყანა ავანტიურისტთა ექსპერიმენტების მსხვერპლად აქცია. მათი მორიგი მზაკვრული ჩანაფიქრი - პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესის გაუქმება საბოლოოდ მოსპობს დემოკრატიას საქართველოში და ქვეყანას უკიდურესად საშიში ვითარების წინაშე დააყენებს. ასევე კატეგორიულად მიუღებელია ოლიგარქის მიერ თავსმოხვეული მეორე უკიდურესობა, რამაც ქვეყანას ზარალის მეტი არაფერი მოუტანა - ტყუილი დაპირებებით თავსმოხვეული უნიათო და უფუნქციო პრეზიდენტი, რომელიც მხოლოდ ტვირთად აწევს ისედაც გაღატაკებულ მოსახლეობას.

სახელმწიფოებრივი კოლაფსი, რომელზეც მე დიდი ხნის წინ დავიწყე საუბარი, სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ კრიზისთა ერთობლიობა, რომელთა აღმოფხვრაც რადიკალური რევოლუციური დემოკრატიული ცვლილებების გარეშე წარმოუდგენელია. დემოკრატიულ რევოლუციურ ცვლილებებში მე ვგულისხმობ მხოლოდ მის კლასიკურ ონტოლოგიას - იმედგაცრუებული ხალხის უზენაეს ნებას იბრძოლოს უკეთესი მომავლისათვის, რომლის განხორციელება შესაძლებელი გახდება იმ შემთხვევაში, თუ დაიწყება ზეპარტიულ ინტერესებზე მდგომი ჯანსაღი ძალების გამოკრისტალება ქვეყანაში.

ჩემი წინაპრები საუკუნეების მანძილზე იმისთვის არ ქმნიდნენ საქართველოს ისტორიას, რომ ეს ქვეყანა ჩეკისტების შთამომავლებისა და პრიმიტივი მედროვეების საპარპაშო პოლიგონად ქცეულიყო.

არსებულ არალეგიტიმურ და დანაშაულებრივი გზით თავსმოხვეულ სისტემასთან ზნეობრივი და მსოფლ-მხედველობრივი შეუთავსებლობა მაიძულებს ვიბრძოლო ბოლომდე, რათა გამოსწორებულ იქნას უდიდესი ისტორიული უსამართლობა საერთაშორისო სამართლის პრაქტიკაში, რომელიც დაშვებულ იქნა 1991-93 წლებში საქართველოსთან მიმართებაში, რამაც ამ ქვეყანას წაართვა ლეგიტიმური სამართალმემკვიდრეობის, სუვერე-ნიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ცივილიზირებულ ერ-სახელმწიფოდ ჩამო-ყალიბების შესაძლებლობა. დიდი ხანია ვამბობ იმას, რომ საქართველო დადგებოდა გარდაუვალი სახელმწიფოებრივი კოლაფსის წინაშე, რადგან დასავლური ტიპის დემოკრატია ვერასოდეს აშენდებოდა ტოტალიტარული რეჟიმის მსახურების - საბჭოურ წიაღში კგბ-ს მიერ აღზევებული კომკავშირელი აპარატჩიკებისა და „წითელი ინტელიგენციის" მიერ, რომლებმაც გააყალბეს ქვეყნის უახლესი ისტორია, შექმნეს საკუთარ თავზე მორგებული კორუმპირებული მართვის სისტემა და მენტალურად მოწამლეს ახალგაზრდა თაობები. საინტერესოა რას ფიქრობდა საქართველოს პატრიარქად წოდებული ილია მეორე მათეს სახარების მეცხრე თავის შესახებ („...არავინ ასხამს ახალ ღვინოს ძველ ტიკებში, თორემ დახეთქავს ახალი ღვინო ტიკებს, თვითონაც დაიქცევა და ტიკებიც უვარგისი გახდება"), როდესაც ათეისტი შევარდნაძისა და მისი არალეგიტიმური სისხლიანი რეჟიმის კურთხევას ახდენდა. როგორ უნდა იცხოვრო მშვიდად ქვეყანაში, სადაც ყველაფერი ყალბია - კონსტიტუცია, ხელისუფლება, ისტორია, განათლება და თვით ეკლესიაც კი. ამიტომაც ჩემთვის პატრიოტიზმი უკომპრომისო ბრძოლაა ისტორიული სამართლიანობის აღდგენისთვის და არა გაიდიალებული წარსულის რომანტიკა, რომელიც ისედაც გედის სიმღერასავით ჩაისმის ახალ ისტორიულ ეპოქაში.

ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად, ანუ: ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის: „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში

(წაკითხულ იქნა მოხსენებად ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე, ბათუმში, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2013 წლის 26 სექტემბერს, საკონფერენციო მოხსენებისთვის განკუთვნილი დროის შესაბამისი, მოკლე ვერსიით).

შესავალი, ანუ: საკითხის დასმისათვის

დამეთანხმებით ალბათ, რომ ისევე, როგორც მთელი კაცობრიობის ისტორიაში, ცალკეული ერის ისტორიაშიც შეიძლება უამრავი რამ იყოს აუხსნელი და იდუმალებით მოცული. პრობლემა, რომელსაც უნდა შევეხო, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელგანთქმულ მეფეთა დღემდე აუხსნელსა და საიდუმლოებად დარჩენილ სამეფო ტიტულს - „დავითიანს“- შეეხება , იგი, ეს ტიტული, არ გახლავთ სამუზეუმო, თვალ-მარგალიტით მოჭედილი მამა-პაპეული სკივრიდან ამოღებული, არავისთვის საჭირო და გამოუყენებელი სამკაული. ეს გახლავთ სრულიად აქტუალური, შეიძლება ითქვას, ისტორიოსოფიურთან ერთად საკმაოდ პოლიტიკური, თანამედროვე მსოფლიოს მსოფლმხედველობრივად მამოძრავებელ ძალებთან დაკავშირებული, და, მართალია, ქართული საზოგადოებრიობისა და ქართველი ხალხის მიერ ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი მაგრამ სადღეისოდ უჩვეულოდ მტკივნეული, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი ეკლესიურ-სულიერი და ეროვნულ-სულიერი ცხოვრების ცხელ ხაზზე გამავალი პრობლემა: საკითხი ეხება საქართველოს მეფეთა წოდებას „დავითიანებად“, უფრო ზუსტად: საქართველოს მეფეთა ერთერთი დინასტიის, ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელ მეფეთა სამეფო ტიტულატურის სახით არსებულ ისტორიულ განსაზღვრებას.

და, როგორც ირკვევა, იმისათვის, რომ „დავითიანის“, საქართველოს მეფეთა ტიტულატურის ეს სიღრმისეული და ნამდვილი მნიშვნელობა ავხსნათ, ჯერ ქართველი ერის ეროვნული მეობის, მისი ისტორიული სულიერი მისიისა და ღვთით მონიჭებული, ეპოქალური საკაცობრიო დანიშნულების ამოხსნა უნდა შევძლოთ. ფაქტობრივად, საკითხი ეხება თავად ქართველი ერის ფენომენალური რაობისა და ვინაობის ისტორიულ ასახვას საქართველოს მეფეთა ტიტულში, რაც ძალზედ აქტუალური და მნიშვნელოვანია; მნიშვნელოვანია, ერთი შეხედვით, ფარულად, ხოლო, თუ ჩავუკვირდებით, სრულიად აშკარად და ღიად, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე, დღევანდელი სახელმწიფოებრივი პროცესების კონტექსტში ძალზედ მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ქართველი ერის ფენომენალური ვინაობის სადღეისო განსაზღვრებისა და შემეცნებისათვის, და, აქედან გამომდინარე, მისი საკაცობრიო მისიის აღსრულებისათვის, არამედ თავად საქართველოში მიმდინარე პროცესების რეალური მნიშვნელობის გადაუდებელი ამოკითხვისა და გაცნობიერების აუცილებლობისათვისაც.

ჩემი დღევანდელი მოხსენების მთავარი პრობლემა, ცნობილი ტერმინი რომ გამოვიყენო, არ მინდა წარმოგიდგინოთ შეფუთული ბიზან-ტინოლოგიური მეცნიერების „ლურჯ ჩულქებში“. იგი აუცილებელი პასუხია იმ სადღეისო მსოფლმხედველობრივ გამოწვევებზე, რომლებზეც პასუხისმგებლობა ქართულ მეცნიერებას ეკუთვნის.

გამოწვევა ბაგრატიონთა „დავითიანობის“ ახსნისათვის, ანუ რას ვგულისხმობ „ცხელ ხაზზე გამავალ პრობლემაში“?!

მკითხველი უნდა თავიდანვე გავაფრთხილო, რომ სანამ საკუთრივ ბაგრატიონთა დავითიანობას შევეხებოდეთ, საკმაოდ ვრცელი წიაღსვლები დაგვჭირდება იმ რეალობის საჩვენებლად, რომლის ჭრილშიაც უნდა გახდეს გასაგები „ დავითიანობის“ ნამდვილი შინაარსიც, სადღეისო გამოწვევის მიზანიც და აქედან გამომდინარე, მნიშვნელობაც პრობლემის ახსნისა.

სათქმელის წანამძღვრად მინდა ქართული მეცნიერების ისტორიაში მომხდარი ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გავიხსენო: მე -20-ე საუკუნის 40-იან 50-იან წლებში, როდესაც მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე, ქართველმა აკადემიკოსმა, შალვა ნუცუბიძემ და ბელგიელმა აკადემიკოსმა ერნესტ ჰონიგმანმა, ეკლესიის მამათა აზროვნებაში ყველაზე მნიშვნელოვან თხზულებებად მიჩნეული არეოპაგიტული თეოლოგიური ტრაქტატების ავტორად საუკუნეთა განმავლობაში დაფარული და საიდუმლოებად აღიარებული პიროვნება გააცხადეს და ეს დაფარული და საიდუმლო პიროვნება აღმოჩნდა ბიზანტიაში მოღვაწე ქართველი უფლისწული, პეტრე იბერი, ევრო-ამერიკულ სამეცნიერო სივრცეში, დაისვა საკითხი, აღმოჩენილი ავტორის ეროვნული ვინაობის გარკვევისა: საკითხი „პეტრე იბერის“ ფენომენიდან გადატანილ იქნა „ იბერობის“ ფენომენზე: შეეძლო თუ არა იმ ერს, რომლის წარმომადგენელიც პეტრე იბერი იყო, თავისი სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალით, თავისი სულიერი განვითარების დონით, მეხუთე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ, მსოფლიოსთვის მიეცა იმხელა მოაზროვნე, რომელიც წინ წაუძღვებოდა ახალ ქრისტიანულ მსოფლიოს, წაუძღვებოდა არა მხოლოდ ამქვეყნიურ ეკლესიურ იერარქიულ ცხოვრებაში, არამედ ყველაზე იდუმალი ყოფიერების, ქვეყნიერების ყველაზე იდუმალი, ყველაზე მიუწვდომელი მიღმეთების წვდომაში?! საკითხის ამგვარი დაყენება, ცხადია, ამზეურებს მსოფლიო საზოგადოებრიობის ყველაზე მაღალი შრეების დონესაც ქართველი ხალხის ვინაობის ცოდნაში.

მოგეხსენებათ, თანამედროვე მსოფლიო რეალობაში, საქართველო, საუკეთესო შემთხვევაში, ცნობილია, როგორც ერთერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანა. ქართველი ერის, თავისი უფალივით ჯვარცმული ერის ბრწყინვალე ორიათასწლეულმა ქრისტიანულმა ისტორიამ მართლაც გადაფარა მისი წინარექრისტიანული წარსული, რითაც ერთგვარად დააზარალა კიდეც მისი, ქართველი ერის ამ წინარექრისტიანული წარსულის მსოფლიო-ისტორიული რეიტინგი. შეიქმნა მომხიბლავი შთაბეჭდილება, თითქოს საქართველო იწყება ქრისტეს მოვლინებასთან ერთად, მაშინ როდესაც ქრისტიანულ საქართველოს წინ უძღვის ქართველი ერის, თითქმის კაცობრიობის ისტორიის ტოლი, საკუთარი ბიოგრაფია, საკუთარი რელიგიური ცნობიერების უმდიდრესი ევოლუცია და ისტორია. სრულიად განადგურებულია მისი წინარექრისტიანული ნივთიერი წერილობითი ძეგლები . . . არქეოლოგიამ ვერ შესძლო ამაღლება საქართველოს ტერიტორიების სათანადო სიღრმეებისათვის... თავის დროზე, შლიმანმა, მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგმა, რუსეთის იმპერიული ხელისუფლებისაგან ვერ მიიღო ნებართვა საქართველოს ტერიტორიაზე გათხრების საწარმოებლად ... მეოცე საუკუნის დასასრულს კი, ევროპას, რუსეთისაგან გამოთა-ვისუფლებული და დამოუკიდებელი საქართველოსაგან , ბაქო-ჯეიჰანის ნავთსადენებისა და გაზსადენების ჩაწყობა აინტერესებდა მხოლოდ საქართველოს მიწაში ... ქართველი ერის უძველესი ისტორია ენათმეცნიერული „არქეოლოგიური გათხრების“, მითებისა, ეთნოგრაფიული და ხალხურ-ზეპირსიტყვიერებითი საგანძურის ანაბარაა დარჩენილი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრი თავის კვლევაში შეეცადა აღედგინა კავშირი წინარექრისტიანულ ქართულ თეოლოგიურ აზროვნებასა და ქრისტიანულ აზროვნებას შორის. ჯერ კიდევ 1979 წელს გამართულ ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე ჩვენ შევეხეთ ნეოპლატონური „ერთის“ გაგებას, როგორც ქალდეური თეოლოგიიდან მომდინარეს, რაც მხედველობიდან არ გამორჩენია ნეოპლატონური აზროვნების შემაჯამებელი თხზულების: პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის პირველსაფუძვლების“ ცნობილ ინგლისელ კომენტატორს, ბ-ნ დოდდს.

აღნიშნულ სიმპოზიუმზე წარდგენილ მოხსენებაში: „დედაუფლისათვის, ანუ გელათის აკადემია და ბერძნული ფილოსოფიის დასასრული“, სრულიად დამოუკიდებლად მსოფლიო მეცნიერებისა, ჩვენ დავიწყეთ ძიება სათავისა, რომელიც ბიბლიურ თეოლოგიაში ახსნიდა ლოგიკურ შეუსაბამობას სამყაროს შემოქმედ მამა ღმერთსა და მის მიერ მამაკაცად და დედაკაცად შექმნილ ადამიანს შორის: „ხატად და მსგავსად ღვთისად“. შეუსაბამობა მდგომარეობდა იმაში, რომ ბიბლიური შემოქმედი იყო ერთი, ერთსაწყისიერი და ამასთან მხოლოდ მამა, მისი ანარეკლი და მსგავსი კი, ანუ ხატი ღვთისა - დედაკაციცა და მამაკაციც, რაც უსათუოდ ნიშნავდა იმასაც, რომ ხატად ღვთისად განკუთვნილობის უფლებამოსილება და ღირსება თანაბრად ჰქონდათ მინიჭებული დედაკაცსაც და მამაკაცსაც. ეს თეოლოგიურ - ლოგიკური შეუსაბამობა შემოქმედსა და შექმნილს შორის ეთიკურ ლეიტმოტივად გასდევს ბიბლიის მთელ პირველ ნაწილს, ანუ მოსე წინასწარმეტყველის მიერ გადმოცემულ ცხოვრების წესებსა და ზნეობრივ კანონებს. უფრო ზუსტად: დედაკაცისა და მამაკაცის ეს თანაბარი უფლებამოსილება ხატად ღვთისად ყოფნისა, სამყაროს და ადამიანის შექმნის ბიბლიური გადმოცემის შემდეგ, ანუ „შესაქმის“ პირველი თავის შემდეგ, მთლიანად ამოვარდნილია და სინას მთიდან ჩამოტანილი და გამოცხადებით მიღებული მოსეს სჯულით დაკანონებულია მამაკაცის უპირატესობა და დედაკაცის კნინი მიმართება უფალთან. მარტო ეს ფაქტიც საკმარისია იმისათვის, რომ დაკვირვებულმა მკითხველმა დაასკვნას ორი სხვადასხვა ცნობიერების არსებობა ბიბლიაში, რომელთაგან პირველი, ანუ დედაკაცისა და მამაკაცის თანაბარი უფლებამოსილების წარმომჩენი, არამოსესეული, ანუ არაებრაულია.

ჩვენ მივაგენით, რომ გელათის ფილოსოფიურ აკადემიაში, დავით აღმაშენებლის მიერ „სხუად ათინად და მეორე იერუსალიმად“ დაფუძნებულ ქართულ-შემეცნებით სავანეში, ბიზანტიის იმპერიიდან თავად საქართველოს დიდად მოაზროვნე მეფის მიერ მოწვეული მოძღვართ-მოძღვრის, ნეოპლატონურ-ქრისტიანულად მოაზროვნე ქართველი ფილოსოფოსის, იოანე პეტრიწისეული ხედვით, ბიბლიური თეოლოგიის ერთი ღმერთი ორსაწყისიერ ღვთაებრივ რეალობად განიმარტებოდა, ანუ დედურ-მამურ ღვთაებრივობად. სწორედ იმის გამო, რომ სამყაროს შემოქმედი ძალა არ შეიძლებოდა დაშვებულიყო, როგორც ერთსაწყისიერი ღმერთი,, ნეოპლატონიზმმა, „ერთი“, როგორც უზენაესი ღვთაებრიობა, შემოქმედზე მაღლა აიყვანა, ხოლო

ის, რაც სამყაროს შემქმნელ ღვთაებრივობად ცნობიერდებოდა, კანონიზირდებოდა ორსაწყისიერების გარდუვალ ერთიანობად, გამოსხივებულად და გამომდინარედ ერთისაგან.

უნდა მიმეგნო, და ამეხსნა, როდის და როგორ მოხდა კაცობრიობის რელიგიურ - თეოლოგიური აზროვნების ისტორიაში დედური საწყისის ჩამოჭრა სამყაროს შემოქმედი ღვთაებრივი ძალისაგან, როდის დაკარგა ზეციურმა ევამ უფლებამოსილება ზეციური ტახტის ფლობისა და სამყაროს შექმნაში მონაწილეობისა?! რომელმა ადამიანურმა ცნობიერებამ ალაგმა სამყაროს დიდი დედა, ანუ ქართველთა დიდი დედა ნანა, იგივ სამყაროს დიდი „ადგილის დედა“ ზეციური ყოფიერებიდან?

აი, რა მტანჯავდა და რა მაწუხებდა ასახსნელად. პრობლემას აშკარად მივყავდი ქალდეველებისაკენ, რადგან უნდა ამეხსნა, საიდან იწყებოდა ბიბლიური თეოლოგია?! სად იყო სათავე ებრაული ერთი ღმერთის. ხაზგასმით მინდა შევნიშნო, საკითხის თეოლოგიურმა ძიებამ მიმიყვანა ქალდეველებთან და არა ისტორიულმა პრობლემებმა, როგორც ეს ხდებოდა ჩემი წინამორბედი ქართველი მკვლევარების ხედვაში. მიმიყვანა ქალდეური და ბიბლიური რელიგიური ცნობიერების შეჯახების ისტორიულ მომენტთან. თუ თანამედროვე და გახმაურებულ პოლიტიკურ ტერმინოლოგიას გამოვიყენებ ცნობილი ამერიკელი ებრაელი პოლიტოლოგის, სამუელ ჰანტინგტონის თეორიისას „ცივილიზაციათა შეჯახების“ შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ სამყაროს დიდმა დედამ ზეციური უფლებამოსილება დაკარგა დიდი ქალდეური ცივილიზაციისა და პიროვნულ საწყისში მოცემული პოტენციური ებრაული ცივილიზაციის ისტორიული შეჯახების მომენტში. ებრაელთა პირველი მამამთავრის, აბრაამის ცნობიერებისა და ქალდეური ცნობიერების შეჯახების მომენტში. პირადად ჩემს ხედვაში თანამედროვე მსოფლიოს ახალი წესრიგი სათავეს იღებს ამ ორი ცივილიზაციის შეჯახების საიდუმლოებაში და შესაძლოა, ეს დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკის სადავეთა პყრობის მომენტი კულმინაციაა აბრაამის სულისკვეთებისა, რომლის პერსპექტივაც მხოლოდ ფინანსურ ბერკეტებზეა დაშენებული და დამდგარი და არა ღვთაებრივი ჭეშმარიტების წვდომასა და წყურვილში(იხ. დანართი 1: „ქალდეველები და ქართველები“). ჩვენ დაგვჭირდა ქალდეური ცნობიერების, როგორც მეხუთე საუკუნის, ანუ პეტრე იბერის დროინდელი ქართული ცნობიერების წინამორბედი ცნობიერების ამოწევა და ჩვენება მისი რელიგიური სურათისა, როგორც უფრო არქაული და ძალზედ ნათესაური, ქართული, ანუ იბერიული ცნობიერების განგრძობის, იბერიულ-ქართული ცნობიერების, როგორც კაცობრიობის ისტორიის ტოლი რელიგიურ - შემეცნებითი წარსულისა, ქართველი, ანუ იბერიელი ხალხის. ამრიგად არეოპაგიტულმა ცენტრმა პეტრე იბერის „იბერობის“ ფენომენის განსაზღვრისათვის მსოფლიო მეცნიერებას მოუმზადა იბერიული ცნობიერების განმარტება, როგორც ქალდეურისა და ქართული ცნობიერების ერთმთლიანი ფენომენის, რომლის წარმომადგენელიც მეხუთე საუკუნეში პეტრე იბერი იყო. ბუნებრივია, არეოპაგიტულმა ცენტრმა კვლევაში ქართველოლოგიური მიმართულება მიიღო, რასაც შედეგად მოჰყვა საერთოდ მთელი ქართული ქრისტიანობის, როგორც ერთიანი მოვლენის სრულიად ახალი, ქალდეური გაგება ... შემდეგ კი მთელი ქართული ქრისტიანობის, როგორც მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი მისტერიის წარმოჩენა ... ეს უკვე სრულიად საგანგებო საკითხია. (იხ.: დენიზა სუმბაძე - „მცხეთელი მოგვები და ქართული ქრისტიანობის მისტერია“).

ჩვენდა სასიკეთოდ ისტორიკოსმა ვახტანგ გოილაძემ გამოაქვეყნა ინფორმაცია პეტრე იბერის მოხსენიებისა გარკვეულ კოპტურ წრეებში „პეტრე კარდუხად“, რაც ისტორიკოსისათვის მადასტურებელია ფაქტისა, რომ ქართველური ტომები მოიხსენიებოდნენ აგრეთვე ამგვარი სახელწოდებითაც.

ჩვენის აზრით პეტრე იბერის კარდუხობა უმნიშვნელოვანესია სხვა რაკურსითაც: იგი უსათუოდ მეტყველებს იმაზედ, რომ ქრისტიანულ საიდუმლო წრეებში ინახებოდა ცოდნა იბერობისა, ანუ ქართველობისა და კარდუხობის, ანუ ქალდეველობის იგივეობრივობისა, რაც კოპტური მაგალითით გამოვლინდა. ეს ცოდნა დროთა ვითარებაში დაიკარგა მიზანმიმართულ გარემოებათა გამო. უკვე იოანნე პეტრიწის (XI-XII ს.) მსჯელობაშიც კი, როდესაც იგი საუბრობს ქალდეურ, ელინურ და ებრაულ სიბრძნეებზე, ეს იდენტიფიკაცია ჩამქრალია. მე-19 საუკუნეში, ევროპელთა სენსაციური არქეოლოგიური გათხრების შემდეგ, რომლითაც აღმოჩნდება, რომ ბიბლიური კოსმოგენეზისის თეორია გადმოსესხებაა ქალდეური სიბრძნისმეტყველებიდან, საქართველოს მომავალი კათალიკოს-პატრიარქი, კირიონ მეორე, ერისკაცობაში ისტორიკოს-არქეოლოგი გიორგი სპარაგლიშვილი, მადლობის შეძახილით მიმართავს ევროპის მეცნიერებს, რომელთაც თავიანთი არქეოლოგიური შემეცნებით ქართველთა საქმე გააკეთეს.

კირიონ კათალიკოსის ამ წერილს პირადად მივაგენით მის ისტორიულ არქივში და გამოვაქვეყნეთ. სამწუხარო აღნიშვნის ღირსია, რომ საქართველოს ეკლესიას არავითარი რეაგირება არ გამოუჩენია ასეთ მნიშვნელოვან დოკუმენტზე. ეს ყველაფერი ცალკე და ძალიან დიდი, ამასთან ჩვენი შემდგომი მსჯელობების დროს გასათვალისწინებელი საკითხებია...

ქრისტიანული ორიათასწლეულის გასრულებით, საქართველო, მსოფლიო ისტორიულსა და მსოფლიო-პოლიტიკურ პროცესებში ჩართული, და ამ პროცესების შედეგად, ე. წ. საბჭოთა იმპერიისაგან გამოცალკევებული, თავისი ფორმალური სახელმწიფოებრივი დამოუ-კიდებლობით, გადის მსოფლიო რეალობის ერთიან დიდ სივრცეში, რომელშიაც მისი ნამდვილი ისტორიული ვინაობა ჩამქრალია. მსოფლიოს აქტიურ ცნობიერებაში, იგი, საქართველო, ქართველთა ქვეყანა, როგორც ეროვნული სუბიექტი, თითქმის უცნობია. 90-იან წლებში, საქართველოში, თბილისში, იმდროის საქართველოს ე. წ. პრეზიდენტის - ედუარდ შევარდნაძის რეზიდენციაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, ცნობილი ამერიკელი პროფესორი, რიჩარდ პაიპსი გულწრფელად აცხადებს, რომ ამერიკის კონგრესში, თავში არავის მოუვაო აზრად, თბილისი იგულისხმოს, როდესაც ჩვენ მივდივართო „ჯორჯიაში“. „ჯორჯია“, ინგლისური სახელწოდება „საქართველოსი“, ამერიკელისთვის არისო მხოლოდ აშშ-ების ერთ-ერთი შტატი.

პროფესორ პაიპსის ამ განცხადების მომენტში, საქართველოს ხელისუფლება მსოფლიოს დაინტერესებას საქართველოთი და მსოფლიოს მხედველობით არეში მოქცევას, მისთვის, მსოფლიოსთვის საინტერესო ნავთსადენების გაყვანით ჰპირდება ქართველ ხალხს. - ყველასთვის ცნობილი ბაქო - ჯეიჰანის ნავთსადენებით.

ასე რომ, თანამედროვე ერაყსა, ანუ ქალდეველთა ისტორიული ქვეყნის ტერიტორიასა და დღევანდელი საქართველოს ტერიტორიას შორის, მსოფლიოს დილეტანტურ პოლიტიკურ ცნობიერებაში, მაერთიანებელი ცნება ხდება „ნავთი“ და მიუხდავად იმისა, რომ პროფესორი პაიპსი ამ დილეტანტური ინფორმაციის წარმომადგენლია, რაღაც შინაგანი ძალის კარნახით, მაინც აცხადებს გულწრფელი გაფრთხილებით: საქართველო ჩაებაო მსოფლიოს ისეთ სახიფათო პოლიტიკურ თამაშებში, საიდანაც, შესაძლოა ის ყოველთვის ვერ გამოვიდესო გამარჯვებული ... მადლობა მას ამ გულწრფელი გაფრთხილებისათვის!

ასე რომ საქართველო და ქართველი ერი, ეს უზარმაზარი ისტორიისა და ცივილიზაციების გადამტანი ქვეყანა და ხალხი, თავისი საკაცობრიო მისიით, მსოფლიოს სახიფათო პოლიტიკურ თამაშებში გაუცნობიერებლად ჩაბმული, ამასთან კაცობრიობისათვის ვინაობადაკარგული და მნიშვნელობა-დაკარგული ხალხის სახით, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე ღვთით დაწესებული, მსოფლიოსთვის

უცნობი მგზავრივით და საკუთარი ისტორიის გადარჩენილი ნამსხვრევივით დგას კაცობრიობის კართან, და შესაძლოა, განგების ძალით, კაცობრიობის გადარჩენა ამ ნამსხვრევის თავად კაცობრიობისმიერ გადარჩენაში იყოს ჩადებული.

კაცობრიობის ისტორიაში ქართველი ერის ჩაკარგვის გოდება და საგალობელი, შექმნილი არა უგვიანეს მეათე საუკუნისა: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“- ქართული ენის ჩაკარგვის გოდებაში აცხადებს მისტერიას თავად ქართველი ერის ვინაობის ჩაკარგულობისას; აცხადებს „ერის ჩაკარგულობის“, როგორც „ენის დამარხულობის“ გრძლიობასაც ოთხი ათასეული წლით.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული საგალობლის გზით, ქართველი ერის ცნობიერებაში, მის ეროვნულ თვითგამორკვევაში, ზუსტად არის განსაზღვრული და მონიშნული საზღვრები ქართული ენის გაყვანისა კაცობრიული ისტორიის ასპარეზიდან. „ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს“-ო, გვაუწყებს საგალობლის ავტორი და „ყოველი საიდუმლოთი“ მიგვანიშნებს არა ეროვნული ისტორიის იდუმალყოფაზე, არამედ უზოგადესად ყოველის, კაცობრიობის ისტორიის ყოველი საიდუმლოს დაკავშირებულობას ქართული ენის დამარხულობის საიდუმლოსთან ოთხი ათასეული წლით!

უჩვეულოდ ერწყმის ერთმანეთს ქართული საგალობელი: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ და იოანეს სახარებაში გადმოცემული, ჯვარცმისწინარე აღთქმა იესო ქრისტესი: ჩემი წარმოგზავნილი სულიწმინდა ილაპარაკებსო ჩემგან და ის აგიხსნით და ის გაგიცხადებთო ყველა საიდუმლოს: „მე მამას შევევედრები და ის სხვა ნუგეშისმცემელს გამოგიგზავნით“(იოანე 14,16). „ხოლო ნუგეშისმცემელი კი, სულიწმინდა, რომელსაც ჩემი სახელით მოავლინებს მამა, ყველაფერს გასწავლით და ყველაფერს გაგახსენებთ, რაც თქვენთვის მითქვამს“(იოანე 14,26). „თუ არ წავედი, ნუგეშისმცმელი ვერ მოვა თქვენთან...(16,7). „კიდევ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ვეღარ იტვირთავთ“ (იოანე 16,12). „როცა მოვა იგი, სული ჭეშმარიტებისა, შეგიძღვებათ ყოველ ჭეშმარიტებაში. თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ იმას ილაპარაკებს, რასაც ისმენს, და მომავალს გაუწყებთ თქვენ. იგი განმადიდებს მე, რადგან ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ. ყველაფერი, რაც მამას აქვს, ჩემია. ამიტომ გითხარით: ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ-მეთქი.“(იოანე 16,7).

მაცხოვრის სიტყვები: „სულიწმინდა, რომელსაც ჩემი სახელით მოავლინებს მამა, ყველაფერს გასწავლით“ - ნათელს ხდის იმ ჭეშმარიტებას, რომ წმინდა სამებაში ერთარსული და თანაარსული არსებობით, მაცხოვარი განუყოფელია სულიწმიდისაგან და განუყოფელია სულიწმიდის მოვლინების ჟამსაც.

იოანეს სახარების ეს ჩვენს მიერ ხმობილი ფრაგმენტები ფუნდამენტური მნიშვნელობისაა სულიწმიდის მოვლინების გზით ქრისტეს ახალი მოსვლის მისტერიის შემეცნებისათვის. აქ არ არის საუბარი ღვთიური სულის გადმოსვლაზე სულთმოფენობის ფორმით, როცა მოციქულები ალაპარაკდებიან მათთვის უცხო ენებზე. აქ არა მხოლოდ განპიროვნებული სახეა სულიწმიდისა მოცემული, არამედ გარკვეული ფორმით ქრისტეს ახალი მოსვლის სახეც არის გაცხადებული: - „მამისაგან ჩემით წარმოგზავნილი სულიწმინდა თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ რასაც ჩემგან მოისმენს, იმას გაუწყებთო“. ფაქტიურად, იესო ქრისტე აქ, როგორც ვხედავთ, სულიწმიდის წარმოგზავნის ფორმით მოდის. სულიწმინდის სახით. შეიძლება ითქვას, რომ იესო ქრისტეს ალაპარაკება სულიწმიდის პიროვნულ მოვლინებაში იოანეს სახარებისეული განმარტებაა იესო ქრისტეს შემდგომი მოსვლისა. პირდაპირი განგრძობაა იოანეს სახარებისა იოანე ზოსიმეს სახელით ცნობილი ეზოთერული თხზულება-საგალობელი: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. ქართული ენის ამ ქრისტიანულ-ეზოთერული საგალობლით, ნაწინასწარმეტყველებია სწორედ ალაპარაკება უფლისა მეორედ მოსვლის ჟამს იმ ენაზე, რომლის ქება-დიდებასაც ეს საგალობელი ეძღვნება საგალობლის ავტორისა და წინასწარმეტყველისაგან. ამ წინასწარმეტყველებით უფლის მეორედ მოსვლა და ყველა საიდუმლოს გაცხადება, ქართულ ენაზე უნდა მოხდეს. ცხადია, აქ არ არის მეორედ მოსვლის, როგორც ქვეყნის დასასრულის შინაარსი. პირიქით. აქ საუბარია ქვეყნიერების განსაცდელის ჟამს ნუგეშინისმცემლის მოვლინებაზე იესო ქრისტეს სახელით.

ქართული ქრისტიანულ - ეზოთერული საგალობელი: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, ხელნაწერი ტექსტი ამ საგალობლისა, დიდმა ქართველმა მეცნიერებმა, ივანე ჯავახიშვილმა და ნიკო მარმა, 1902 წელს ჩამოიტანეს სინას მთიდან. ამ დროს, 1902 წელს, ქართველი ერის დიდი პატრონი და უდიდესი ავტორიტეტი, „ქვათა ღაღადის“ ავტორი ილია ჭავჭავაძე ცოცხალი იყო, მაგრამ ილიას აზრი ამ საგალობელზე ქართული ენის შესახებ, არ გაგვაჩნია. როგორც ჩანს, იმ დროისათვის, ქართველ მეცნიერთაგან, ინტერესი და ჩაღრმავება ამ საგალობლისადმი, მის ტექსტოლოგიურ მნიშვნელობას არ გასცდენია და რა დასანანია, რომ ეს თხზულება აზრის გამოსათქმელად ილიამდე არ მიუტანიათ არც მარი ბროსესა და ალექსანდრე ცაგარელს, რომელთაც ეს თხზულება უფრო ადრე, ივანე ჯავახიშვილზე და ნიკო მარზე უფრო ადრე ჩაუვარდათ ხელთ ... მარი ბროსეს მიერ ფრანგულად გამოქვეყნებული ტექსტისათვის არც ევროპელებს მიუქცევიათ თავის დროზე რაიმე ყურადღება.

ილია ჭავჭავაძე პირველი იყო ქართული ეროვნული თვითშემეცნების ისტორიაში, რომელმაც დაიწყო ძიება იმისა, თუ რა იყო მიზეზი ქართველი ერის ვინაობის ასეთი ამოშლისა ცივილიზებული მსოფლიოს ცნობიერებიდან. ამ თვალსაზრისით იგი საქართველოს დაწერილი ისტორიითაც უკმაყოფილო იყო. ილია ჭავჭავაძემ ხმამაღლა გააცხადა თავისი კრიტიკული პოზიცია ქართველთა უძველესი მატიანის: „ქართლის ცხოვრების“ მიმართაც. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ შესასწავლია თავად ილია ჭავჭავაძე, რადგან არ ვიცით და გასარკვევია, რას გულისხმობდა იგი იმ სიტყვებში, როდესაც წერდა:“ ჩვენს ისტორიას გვითითხნიანო“.

ერთი კი ცხადია: ჩვენს ხედვაში, შეუმჩნევლად, თუ შესამჩნევად, საქართველოს ისტორიის უმნიშვნე-ლოვანესი მოვლენების ინტერპრეტაციას „ქართლის ცხოვრებაში“, ებრაული ინტერესების კვალი ამჩნევია, რაც ქართულ მეცნიერებაში ჯერჯერობით მსჯელობის საგანი არ გამხდარა. რას ვგულისხმობთ ამ „ებრაული ინტერესების კვალში“?

ებრაული ინტერესების კვალი „ქართლის ცხოვრებაში"

ქართველი ერის ქრისტიანული ისტორიის „ქართლის ცხოვრებისეული“, ანუ ქართველთა უძველესი მატიანისეული ასახვით, ქართველთა ქრისტიანობას ებრაელები იწყებენ, რამდენადაც ქრისტეს პირველ მაღიარებლებად საქართველოში, იქ ,სადაც ქრისტიანობა იწყება, კერძოდ საქართველოს ძველ დედაქალაქში, და უძველეს რელიგიურ ცენტრში, მცხეთაში, ებრაელები არიან წარმოდგენილნი, ამასთან ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იესო ქრისტე ცოცხალია და ისინი, ეს ახალგაზრდა მცხეთელი ებრაელები, ჯერ არც იერუსალიმში წასულან და არც კვართი ჩამოუტანიათ იქიდან ებრაელი დედის დავალებით. „ქართლის ცხოვრების“(!) მიხედვით მცხეთელმა ებრაელებმა უკვე წინასწარმეტყველურად იციან, რომ მოახლოვებულია ჯვარცმა განკაცებული ღმერთისა - იესო ქრისტესი და მიდიან იერუსალიმში. და სწორედ მათ, ებრაელებს ჩამოაქვთ ქართველთა უდიდესი სიწმინდე იერუსალიმიდან: კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ე. ი. ჩვენი ჯვარცმული უფლის კვართი, იერუსალიმიდან მცხეთაში, ჩამოაქვთ მათ, მცხეთაში მცხოვრებ ებრაელებს, მოდგმასა და ნათესავს იმ ხალხისას, რომლის მწიგნობარნიც და ღვთისმსახურნიც ემზადებიან ქრისტეს ჯვარცმისათვის, ხალხისა, რომელთაც თავიანთ ქვეყანაში ჯვარს აცვეს მაცხოვარი. „ქართლის ცხოვრებით“ გამოდის, რომ თავიანთ ქვეყანაში ებრაელებმა ჯვარს აცვეს იესო ქრისტე, ხოლო საქართველოში, იმავე ებრაელებმა, ამბის გაგებითაც კი, რომ ჯვარს აცვეს მაცხოვარი, თავები დაიხოცეს. მხედველობაში გვყავს, რაღათქმაუნდა, დედა და და ელიოზ მცხეთელისა. ღვთის შეწევნით, ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა, გაგვერკვია, რომ, ეს იერუსალიმიდან მაცხოვრის კვართის ჩამომტანი „ებრაელები“, სინამდვილეში მცხეთაში დამკვიდრებული ქალდეველი მოგვები არიან და არა ებრაელები, ამასთან ქალდეველ მოგვთა იმავე წრის წარმომადგნელნი, რომელნიც, მათეს სახარების მიხედვით, ქრისტეს შობის საუწყებლად, იერუსალიმში ჩადიან „აღმოსავლეთიდან“ (იხ. გაზეთი „ივერია“, 2003, ნიუ იორკი, „მცხეთელი მოგვები და ქართული ქრისტიანობის მისტერია“, ასევე, ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ (რედაქტორი-ვაჟა ოთარაშვილი, 2005 წ.), დენიზა სუმბაძის მოხსენება: „ქართული ქრისტიანობის მისტერიალური მნიშვნელობის გაგებისათვის“, 2011 წ. 27 ივლისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამავე თემაზე მოხსენება თსუ ფილოსოფიის ინსტიტუტში, სერგი დანელიასადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე).

„ქართლის ცხოვრებისეული“ გვიანი, ცხრა საუკუნის შემდგომი ჩანაწერი ამ ისტორიული მოვლენისა, საუფლო კვართის ჩამოტანისა იერუსალიმიდან მცხეთას, მემატიანემდე მოღწეული ზეპირი გადმოცემის გზით, მცხეთაში მცხოვრები ქალდეველი მოგვების ვინაობის აღრევას ვერ არკვევს მცხეთაში მცხოვრები ებრაელი ურიების ვინაობაში. ყოველივე ეს ინფორმაციულ დაწმენდას საჭიროებს. მაგრამ ეს კიდევ ცალკე საკითხია ... საქმე იმაშია, რომ გარდა ამ კვართის ჩამომტანი „ებრაელებისა“, „ქართლის ცხოვრებით“ გადმოცემულ გარკვეულ ეტაპებზე, საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა მთელი წარმომადგენლობა, ფაქტობრივად, მთელი დინასტია , მეექვსე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნემდე, საკუთრივ ქართველი ერისეული, ქრისტესთვის ჯვარცმული ერისეული ისტორიის მთელი ხანგრძლივობა, განმარტებულია, როგორც ისრაელიანთა მეფის - დავით წინასწარმეტყველისაგან გენეტიკურ შთამომავლებად გაგებულ მეფეთა ისტორია. ასე განსაჯეთ, „ქართლის ცხოვრებით“, თვით დავით აღმაშენებელი 78-ე თაობა ყოფილა დავითის, ისრაელიანთა მეფისა. აქედან გამომდინარე, ჩვენი დიდი თამარი, ძნელი დასაანგარიშებელი არ არის მერამდენე თაობა იქნება დიდი პაპისაგან.

ქართველ ბაგრატიონთა ეს უხანგრძლივესი, უდიდესი და უდიადესი დინასტია, როგორც განსახიერება ქართველი ხალხის ღვთით მიმადლებული წარმომადგენლებისა: დავით აღმაშენებელი, მისი მამიდა, ბიზანტიის უბრწყინვალესი დედოფალი, მართა-მარიამ ბაგრატიონი, საქართველოს თორმეტი მეფე - გიორგის სახელით საქართველოს სამეფო ტახტზე, და ე. ი. თვით გიორგი ბრწყინვალე, რომელმაც მონღოლთაგან გაწმინდა საქართველო, თვით თამარ მეფე, რომელმაც უპრეცენდენტოდ კეთილშობილი პრინციპებით საქართველოს ისტორიის ოქროს ხანა შექმნა და ა. შ., ფაქტიურად მთელი ქრისტიანული საქართველოს ისტორია ებრაული წარმომავლობის მეფეთა ისტორია ყოფილა და საქართველო სა-ებრაელო ყოფილა და არა სა-ქართველო.

უკანასკნელ წლებში ისრაელიდან ჩამობრძანებულმა პროფესორებმა, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებით, ისიც გვაუწყეს, რომ პირველი ქართული ბაზილიკური ეკლესიები არქიტექტურულად ებრაული სამლოცველოების მოდელიდან, სინაგოგადან არიანო მომდინარენი, ხოლო ქართველთა განმანათლებელი და ქრისტეს რწმენაზე საბოლოოდ მომაქცეველი, წმინდა ნინოც - კაბადოკიელი ებრაელი ყოფილა. უფრო მეტი: ჩემთვის ერთერთი საპატივცემულო მოძღვარი ჩვენი ეკლესიისა, არც ისე დიდი ხნის წინ, მოულოდნელად აქვეყნებს პოეტურ ნოველას, რომელშიც ვახტანგ გორგასალის პირით გვიცხადებს: „ვართ სემის შთამომავალნი, ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს“-ო. ე. ი. ქართველები და ებრაელები, თურმე ორთავენი სემიტები ვყოფილვართ. თანაც ეს ვახტანგ გორგასალის ანდერძი ყოფილა, ვახტანგ გორგასალის, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, გარკვეულად გვიბარებს: „ეძიებდეთ სიკვდილსა ქრისტესთვის .... და ნუ მოიშლითო სიყვარულსა ბერძენთათვის“.

როგორც ვხედავთ, პატივცემული ღვთისმსახურის მიერ შექმნილი ლიტერატურული გმირი - ვახტანგ გორგასალი, მცხეთელი ქალდეველი დედების სულისკვეთებით გამსჭვალული და მაძიებელი ქრისტესთვის სიკვდილისა, თურმე ებრაელობის მაძიებელიც ყოფილა! ცხადია, დღევანდელი ქართული ეკლესიის წარმომადგენელი ღვთისმსახურისეული წარმოსახვით შექმნილი ლიტერატურული სახე ვახტანგ გორგასალისა და „ქართლის ცხოვრებით“ გადმოცემული ვახტანგ გორგასალი, თავიანთი ანდერძებით, არათუ სრულიად არ ესადაგებიან ერთმანეთს, არამედ ცა და მიწასავით განესხვავებიან.

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს, შევნიშნოთ, რომ ქართველი ხალხის უსაყვარლესი და სათაყვანებელი პოეტისა და მთარგმნელის, ჯემალ აჯიაშვილის ინფორმაციით, ისრაელში, საქართველოს საელჩოს დაჟინებული მოთხოვნით, თავად ჯემალ აჯიაშვილის ელჩობის დროს, ისრაელის ენის აკადემიას მიუღია ოფიციალური დადგენილება, რათა ისრაელის სახელმწიფო დოკუმენტაციაში, ჩვენი დღევანდელი ქვეყანა „საქართველო“ მოხსენიებულ იქნას, როგორც „გეორგია“ (ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, #? 2012).

მართალია, „გეორგია“ ჩვენი ქვეყნის ძველ - ევროპული სახელწოდება და მოსახსენებელი, და ჩვენი სისხლხორცეული ისტორიული წოდებაა, როგორც „მიწათმოქმედი“ ქვეყნის, მაგრამ - რატომ უნდა აერჩიათ ჩვენი ქვეყნის ცოცხალი სახელწოდების სანაცვლოდ ჩვენს ძმებს, ებრაელებს, ჩვენს 26 საუკუნოვან მოყვრებს, ჩვენი ისტორიული სახელწოდება: „გეორგია“ და არა ცოცხალი სახელწოდება დღევანდელი ჩვენი ქვეყნისა: „საქართველო“?! რას ერჩიან ჩვენს ეროვნულ სიცოცხლეს?! რატომ აწუხებს ისრაელს ჩვენი ქვეყნის ყველაზე არქაული სახელწოდება : „საქართველო“, რომელიც ბიბლიური ხალხის „ქალდეველთა ქვეყნის“ ფონეტიკურად თანხვედრილი სახელწოდებაა.

ქვეყანაში, სადაც ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა თვითონ სახელმწიფომ ამოუშალა პირადობის აღმნიშვნელ ყველა დოკუმენტში ყველა ქართველს, ამჯერად დღის წესრიგში დაუყენა თავად ქვეყნის, როგორც ქართველთა ქვეყნის სახელწოდების ამოშლის საკითხი. ეს ბედნიერება არგუნა ქართველ ხალხს მსოფლიოს ახალმა წესრიგმა, საბჭოთა კავშირის დაშლით, „მოქალაქეთა კავშირითა“ და „ვარდების რევოლუციით“ შემოჭრილმა ქართველთა სამკვიდროში, ერთადერთ ქვეყანაში დედამიწის ზურგზე, სადაც არასოდეს ყოფილა ებრაელთა დევნა -შევიწროვება, ერთი მისხალითაც კი. ასე დაგვიფასა სიონისტურ - მასონურმა მოძრაობამ ქართველ ხალხს ებრაელი ხალხის საუკუნოვანი სიყვარული და თანადგომა საქართველოში. მაგრამ ესეც არ არის მთავარი: სახეზე გვაქვს დაუსრულებელი საინფორმაციო ომი ქართველი ერის ვინაობის ამოსაშლელად კაცობრიობის ცნობიერებაში. ხომ არ არის ნიშანდობლივი ბიბლიის ტექსტში ჩართული კურთხევა იაჰვესი - ებრაელთა ღმერთისა: „კურთხეულ იყოს იაფეთი, სემის კარვებში დაემკვიდროს“? ხომ არა გვაქვს აქ საქმე ბიბლიური ისტორიის ქვეტექსტით მოცემულ სიმბოლურ „კარვებთან“, რომლებიც სინამდვილეში ნიშნავენ ქვეყნებსა და მიწაწყალს ებრაელებისას და ქალდეველებისას, დღევანდელი ქართველებისას?! როგორც ცნობილია, ადამიანები არც წინასწარმეტყველური ჩანართების შექმნას ერიდებიან თავიანთი სურვილების გასამართლებლად. იაფეტის მოდგმას ისტორიულად არასოდეს დასჭირვებია სემის კარვები... ის მიწათმოქმედი ხალხის მოდგმა იყო და მყარად იდგა თავის სამკვიდრებელ მიწაწყალზე. სემის მოდგმა კი მომთაბარე იყო და მუდამ სჭირდებოდა შეხიზნულიყო სხვის „კარვებში“...

ხომ არ არის აქ შეფარული და იაჰვეს კურთხევად გასაღებული ებრაელთა ლტოლვა იაფეტის მოდგმის სამკვიდრო მიწაწყლის მითვისებისაკენ?! ეს ინფორმაციული ომების ცნობილი მეთოდია, როდესაც რეალურ მცდელობებს ერთი ხალხისას მეორის დასასუსტებლად და დასარბევად ასეთი რამ სჭირდება...

ერთ-ერთი ჩვენი თანამედროვე ქართველი ებრაელი, ავტორი წიგნისა ებრაელთა მონაწილეობის შესახებ საქართველოს ისტორიის პროცესებში, ებრაელთა დამსახურებად გადმოგვცემს თამარ მეფის დაქორწინებას უწესო გიორგი რუსზე, რაც აშკარად მეტყველებს საქართველოს სამეფო კარის ცხოვრებაში ქართველ ებრაელთა გარკვეული გავლენების არსებობაზე და ქვეყანაში საკუთარი მიმართულების დანერგვის მცდელობაზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ თამარის ქორწინებაში გიორგი რუსზე, ებრაული წარმომავლობის მოხელეებთან ერთად, ლომის წილი მიუძღვის ქართულ ეკლესიას, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ იმაზეც, რომ ებრაული ინტერესები გარკვეულ შემთხვევებში წარმატებით ახერხებდა ფესვის მოკიდებას სწორედ ქართულ ეკლესიურ ცნობიერებაში.

- დავით აღმაშენებელს ქართველი ებრაელები არ მიჰყავდაო ბრძოლებში - წერს ჩვენს მიერ ხმობილი ავტორი წიგნისა: „ებრაელები საქართველოში“. გამოდის რომ დავით აღმაშენებელი, რომელიც ათასობით ყივჩაღს ენდობოდა საკუთარი ქვეყნის სამხედრო გაძლიერებაში, არ ენდობოდა ერთ ებრაელსაც კი. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ისტორიამ არ იცის მაგალითი ებრაელთა თავდადებისა საქართველოს ბრძოლებში, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვან „თავდადებას“ ნიშნავს საქართველოს ბრძოლებში, თამარის იძულებითი ქორწინების მოწყობა გიორგი რუსზე, საქართველოს ეკლესიასთან კავშირში. თამარმა შესძლო და ეს დაგებული მახე თავისი დიდი ზნეობით დაანგრია, გიორგი რუსი საქართველოდან ღირსეულად გაიყვანა, ქვეყანა თავისი კეთილშობილების გზით წარმართა და მთელი ქვეყნის ცხოვრება აზიარა თავის ოქროს ხანას ... მაგრამ ახლა ყოველივე ზემოთქმულის კონტექსტში ძირითად საკითხს დავუბრუნდეთ . . .

ქართველ ბაგრატიონთა „ებრაელობის“ აღზევება საქართველოს ეკლესიის გზით

ქართველ ბაგრატიონთა დავით წინასწარ-მეტყველისაგან გენეტიკურად წარმომავლობის აზრი, ქართველ მეცნიერთათვის, იმდენად აბსურდული იყო, მეფეთა განდიდების იმდენად ინფანტილურ და ზღაპრულ რომანტიკად იყო აღქმული, რომ ერთგვარად აკლდა კიდეც სერიოზული მიდგომა და სურვილი ამ აბსურდზე ფიქრისა და განმარტების; მაშინ როდესაც, ებრაული პრაგმატული გონი, რომელსაც შენი ისტორია, როგორც სავაჭრო ინფორმაციული კაპიტალი, შენზე უკეთა აქვს ათვისებული, და ებრაული მომთაბარული მიდრეკილება სხვათა ქვეყნებში დამკვიდრებისა, საუკუნეთა წიაღ ჩასაფრებული ელის მომენტს გულუბრყვილო ქართველთა სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად.

და შედეგიც სახეზეა ჩვენს თვალწინ: მე-20-ე საუკუნის დასასრულს, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ხიბლში გახვეული და საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსული პატარა საქართველო, სრულიად დაუცველი შვლის ნუკრივით მიმზიდველი მსხვერპლი, მსოფლიო დაყაჩაღების პოლიტიკურ სივრცეში, სრულიად მოუმზადებლი და უმეცარი ხვდება ინფორმაციულ ომს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში, მისგან გაუცნობიერებლად მიმდინარეობს მის წინააღმდეგ. დღევანდელი, 21-ე საუკუნის ქართული ეკლესიის ერთერთი ძალზედ პატივსაცემი ღვთისმსახურის ინტერვიუდან ამონარიდი, რომელსაც აქ წარმოგიდგენთ, ამ ღვთისმსახურის პირადი, ან სუბიექტური თვალსაზრისი როდია. ეს მთელი ჩვენი ქართული ეკლესიის ოფიციალური მსოფლმხედველობრივი და პოლიტიკური პოზიცია გახლავთ, რომელიც გარკვეულმა ძალებმა თავს მოახვიეს საქართველოს ეკლესიას და ამ გზით ქართველი ერი და მისი ქვეყანა, ამ ძალებს უკვე უკანასკნელი ორი - სამი ათეული წლის განმავლობაში, საქართველოს საპატრიარქოში ჩანერგილი საგანგებო მექანიზმით, რომელსაც ჩვენ ბიბლიური „მარდუქაი-ესთერის“ სახელწოდება მივუსადაგეთ, მსოფლიოს ახალი წესრიგის ებრაულ- სიონისტური მიმართულებით მიჰყავთ:

„ - როგორც ვიცით, ისრაელის, ღვთის რჩეული ერის პირველი მეფე იყო საული - გვესაუბრება ქართული ეკლესიის ერთერთი შესანიშნავი მლოცველი და ლოცვით მკურნალი მოძღვარი, მამა აკაკი მელიქიძე - საულის მერე

ღმერთმა მეფედ გამოარჩია ღვთის მსახური დავითი, რომლის შთამომავლებიც, ახალი აღთქმის დამტკიცების შემდეგ, საქართველოში მოვიდნენ. დავით მეფე - წინასწარმეტყველისა და ჩვენი უფლის, ქრისტეს ნათესავების შთამომავლები ჩაუდგნენ საქართველოს სათავეში . . . ღვთისგან კურთხეული მეფის ხელისუფლების ვალია, რომ იყოს ეკლესიის გამაძლიერებელი . . . . მეფე ხდება ღვთის ნების შემსრულებელი და ღვთის კურთხევის მომტანი მთელ ერზე . . . რათქმაუნდა მეფისა და პატრიარქის ხელისუფლებათა სიმფონია ხელს უშლის ბოროტებას . . . პატრიარქისა და მეფის მმართველობის დროს მთელი ერი განსაკუთრებული წესებით ცხოვრობს. პირველ რიგში ეს არის მორწმუნეობა . . . მათზე გადმოვა დიდი მადლი ღვთისაგან . . . სახელმწიფოს მეთაური სიმბოლურად იქნება წინასწარმეტყველის ხარისხის, რომელიც უშუალოდ უფალს ემორჩილება . . . ბაგრატიონთა გვარი . . . კიდევ იტყვის თავის სიტყვას . . .

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის კურთხევაა, რომ საქართველოში მომავალში აღდგეს მონარქია“ (გაზეთი „ჯორჯიან თაიმსი“, 13-20 სექტემბერი, 2007 წელი, მთავარი რედაქტორი - გიორგი კაპანაძე). ინტერვიუ ჟურნალისტის ხელმოწერის გარეშეა გამოქვეყნებული. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული ინტერვიუ თითქმის გამეორებაა ამავე გაზეთის 2007 წლის 12-19 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული გაიოზ მამალაძის წერილისა: „დავითიანების (ბაგრატიონების) დაბრუნება სამშობლოში 70 თაობის მერე“.

აქ არ შევუდგებით იმ აბსურდული, ილია ჭავჭავაძის სიტყვები რომ გამოვიყენოთ, საქართველოს იმ „შეთითხნილი“ ისტორიული დეტექტივების შესახებ მსჯელობას, რომელსაც მოხსენიებული წერილის ავტორი გვთავაზობს. მკითხველს განვუმარტავ მხოლოდ, რომ წერილის სათაურში: „ბაგრატიონების საქართველოში დაბრუნების“ ფაქტში „70 თაობის მერე“ ავტორი - ბ-ნი გაიოზ მამალაძე, გულისხმობს საქართველოს პირველ ბაგრატიონ მეფეს, გუარამ ბაგრატიონს, როგორც გენეტიკურ შთამომავალს ებრაელთა პირველი პატრიარქის, აბრაამისას. ამრიგად, გაიოზ მამალაძის აზრით, ქართველი ბაგრატიონები ჯერ „აბრაამიანები“ არიან. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ გაიოზ მამალაძისავე განმარტებით, ზოგიერთი მეცნიერის აზრით აბრაამი არ იყო ებრაელი, ხოლო გუარამ ბაგრატიონის წარმომავლობა კამათის საგანია, ებრაელები, ბაგრატიონების სახით დაბრუნებულან „შინ“, „სამშობლოში“, ანუ საქართველოში, პირდაპირ საქართველოს სამეფო ტახტზე, აბრაამიდან 70 თაობის გასვლის მერე, ამასთან ისრაელის დედამთავრის, ანუ იაკობის ცოლის, რაქელის მოსახელე, მაგრამ არარსებული რაქელის მიერ ქრისტიანულად მოქცეულნი და როგორც შემდგომში მამა აკაკი მელიქიძის პირით გვეტყვის ბ-ნი გაიოზ მამალაძე, ქართულ ქრისტიანობას ჩასდგომიან სათავეში! (დიდება შენდა, ღმერთო!). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც სიონისტური მოძრაობის ლიდერებმა ებრაული სახელმწიფოებრიობის აღდგენა დააყენეს დღის წესრიგში, სიონიზმის ზოგიერთი ცნობილი ლიდერის (თ. ჰერცლის, ლ. პინსკერის და სხვ.) აზრით მიზაშეწონილად ყოფილა მიჩნეული, ებრაელ ხალხს გაეროსაგან ეთხოვა პლანეტის რომელიმე დაუსახლებელი ახალი ტერიტორია, სადაც ისრაელი შექმნიდა საკუთარ სახელმწიფოსაც და საკუთარ ქვეყანასაც. როგორც ცნობილია, ებრაელი ერი მომთაბარე თემისგან მომდინარე ერია, რომელმაც, როგორც ბიბლია გადმოგვცემს, ეგვიპტური ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, მასზე დიდი და ძლიერი შვიდი ხალხის ქვეყანა მიითვისა ებრაელი ხალხის მფარველი ღმერთის შეწევნით და ადგილობრივ მკვიდრთა განადგურებით დაიმკვიდრა მათი ტერიტორია სათავისოდ. ებრაელებმა ეს იციან.

(იხ.: ქართველი ებრაელის, აბონ ციციაშვილისა და ოთარ გაბიძაშვილის საეტაპო საუნივერსიტეტო გამოკვლევა: „იუდაიზმი და სიონიზმი“, 1982 წ.)

ებრაელთა ერთერთი მომთაბარე თემი, რომლის წინამძღოლიც აბრაამია, მიჩნეული წამოსულად არაბეთის უდაბნოს სამხრეთი ნაწილიდან, თავის მიგრაციულ ცხოვრებაში ქალდეველთა ქვეყანაშიც აღმოჩნდა შეხიზნული, საიდანაც კვლავ განაგრძო ამ თემმა თავისი მომთაბარული ცხოვრება. მაგრამ რადგანაც დიდ ხალხად იქცა, ცხოვრების წესიც უნდა შეეცვალა და აქედან იწყება მისი შინაგანი მოთხოვნილებაც რჯულისაც და საკუთარი ქვეყნის აუცილებლობისაც.

ბ-ნი გაიოზ მამალაძე აბრაამის შთამომავალთა დაბრუნებას „შინ“, „სამშობლოში“, 70 თაობის მერე, რატომღაც განგვიმარტავს ბაგრატიონთა საქართველოში დაბრუნებად, თანაც - ახალი რჩეული ერის საბრძანისში და პირდაპირ სამეფო ტახტზე! (თურმე შენი ქვეყნის ტერიტორია თავისი ისტორიითა და სამეფო ტახტით, შეთითხნილი ისტორიებითაც შეიძლება გაყიდო და მიჰყიდო ფულიან დამპყრობელს! ეს საინფორმაციო ომების რანგში ასული თაღლითობა სინდისზე ხელაღებულ ფსევდო-მეცნიერებს საჭიროებს და ასეთებს პოულობენ).

გასათვალიწინებელია, რომ ბ-ნი გაიოზ მამალაძე გარდა იმისა, რომ საპატრიარქოს ოფიციალური კონსულტანტია მონარქიის საკითხებში, საპრეზიდენტო არჩევნების მონაწილეც არის, ანუ პოლიტიკური ფიგურაა, და წარმოიდგინეთ, რამხელა ცინიზმთან გვაქვს საქმე, როდესაც თავად ქართველ ხალხს ვთავაზობთ მის არჩევას, ანუ მისი იდეების არჩევას, საქართველოს პრეზიდენტად!

ზემოთ, ღრმად პატივცემული მამა აკაკი მელიქიძის დაუფარავ და ღია განაცხადში, ერთი რამ არის სრულიად ნათელი, რომ გაიოზ მამალაძის დამოძღვრილი საქართველოს ეკლესია, მონარქიისაკენ მიიმართება ხედვით, რომელიც თავისი შინაარსით „პატრიარქისა და მეფის მმართველობის სიმფონიად“ არის ფორმულირებული. ხოლო თუ ამ დროს საქართველოს პრეზიდენტადაც (ან პრემიერად!) ვინმე „გაიოზ მამალაძე“ იქნება, ამას რა სჯობს.

პატრიარქისა და მეფის სიმფონიური მმართველობის ფორმულირებას, როგორც უკვე დამკვიდრებულს საქართველოს ეკლესიაში, პირდაპირ იმეორებს ჩვენი ეკლესიის ცნობილი პატივცემული მოძღვარი, დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი, სულ ახლახან, 2014 წლის 17(4) ვარდობისთვეს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისადმი მიწერილ წერილში: „...მირონცხებული მეფის გამოჩენა საქართველოს აღდგომის დასაწყისი იქნება, როცა მეფე და პატრიარქი სიმფონიურად დაჰმწყსიან ჩვენს მართლმადიდებლურ ერს . . . მანამდე კი მძიმე გზა გვაქვს გასავლელი“ (ვსარგებლობთ ინტერნეტში გამოქვეყნებული ტექსტით). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პატრიარქისა და საქართველოს მეფის ამ მმართველობით სიმფონიაში, მამა აკაკი მელიქიძის მსჯელობიდან სრულიად ნათელია, რომ მას, საქართველოს ეკლესიას, მიაჩნია, რომ საქართველოს სამეფო დინასტიის, ბაგრატიონთა დინასტიის აღდგინების სახით, საქართველოს სამეფო ტახტზე აღადგენს „ღვთის რჩეული ერის“, ებრაელთა დიდი მეფის - დავით წინასწარმეტყველის შთამომავალთა ძალაუფლებასა და უფლებამოსილებასაც, რომლებიც, როგორც „მამაო" ბრძანებს, „საქართველოში მოვიდნენ“ და ქრისტიანულ „საქართველოს ჩაუდგნენ სათავეში“. ჩვენს თვალწინ სახეზეა საქართველოს მეცნიერებისა და საქართველოს ეკლესიის გათიშვის უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფაქტი! საქართველოს დღევანდელი ეკლესიის ხედვაში სრულიად არის იგნორირებული მთელი ქართული მეცნიერება, ქართველ მეცნიერთა ანალიტიკური ცოდნა ქართველ ბაგრატიონთა ქართული წარმომავლობის შესახებ. იგნორირებულია ივანე ჯავახიშვილის, პავლე ინგოროყვას, სიმონ ჯანაშიას და სხვათა საფუძვლიანი განმარტებები იმის შესახებ, რომ ბაგრატიონები წმინდა ქართული

წარმომავლობის მეფენი არიან, მაგრამ იმის გამო, რომ ქართულ ისტორიოგრაფიულ აზროვნებაში განუმარტავი დარჩა მიზეზი ბაგრატიონთა „დავითიანებად „გამოცხადებისა, ანუ იმისა, თუ რატომ, რა მიზნით და როგორ მოხდა ბაგრატიონთა გაგება ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად და დავითის მოდგმისად, ძალაში დარჩა ორივე, ანუ ორი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია: ისიც, რომ ბაგრატიონები წმინდა ქართული გენეტიკის მეფენი არიან და ისიც, რომ შთამომავალნი არიან ებრაელთა დიდი მეფისა დავითის.

ერთი რამ არის აუცილებელი, რომ აღინიშნოს: ეს ორმაგი ინფორმაცია ოდნავადაც არ გაკარებია ქართველი ხალხის გონებაში მკვიდრად არსებულ საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა ერთმნიშვნელოვან ქართველობას. ქართველი ხალხისთვის ეს ორმაგობა არ არსებობს და საზომი ჭეშმარიტებისა სწორედ ქართველი ხალხია. ბაგრატიონთა ეს დავით წინასწარმეტყველისაგან შთამომავლობის გაგება, უფრო მწიგნობრულ - ისტორიოგრაფიული, და ამასთან უფრო ეკლესიური ვერსიაა, რომელზეც არც არასოდეს გაუმახვილებია ქართველ ხალხს ყურადღება, და იგი, ეს ვერსია, ეკლესიური კუთვნილებისად დარჩენილი, მაინც აღმოჩნდა რაღაც ფორმით სახეზე მყოფი, რომელსაც უსათუოდ ესაჭიროებოდა აკადემიურ- მეცნიერული განმარტება. ამ განმარტების ესოდენ მძაფრი საჭიროება არც დამდგარა და არც მოუცლია ამისათვის ქართულ მეცნიერებას. ამასობაში, განუმარტავმა ინფორმაციამ ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველისაგან წარმომავლობისამ, ეკლესიურად წმინდა გადმოცემის მნიშვნელობა შეიძინა, მაგრამ არასოდეს იმხელა, რამხელაც დღევანდელ ეკლესიურ რეალობაში მოხდა. ეს მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების კონტექსტში, ეს მოხდა იმ პოლიტიკური პროცესების კონტექსტში, რომელსაც ეწოდა „მსოფლიოს ახალი წესრიგი“ და რომელსაც სათავეში ებრაულ-მასონური მოძრაობა უდგას. ცხადია, ეს არ მომხდარა ბუნებრივად და თავისით. ქართველი ხალხისთვის, ცხადია, სრულიად წარმოუდგენელი იყო და წარმოუდგენელია დღესაც, რომ მსოფლიო, თავისი ახალი წესრიგით, შეიარაღებული მსოფლიოს უზარმაზარი ფინანსური კაპიტალით და „ანკესზე“ წამოგების ტექნოლოგიით, საქართველოს სამეფო ტახტისაკენ მოიწევდა. . . . ცნობილი სიონისტი ჯორჯ სოროსი პირველად 1989 წელს ჩამოსულა საქართველოში, ე. ი. ორი-სამი წლით ადრე, ვინემ მისი იდეოლოგია შემოვიდოდა მოქალაქეთა კავშირის სახით . მოგეხსენებათ, დავითის ფსალმუნთა კითხვა ერთერთი მთავარი კომპონენტია ქართული მართლ-მადიდებლური წირვა-ლოცვის. აქ, თითქმის ყოველი ფსალმუნი დავითისა თავდება ისრაელის დალოცვითა და ისრაელის ღმერთის დიდებით: „ვადიდოთ ღმერთი ისრაელისა!“ და „დიდება ისრაელსა ზედა!“ - გამოკვეთილად ისმის ქართული ეკლესიის წირვა-ლოცვებში, რომელიც დავითის ფსალმუნთა გარეშე არ არსებობს. ევროპამ, მისმა პროტესტანტულმა სულისკვეთებამ და ეროვნული თავმოყვარეობისა და ღირსების გრძნობის გამძაფრებამ, რახანია შეწვიტა ფსალმუნთა კითხვა და ისრაელის დიდების ძახილი ევროპულ პროტესტანტულ ღვთისმსახურებაში. „მე კათოლიკე ვარ - ბრძანებს მე-20-ე საუკუნის ერთერთი გამორჩეული მოაზროვნე, ესპანელი ფილოსოფოსი, უნამუნო - მაგრამ მე მინდა ვიყო ესპანელი კათოლიკე!“ ასე ჟღერს ეროვნული ინდივიდუალობის, ეროვნული მეობის ჯანსაღი გრძნობის შინაგანი მოთხოვნილება ევროპელი ფილოსოფოსის, მეოცე საუკუნის ეგზისტენციალური ხედვის ერთერთი დიდი წარმომადგენლის განცდაში. სამაგიეროდ, დავით წინასწარმეტყველისა და მეფსალმუნის დიდმა ეკლესიურმა ავტორიტეტმა, საუკუნეთა წინ დანერგილმა დოგმატურ ეკლესიაში და მიზანმიმართულად საკმაოდ ჭარბად აღზევებულმა ქართული ეკლესიის აღმავლობის დიდ ისტორიულ

მონაკვეთში, მე-20-ე საუკუნის მეორე ნახევარსა და 21-ე საუკუნის საწყისებში, შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი ქართული ეკლესია საერთოდ გადახარა ბაგრატიონთა შესახებ არსებული ქართული მეცნიერული აზრის უარყოფისა და ისტორიოგრაფიულ ცთომილებაზე დამყარებული „წმინდა გადმოცემის“ დაკანონებისაკენ: საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა და საერთოდ ბაგრატიონთა დინასტიის დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად დაკანონებისაკენ. ცხადია, უსათუოდ ისმის კითხვა: რატომ მოხდა ეს მაინცა და მაინც დღეს, ჩვენს თანადროულ ეკლესიურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში?! მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ქართული ეროვნული მოძრაობის კვალდაკვალ და ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით ანთებულ საქართველოში? რატომ აღმოჩნდა საქართველოს ეკლესია ინიციატორი ბაგრატიონთა ებრაული წარმომავლობის გაჩირაღდნებისა? რატომ ჩაეჭიდა ეკლესია ამ არამეცნიერულ გადმოცემას და რატომ არ მოისურვა ანალიტიკური აზროვნებისა და მეცნიერებისა და რწმენის ერთიანობის მქადაგებელმა საქართველოს ეკლესიამ სამეცნიერო კომისიის შექმნა და რაიმე ტიპის გადამოწმება იმ ისტორიოგრაფიული მონაცემებისა, რომლითაც კატეგორიულ დაპირისპირებაში იყო მოსული ეროვნულ მრწამსთან?! რატომ არ ისურვა გარკვევა დაპირისპირებისა ქართველ ბაგრატიონთა შესახებ არსებულ ისტორიულ - მეცნიერულსა და ზეპირ გადაცემაზე დამყარებულ, გამარტივებულ, ერთგვარად გაპრიმიტიულებულ და დასახიჩრებულ ეკლესიურ პოზიციათა შორის?! ამისათვის ხომ ეკლესიას ყველა შესაძლებლობა ჰქონდა! რატომ მისცა მონარქისტული იდეის გარკვეულ რეალიზაციას დღევანდელ საქართველოში კონსპირაციული ხასიათი?

შესაძლოა წინამდებარე სტრიქონების მკითხველს გაუჩნდეს აზრი, რომ ჩვენ ჩვენი მხრიდან გვევალებოდა, განგაში მაშინ აგვეტეხა, როცა გაიოზ მამალაძისა და მამა აკაკის თვალსაზრისები გამოქვეყნდა პრესაში, 2007 წელს. მითუმეტეს, რომ ჯერ კიდევ ეს ის პერიოდია, როდესაც გამაჩნია შესაძლებლობა მის უწმინდესობასთან სიტყვის თქმის. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე, განვუმარტო მკითხველს, რომ ჩემი მორიდებული შეთავაზება მის უწმინდესობასთან, რომ მასთან ბაგრატიონებზე მქონდა საუბრის სურვილი, რეაგირების გარეშე დარჩა.

ჩემი მცდელობა, რომ, თუნდაც, პატრიარქის თანაშემწესთან გამერკვია, რა პოზიცია ეკავა ეკლესიას გაიოზ მამალაძის „თეორიებთან“, დუმილით იქნა გასტუმრებული. როდესაც გაიოზ მამალაძემ ოფიციალურად განაცხადა, რომ ის იყო საქართველოს საპატრიარქოს კონსულტანტი მონარქიის საკითხებში და კერძოდ მეუფე იობის კონსულტანტი, რომელიც, მისივე უწყებით, საპატრიარქოში ხელმძღვანელობდა მონარქიის საკითხებს, და ეს განცხადება თავისი წიგნის ყდაზე მოათავსა დიდი ასოებით, აღმოჩნდა რომ მეუფე იობი მას საერთოდ არ იცნობს. ჩემი შეთავაზება მეუფე იობისადმი, რომ მას განცხადება გაეკეთებინა ამის შესახებ, დამთავრდა უარით. როდესაც ვისარგებლე სრულიად შემთხვევითი შეხვედრით დეკანოზ ზურაბ ცხოვრებაძესთან , საკმაოდ სერიოზულ ფიგურასთან ეკლესიური პოზიციების მართვაში და მისალმებისთანავე ვუთხარი, რომ ბაგრატიონების დავითიანობას არა აქვს გენეტიკური მნიშვნელობა-მეთქი, გაურკვეველი დუმილი მივიღე, თუმცა აშკარად უარმყოფელი ჩემი ნაგულისხმარი პოზიციის. როდესაც ცნობილ ისტორიკოსს ქ-ნ მარიამ ლორთქიფანიძეს, ფეოდალური საქართველოს სპეციალისტს, შეშფოთებულმა შევჩივლე : - „ ქ-ნო მარიამ, რატომ არ ეხმაურებით ბაგრატიონების ამისთანა გაებრაელებას ეკლესიის მხრიდან?!“ - პირდაპირ მომახალა: -„ეგ საქმე უკვე იმდენად შორს არის წასული, რომ აზრი არა აქვს. ჩვენ ყველანი ებრაელები ვართ“. ქალბატონ მარიკას ძალიან მწარედ ვუპასუხე და პროტესტის ნიშნად მის საიუბილეო სხდომაზე არ მივედი. მაგრამ ამით, ცხადია, ვერაფერს ვუშველე. უბრალოდ დავრწმუნდი, რომ საქართველოში უკვე ყველა კარი იყო

გადარაზული ქართველი ერის ეროვნული მეობისა და ეროვნული ღირსების დასაცავად. ამიტომ ჩემი, როგორც საპატრიარქოს ყოფილი პატროლოგის (1980-1992 წ. წ.) მიერ წერილობითი განცხადებით როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ბ-ნ თამაზ გამყრელიძის მიმართ, ასევე საქართველოს პატრიარქის ილია მეორის მიმართ, დავადასტურე, რომ საჭიროდ მიმაჩნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილიყო ბაგრატიონთა დინასტიის შემსწავლელი სამეცნიერო სტრუქტურული ნაწილი, რომელიც მოამზადებდა მეცნიერულ პასუხებს ბაგრატიონების ფენომენთან დაკავშირებულ, მთელ რიგ აუხსნელ კითხვებზე. აქაც ჩემი განაცხადები უპასუხოდ იქნა დატოვებული და ეს იმ დროს, როდესაც ქართული ეროვნული მოძრაობა ამ მოძრაობის ლიდერთან ერთად იქნა გაძევებული საქართველოდან და ქართველი ხალხის ეროვნულმა სულისკვეთებამ ეკლესიის გუმბათქვეშ შეაფარა თავი?

ეროვნული მოძრაობის გაძევებას საქართველოდან, ამასთან ქართველი ხალხისავე ხელით, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა თავის ბოლო ინტერვიუში, რომელიც რუსულ ენაზე დაიბეჭდა, „სახელმწიფო გადატრიალების“ კვალიფიკაცია მისცა და ისიც განაცხადა, რომ ეს სახელმწიფო გადატრიალება დაიგეგმაო ოკეანის გადაღმაო (გაზ.: „ნაროდნაია პრავდა“ №42, 1992).

თუ ლოგიკურად გავაერთიანებთ მოვლენებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის დამშლელი ძალაცა და საქართველოში ამ „სახელმწიფო გადატრიალების მომწყობი“ ძალაც ოკეანის გადაღმიდან წამოსული ერთიდაიგივე ძალაა, რომელსაც დიდი გამორკვევა და მტკიცება არ სჭირდება. იგივე საბჭოთა კავშირის დამშლელმა ძალამ გააძევა ეროვნული მოძრაობა საქართველოდან და ამაში არც არაფერი არ არის საკვირველი, რადგან ყოველგვარი ეროვნულის გაძევება ეს იყო ლოგიკური განგრძობა საბჭოთა კავშირის ე. წ. „ განვითარებისა“.

სადღეისოდ უკვე დიდი განმარტებები აღარ არის საჭირო და საქვეყნოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ საბჭოთა კავშირის მთავარი დამშლელი ძალა სიონისტურ-მასონური მოძრაობა იყო და ქართული ეროვნული მოძრაობაც საქართველოდან, პოლიტიკურად შენიღბულმა, ამ ძალამ გააძევა. ჯერ კიდევ შიგ, საბჭოთა სახელმწიფოში ამოქმედებულ სახელმწიფოს დამშლელ მოძრაობას, ე. წ. „პერესტროიკას“ , რომელსაც იმ დროისათვის საბჭოთა კავშირის განვითარებისა და პროგრესული გარდასახვის ინტერპრეტაცია ჰქონდა მინიჭებული და რომელმაც მსოფლიო მასშტაბით, სრულიად ღიად, „სიონისტური პერესტროიკის“ სახელწოდება დაიკანონა, საქართველოში, ცხადია, თავისი საკუთარი, სრულიად უნიკალური ტენდენციებითა და ჩანაფიქრებით აღმოჩნდა შემოსული. ეს უნიკალურობა მსოფლიოსთვისაც და თვით ქართველი ხალხისათვისაც შეუმეცნებელი, ასევე ქართული ეკლესიისათვისაც შეუმეცნებელი და გაუცნობიერებელი, ქართულ-ებრაული უძველესი ისტორიული ურთიერთმიმართების - ამ ურთიერთმიმართების ბიბლიურ გადმოცემათა გაგების ინფორმაციული დამარხულობა გახლდათ. მხედველობაში მაქვს ქალდეველებისა და ქართველთა იგივეობის საკითხი და ქალდეველებისა და ებრაელების ურთიერთმიმართების ბიბლიური ისტორია. აქვე შევნიშნოთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში, ყოველგვარი ქართულ-ებრაული ურთიერთმიმართების ბიბლიური ისტორიის გარეშე, წმინდა ისტორიული ხედვით, ყველაზე დიდი და ყველაზე კომპეტენტური მეცნიერების მიერ აღიარებულია, რომ შუმერებიც და ქალდეველებიც ქართველთა წინაპარნი და წინამორბედნი, ქართველური მოდგმის ხალხები არიან. მართალია, საქართველოს პატრიარქი, სიტყვით, დღენიადაგ მოგვიწოდებს ანალიტიკური აზროვნების დამკვიდრებისაკენ, მაგრამ თავად ქართულმა ეკლესიამ ვერ მოასწრო ვერც ბიბლიური ისტორიის ანალიტიკური შემეცნება ქართული ცნობიერების გადასახედიდან და ვერც საკუთარი, ანუ ეკლესიური ისტორიის თეოლოგიური ანალიზი და ამის ერთადერთი მიზეზი გახლდათ ეკლესიის მომწყვდევა საქართველოს ე. წ. დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის პოლიტიკური იდეოლოგიის მორჩილებაში და სახელმწიფოს- მიერი აკრძალვა ქართული თეოლოგიური აზროვნების წინსვლისა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის წიაღში.. მაგრამ, ის, რაც მსოფლიოსთვისაც და ქართველთათვისაც ინფორმაციულად დამარხული იყო, ებრაული გონებისთვისაც როდი იყო დამარხული! ებრაული გონი საქართველოში მსოფლიოს ახალი წესრიგითა და „ანკესის“, ანუ მოწინააღმდეგის „მახეში გაბმის“ ტექნოლოგიით შემოვიდა... და დედა ეკლესია, აღმავალი და მოზეიმე, დედა კალმახივით, მსოფლიო პოლიტიკის მქუხარე დინების საწინააღმდეგოდ ასხლეტილი, ნებიერად გააბა მსოფლიო წესრიგის დიდი მეზადურის ოქროსფერი ძაფებით მოქსოვილ სათხეველში (ბადეში) ... მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის მიუღებელი და „დინების საწინააღმდეგო“ მარტო ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ეროვნული მოძრაობით მოპოვებული „ნაციონალიზმი“ როდი იყო!

მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის მიუღებელი და „დინების საწინააღმდეგო“ იყო რელიგიური ნაციონალიზმიც, ანუ ქართული სულის ის ეკლესიური აღმავლობა, რომელიც მსოფლიოს ახალი წესრიგის შემოსვლას უნებლიედ დაემთხვა, დაემთხვა საქართველოს საპატრიარქო ტახტზე, საქართველოს პატრიარქის - ილია მეორის მობრძანებით.

იმის გამო, რომ ამ ეტაპისათვის უკვე ვერც ზვიად გამსახურდიაზე და ვერც მერაბ კოსტავაზე ანკესის ტექნოლოგია ვეღარ გამოდგებოდა, ისინი დაუნდობლად იქნენ მოშორებულნი საქართველოსგან. ხოლო ეკლესია, სწორედ თავისი აღმავლობითა და ზეიმით აღმოჩნდა ამჯერად ნამდვილად საიმედო და საჭირო მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის საქართველოში.

ამჯერად საჭირო იყო სწორედ ,,ეკლესიური ეროვნული მოძრაობა".

ახლა უკვე შიგ საქართველოში იყო საჭირო მსოფლიოს ახალი წესრიგის დამკვიდრება. საჭირო იყო მექანიზმი, რომელიც ეკლესიას, საკუთრივ ეკლესიის ახლად მოპოვებულ დიდ ავტორიტეტს ჩააყენებდა მსოფლიოს ახალი წესრიგის სამსახურში.

საჭირო იყო ახალი „მარდოქაი-ესთერის“ მექანიზმი, რომლითაც საქართველოს ეკლესია თავისი დიდი სახალხო ავტორიტეტით მსოფლიოს ახალი წესრიგის საქართველოში დამკვიდრებას საქართველოს ისტორიის ლაბირინთებში შეუძღვებოდა . . .

დენიზა სუმბაძე

საქართველოს ბაგრატიონთა დინასტიის სამეფო ტიტულის - „დავითიანის“ ასახვა ქართულ ეკლესიურ ხატებში

წიგნიდან „საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა წარმომავლობა და ქართველი ერის საღმრთო მისია“
(წიგნი ამჟამად გამოცემის პროცესშია)

წინამდებარე წერილის მიზანი, როგორც სათაურიდანაც ჩანს, საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა ისტორიული სამეფო ტიტულის - „დავითიანის“- ასახვის ჩვენებაა ქართულ საეკლესიო ხატებში.

ავტორისეულ მიზანდასახულობას, ცხადია, წინ უძღვის ის აზრი, რომ ამგვარი ასახვა არსებობს, მაგრამ თავიდანვე მაინც უნდა განვაცხადოთ, რომ საკითხის ამგვარი დაყენება ავტორისეულია და პირველად გამოგვაქვს მკითხველის წინაშე „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ ჟურნალ „მატიანე“-ს ფურცლებიდან. ცხადია, საქართველოს ბაგრატიონთა დინასტიის ისტორიული სამეფო ტიტულის ასახვის ჩვენება ქართულ ეკლესიურ ხატებში არ არის წერილის ავტორის თვითმიზანი: ეკლესიურ ხატებში წარმოდგენილი კომპოზიციები და სიუჟეტები საქართველოს მეფეთა გამოსახულებებისა, ავტორის აზრით საშუალებას გვაძლევენ ანბანური თვალსაჩინოებით და გამჭვირვალედ გამოვამზეუროთ საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა ისტორიული სამეფო ტიტულის ისტორიულობაცა და ისტორიაც, და რაც მთავარია, მისი ნამდვილი შინაარსი და მნიშვნელობა ქართველი ერის დანიშნულებასა და მიმართებაში ქრისტიანულ მოძღვრებასთან და ქრისტიანულ რწმენასთან, თავად ქართველი ერის თავისთავადობის, მისი ღვთითბოძებული თვითმყოფადობის საყოველთაო აღიარებასთან. საკითხი ეხება სამი ქართულ-ეკლესიური კანონიკური ხატის ჩვენს მიერ ქრონოლოგიურ დალაგებას, მათი კომპოზიციების შეჯერებას და განვითარებას ისტორიულ დინამიკაში და ამ კომპოზიციების მსოფლმხედველობრივსა და პოლიტიკურ ანალიზს, რამდენადაც ისინი, ეს სამივე ხატი დაკავშირებული არიან საქართველოს ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელ მეფეთა ისტორიული სამეფო ტიტულის - „დავითიანის“ გაგებასთან და გაგებულის ასახვასთან, ამ ხატების შემოქმედი ეპოქალური ცნობიერების მიერ საქართველოს ისტორიის სრულიად სხვადასხვა, ამასთან საკმაოდ დიდი ინტერვალებით დაშორებულ ეტაპებზე.

მხედველობაში გვაქვს შემდეგი სამი ხატი:

1. ოპიზის ცნობილი ბარელიეფი, საქართველოს მეფის - აშოტ დიდის გამოსახულებით (IX საუკუნე);

2. სინას მთის წმ. გიორგის ხატი, საქართველოს მეფის - დავით აღმაშენებლის გამოსახულებით (XI საუკუნე);

3. თბილისის წმ. სამების საკათედრო ტაძრის სამრეკლოში დაბრძანებული „მფარველი ხატი“ საქართველოს მეფის - დავით აღმაშენებლისა და ებრაელთა ბიბლიური მეფის - დავით წინასწარმეტყველის გამოსახულებით (XXI საუკუნე).

ოპიზის ბარელიეფი

სინას მთის წმ. გიორგის ხატი,

თბილისის წმ. სამების საკათედრო ტაძრის სამრეკლოში დაბრძანებული „მფარველი ხატი“

ოპიზის ცნობილი ბარელიეფი, ბარელიეფური კვეთის ფორმით, ოპიზის მონასტრულ სავანეში შესრულებული კანონიკური ხატია, ამასთან არა ტრადიციულ-მართლმადიდებლური, ანუ არა ფერწერული, არამედ სკულპტურული ხატი, რომლის კომპოზიციაშიც წარმოდგენილია სამი პიროვნება: იესო ქრისტე, საქართველოს მეფე - აშოტ დიდი კურაპალატი და დავით წინასწარმეტყველი, მეფსალმუნე, ებრაელთა ბიბლიური მეფე. აღსანიშნავია, რომ ოპიზის ეს ცნობილი ბარელიეფი გამოაქვეყნა ექვთიმე თაყაიშვილმა 1905 წელს, თავის შრომაში: "Археологические экскурсии, разыскания и заметки", II. 1905 წელს გვ 56-59, ხოლო გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ პირველად გამოაქვეყნა ნიკო მარმა 1911 წელს.

ოპიზის ბარელიეფის ცენტრში გამოკვეთილია ქრისტეს გამოსახულება, მარცხენა მხარეს - საქართველოს მეფე აშოტ დიდი, ხოლო ქრისტესგან მარჯვენა მხარეს, ბიბლიური მეფე ებრაელი ხალხისა, დავით მეფსალმუნე და წინასწარმეტყველი (პავლე ინგოროყვა - „გიორგი მერჩულე“, თბ.1954. გვ. 58).

ჩვენ საგანგებოდ გავუსვით ხაზი ბარელიეფის გამოქვეყნების თარიღს, რადგან ოპიზის ბარელიეფის მსოფლმხედველობრივი შინაარსი უშუალოდ არის დაკავშირებული გიორგი მერჩულეს თხზულებასთან - „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასთან“, რომელიც დაიწერა 950 წელს, ე. ი. მეათე საუკუნეში, გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ და ქართული საზოგადოებრიობისთვის იგი, გრიგოლ ხანძთელის ეს ცხოვრება, ცნობილი გახდა მხოლოდ 1911 წელს, თავისი სრული ტექსტის ნიკო მარისეული გამოცემით.

როგორც ვხედავთ ოპიზის ბარელიეფი უფრო ადრე გამოქვეყნდა, ვიდრე გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, რომელმაც ერთადერთი ხელნაწერის სახით მოაღწია ქართველი ხალხის ცნობიერებამდე. ისიც, ეს ხელნაწერიც, 1845 წელს აღმოაჩინა მხოლოდ ნიკოლოზ ჩუბინიშვილმა იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტერში. რამდენიმე ნაწყვეტი, მისივე ხელით გადმოწერილი, ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა და ნიკო მარს საშუალება მისცა, სცოდნოდა, რომ იერუსალიმის ჯვარის მონასტერის ფონდში დაცულია ამგვარი ხელნაწერი.

1902 წელს, მე ვფიქრობ, სინას მთაზე მიმავალმა, ან სინას მთიდან დაბრუნებულმა ნიკო მარმა, ჯვარის მონასტერში მოძებნა ეს ხელნაწერი და საქართველოში წამოიღო.

მკითხველი მინდა გავაფრთხილო, რომ „დავითიანის“, როგორც ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის გაგებისთვის, ეს არის ფუნდამენტური მნიშვნელობის ფაქტი, რომელიც არ იყო გათვალისწინებული არც ქართველი მემატიანეების მიერ და არც სათანადო ყურადღება არ მიუქცევია დიდი ქართველი მეცნიერების მიერ ბაგრატიონთა „დავითიანობის“ ტიტულის შემეცნებისა და აკადემიურ-მეცნიერული განმარტების პროცესებში, რადგან ამ განმარტების საჭიროება არ იდგა მწვავედ.

მაშასადამე, თხზულება, რომელიც წარმოადგენს გასაღებს ოპიზის ბარელიეფში გამოსახული სიუჟეტისას, თუ რატომ არიან ერთად გამოსახულნი საქართველოს მეფე აშოტ დიდი კურაპალატი და დავით წინასწარმეტყველი იესო ქრისტესთან ერთად, საქართველოსთვის დაკარგული იყო მთელი საუკუნეების განმავლობაში. იმ საუკუნეების განმავლობაში, როდესაც იწერებოდა საქართველოს მეფეთა ცხოვრების ისტორია-მატიანეები, დაწყებული მეთერთმეტე საუკუნიდან და დამთავრებული ვახტანგ მეექვსის, ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორმეტის მეფეთა ჩათვლით . . .

გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ დაკარგული იყო იმ დონეზე, რომ თავად ბაგრატიონთა მემატიანემ, პლატონ იოსელიანმა, მე-18

საუკუნეში არაფერი იცოდა გრიგოლ ხანძთელის ვინაობის შესახებ. ისიც დავურთოთ, რომ პლატონ იოსელიანი სამეფო კართან დაახლოებული პიროვნება იყო და მეუღლეც ბაგრატიონის ქალი ჰყავდა. ფაქტი, რომ თავად პლატონ იოსელიანმა, გიორგი მეთორმეტეზე, საქართველოს უკანასკნელ მეფეზე დაწერილი წიგნის ავტორმა, არაფერი იცოდა გრიგოლ ხანძთელის ვინაობაზე. ეს ყურადსაღებად წამოსწია გიორგი მერჩულეს თხზულების - „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ქართულიდან რუსულ ენაზე მთარგმნელმა, ბალტიისპირელმა მოღვაწე მამა იოსებმა (ზეტეიშვილმა), რომლის ნათარგმნიც რუსულ ენაზე გამოიცა 2008 წელს, ქართული ჰაგიოგრაფიული შედევრების სერიალში. გამოცემის წინასიტყვაობაში მთარგმნელი აუწყებს მკითხველს, რომ „XVIII-XIX საუკუნეებში, სპეციალისტთა მოწმობით, თვით სწავლულებმაც კი (საქართველოში) არაფერი იცოდნენ, ვინ იყო ეკლესიურ წმინდანებში მოხსენიებული გრიგოლ ხანძთელი. ასე მაგალითად „ქართლი ეკლესიის ისტორიის“ ავტორი - პლატონ იოსელიანი, 1853 წელს წერდა: „ჭეშმარიტად არა მაქვს წარმოდგენა, ვინ იყო ეს წმინდანი და როდის ცხოვრობდა. ჩვენ დრომდე ვერ მოაღწია „ცხოვრებამ“ იმ წმინდანისამ, რომლის ხსენებასაც დღესასწაულობს ქართული ეკლესია 5 ოქტომბერს“. (Преподобний Георгий Мерчуле – Труд и Поднижичество достойного жития святого и Блаженного Отца Нашего Григоля, Архимандрита, Строителя Хандзты и Шатверда, и с ним Повиновение Многих Отцов Блаженних, Пер. с Древнегрузинского Проточерея Иосифа Зетеишвили. CRITERIUM. Москва. 2008. გვ. 9, მამა იოსებ ზეტეიშვილის წინასიტყვაობიდან).

პავლე ინგოროყვას შეფასებით, გიორგი მერჩულეს თხზულების: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ წარმოჩენამ და მისმა შესწავლამ საქართველოს ისტორიის არაერთი საკითხის გაგება შეცვალა („გიორგი მერჩულე“). თავს ნებას მივცემთ, განვაცხადოთ, რომ საქართველოს ისტორიის ამგვარ საკითხთა შორის, სადღეისო გადასახედიდან, უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია საქართველოს ბაგრატიონთა დინასტიის ისტორიული ტიტულის, „დავითიანის“ შინაარსის გაგება, როგორც ოპიზის ცნობილ ბარელიეფშია მოცემული და ასახული.

რაც შეეხება თავად „თხზულების“ ეროვნულ-ლიტერატურულსა და ეროვნულ-ჰაგიოგრაფიულ სულისკვეთებას, ამას დიდი მოაზროვნისა და მწერლის გრიგოლ რობაქიძის სიტყვები ეყოფა დასახასიათებლად: „რომ შემეკითხონ, რომელ ნაწარმოებში უფრო ვგრძნობ ქართველობას, ვიტყვი: გიორგი მერჩულეს აღწერა-გადმოშლაში გრიგოლ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“ (წერილიდან: „ქართული გენია როკვით განფენილი“).

როგორც ავღნიშნეთ ოპიზის ბარელიეფი უფრო ადრე გამოქვეყნდა, ვიდრე გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, მაგრამ ესეც არ არის მთავარი: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ რომელიც „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-სთან ერთად ქართველი ერისთვის დაკარგული იყო მთელი ათასწლეულის მანძილზე, ეს ნიშნავს იმასაც, რომ ქართველი ერის ცნობიერებაში დაკარგული იყო ის შეგნება, რომელიც ამ ნაწარმოებებით იყო ასახული. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ წარმოდგენილი კლარჯეთის სავანე და მისი მსოფლმხედველობა არის იდეური საფუძველი ოპიზის ბარელიეფისა. „ქართლის ცხოვრებაში“ თავმოყრილ მემატიანეთა ხედვა ქართველ ბაგრატიონთა დავით წინასწარ-მეტყველისაგან გენეტიკური წარმო-მავლობისა, წარმოადგენს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აღწერილი დავითის სათნოებრივი შვილობის", „შვილად წოდებულობობის“ დასახიჩ-რებულ სახეობას.

ქართველი ისტორიკოსები ოპიზის ბარელიეფის შინაარსს, სამწუხაროდ,, განმარტავენ არა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაზე“ დაყრგნობით,

არამედ „ქართლის ცხოვრების“ მემატიანეებზე დაყრდნობით, რომლებსაც არ წაუკითხავთ გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და მხოლოდ ზეპირი გადმოცემით იციან ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველთან დაკავშირებულობის შესახებ. გიორგი მერჩულე კი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" წერს: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო, მეფობაი და სათნოებაი დაგიმტკიცოს-ო ქრისტემან“. მე ვფიქრობ, საკამათო არ არის, რომ „შვილად წოდებულობა“ არც „შვილობას“ ნიშნავს, არც „შთამომავლობას“ და მითუმეტეს არც სისხლით ნათესაობას და მეოცე საუკუნის ქართულმა მეცნიერებამ ერთი რამ დაასკვნა ნამდვილად, სწორად: რომ ბაგრატიონთა დავითიანობის იდეაში რაღაც თეორიული წანამძღვარი იყო ჩადებული, რაღაც თეორიას ექვემდებარებოდა. უბრალოდ ამ თეორიაში ჩაღრმავება საჭირო არ აღმოჩნდა, არანაირი გამოწვევა ამისთვის არ არსებობდა.

„ქართლის ცხორების“ მემატიანეთა საპირისპიროდ დავით აღმაშენებლის დიდი ისტორიული პიროვნება აღიმართება, აღიმართება ეროვნული მეობის ტრიუმფალურ განსახიერებად. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დავით აღმაშენებელი, როგორც საქართველოს მეფე სცვლის საქართველოს მეფის საპრეზენტაციო კომპოზიციას ოპიზის ბარელიეფისას, შექმნილს კლარჯეთის დიდი და სახელგანთქმული სავანის მსოფლმხედველობრივი წანამძღვრობით ქმნილს და სინას მთაზე, შესაწირავთან ერთად წარგზავნილ თავისი ვინაობის ამსახველ ხატში დავით წინასწარმეტყველის გამოსახულებას სცვლის წმინდა გიორგის გამოსახულებით. ამ ხატში სამპიროვნული კომპოზიცია ზუსტად იმავე დანიშნულების სამი გამოსახულებით არის წარმოდგენილი: იესო ქრისტე, წმინდა გიორგი, საქართველოს მეფე. ოპიზის ბარელიეფში კი: იესო ქრისტე, დავით წინასწარმეტყველი და აშოტ დიდი, საქართველოს მეფე.

როგორც ჩანს ახალგაზრდა დავით აღმაშენებელი თავისი სამოსით ბიზანტიის იმპერატორებს მიმსგავსებული ჯერ კიდევ კურაპალატობის ტიტულის მატარებელია. მოგვიანებით დავით აღმაშენებელი უარს იტყვის კურაპალატობაზე.

სინას მთის წმ. გორგის ხატის შესახებ საგანგებო გამოკვლევა ჩაუტარებია მკვლევარს დარეჯან კლდიაშვილს. რამხელა ბედნიერებაა, რომ სინას მთაზე შემონახულია თავად დავით აღმაშენებლის ხელით დაწერილი ანდერძი, მხედრული ხელით: „ქ., მე, დავით, უნარჩევესმან მონამან ყოველთა მონათა ქრისტესთამან, განვგზავნე წიგნი ესე მთას წმიდას სინას, ვინც იხმარებდეთ, ლოცვა ყავთ ჩემთუინ" (დ. კლდიაშვილი, სინას მთის წმინდა გიორგის ხატი დავით აღმაშენებლის პორტრეტული გამოსახულებით, მრავალთავი XV, 1984, გვ. 127-128).

ქ-ნ დარეჯან კლდიაშვილს ეკუთვნის ბერძენი ხელოვნებათმცოდნის დოლა მურაკის მიერ 1980-იან წლებში გადაღებული სინას მთის წმ. გიორგის ხატის ქართული საქტიტურო წარწერის, ფოტოს და სლაიდის გაშიფრვა: „ქართულ საქტიტურო ტექსტში გარკვევით იკითხება მეფის დაქარაგმებული სახელის პირველი ასო დ, ისევე როგორც ბერძნულში, რომელიც ქარაგმის გახსნის შემდგომ, თანმხლები ტიტულატორის მიხედვით, სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა დავით IV აღმაშენებელი“ - წერს ქ-ნი დარეჯან კლდიაშვილი („სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე. გვ.55).

აღნიშნული ხატი მსოფლიო მეცნიერების ყურადღების არეშია მოხვედრილი. ვისაც არ უნდა დაეხატა ეს ხატი, რომელიც სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერშია დაცული და 1104 წელის ახლო ხანებში შესრულებულად იშიფრება, არის ასახვა დავით აღმაშენებლის არა მხოლოდ ფიზიკური წარმოსახვისა, არამედ მთელი მისი სულიერი მწარმსისა და მენტალიტეტის, დაკავშირებულის, პირველ რიგში,

ქრისტესთან და აქედან გამომდინარედ წმ. გიორგისთან.

დავით აღმაშენებელის მიერ სინას მთაზე წმ. გიორგის ეკლესიის აგებისა და დავით აღმაშენებლის მიერ შესაწირავი წიგნების წარგზავნის ფაქტს ქართველი მემატიანეც ადასტურებს. („ქართლის ცხოვრება": ტ. 1, 1955, გვ. 352-353).

„ხატზე შემორჩენილი სიტყვებიდან ჩანს, რომ გამოსახული იყო ვედრება ქრისტეს მიმართ“ - წერს სინას მთის სავანეებისა და საქართველოს ისტორიული ურთერთობების მკვლევარი ქ-ნი თამარ მესხი. „- ორი ფიგურა - წმ. გიორგი და მეფე გამოსახული არიან ფეხზე მდგომნი, მათ შორის, უფრო მაღლა მოჩანს მრგვალ წრეში ჩახატული ქრისტე, რომელსაც პირი წმ. გიორგისკენ კი აქვს მიბრუნებული, მაგრამ ხელს მეფისაკენ იწვდის ნიშნად იმისა, რომ მეფის ლოცვას შეისმენს“ (თამარ მესხი, „სინა და საქართველო“. ლოგოსი, 2013 წ. გვ. 208-209).

მართალია, სინას მთის წმ. გიორგის ხატის კომპოზიციაში დავით აღმაშენებლის, საქართველოს მეფის წარმოდგენა სრულიად გამართლებულია ამგვარი კომპოზიციით - წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის აშენებასთან კავშირი დავით აღმაშენებლის მიერ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ არც მისი ხელით დაწერილ ანდერძში და არც ხატში, რომელიც საქართველოს მეფის ერთგვარი სავიზიტო ხატია, წარგზავნილი სინას მთაზე, დავით წინასწარმეტყველის ჭაჭანება არ არის. არადა, სად, თუ არა სინას მთაზე უნდა მოეწონებინა თავი საქართველოს მეფეს თავისი დავითიანობით!

და არ შეიძლება აქ, დავით აღმაშენებლის პოზიციისთვის, არ გავიხსენოთ მისი „გალობანი სინანულისა“, რომელშიაც დავით აღმაშენებელი გვაუწყებს როგორც თავისი სიჭაბუკის ცოდვას: „ისრაელისა მეფეთა ვჰბაძევდ, გარნა ურჯულოთა... (და) „ვაცოდვე ერი ჩემი, ვითარცა მეფეთა მათ - ისრაელი“.

ყოველივე ზემოთქმულის შემდგომ, 21-ე საუკუნის ქართულ-ეკლესიური ხატი ორი დავითისა: ებრაელთა მეფისა და საქართველოს მეფის, დავით აღმაშენებლისა, ერთ ჩარჩოში, რბილად რომ ვთქვათ, დღეისთვის, მეტისმეტად ამოვარდნილია საქართველოს, როგორც ქვეყნისა და ქართველი ხალხის განწყობიდან.

საქართველოს მეფეთა ისტორიაში ისეთი მნიშვნელოვანი ბარელიეფის კონტექსტში კი, როგორიც ოპიზის ბარელიეფია, გამოსახულებით, ერთგვარად, გაურკვეველ შთაბეჭდილებას ტოვებს, როგორც კომპოზიცია. რატომ არიან ისინი მომწყვდეული ერთ ჩარჩოში, თუ ეს ახალი ხატი ორი დავითისა არც შემდგარა, იგი განგრძობაა ოპიზის ბარელიეფისა, მაშინ მთავარი ფიგურა - იესო ქრისტე რატომ არის გამქრალი მათ შორის. თუ აშოტ დიდს, საქართველოს მეფეს მე-9 საუკუნეში ოპიზის ბარელიეფის მიხედვით დავით წინასწარმეტყველთან აკავშირებდა იესო ქრისტე და ამის გამო, იგი, იესო ქრისტე ბარელიეფურ კომპოზიციაში აშოტ დიდსა და დავით წინასწარმეტყველს შორის იყო წარმოდგენილი, რითაც იესო ქრისტე ამავდროულად იკითხებოდა ცენტრალურ ფიგურადაც, 21-ე საუკუნის ხატში, რომელიც სრულიად საქართველოს ახალგაზრდული მოძრაობის „დავითიანი“-ს „მფარველ ხატად" არის წარმოდგენილი, რატომ აღარ სჭირდებათ ქრისტე, ან ხატმწერს, ან ხატის მაკურთხებელს? და რატომ დაიწერა იგი ქრისტეს შუამდგომლობის გარეშე ?

ეს აღარსაჭიროება ქრისტეს შუამდგომლობისა, გამოსული ორი მეფის, საქართველოს მეფის - დავით აღმაშენებლისა და ისრაელის მეფის - დავით წინასწარმეტყველის ქრისტესგან დაობლებულ მეტყველებაში, ვფიქრობთ, ჭარბად მადასტურებელია იმისა, რომ საქართველოს „მფარველი ხატის“ ამჯერად დაწერილ კომპოზიციაში უარყოფილია აუცილებლობა

ქრისტეს შუამავლობისა და საკმარისადაა მიჩნეულია დავით წინასწარმეტყველი თავისთავად და თვითმყოფად. 21-ე საუკუნის თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გათვალისწინების ფონზე, როდესაც მსოფლიოს ებრაელობა საქართველოს დედაქალაქის დიდ საკონცერტო დარბაზში ზეიმით იხდის მსოფლიო ებრაელობის პოსტსაბჭოთა სივრცეში ოფიციალური შემოსვლის საიუბილეო დღესასწაულს, ძნელი აღარ არის ორი დავითის ხატში პოლიტიკური ინტერესის ამოკითხვა და პოლიტიკურ ხატად მისი აღქმა.

ამგვარი განცხადების შემდეგ კი, მკითხველის წინაშე ერთგვარ პასუხისმგებლობას ვგრძნობ უარვყო ჩემი საკუთარი დუმილი და ჩემი მხრიდანაც ვაუწყო მას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ ქართველი ხალხისთვის საჩუქრად გამოცემული პატარა წიგნაკი: „დავითის გვირგვინი“, გამოცემული, როგორც ქართველ ებრაელთა ლეგენდაზე დამყარებული აკაკი წერეთლის თხზულება, გამოცემული აკაკი წერეთლის კალიგრაფიული ხელნაწერითურთ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის, ბატონ ალექსანდრე კვიტაშვილის წინასიტყვაობით, რომელსაც წინასიტყვაობის ავტორი ასე ამთავრებს: „დავითი არა მარტო „ერეც ისრაელი“, არამედ, ივერია, საქართველოს აღორძინების სიმბოლო, მისი იმედი იყო. ასეთი გმირები, რომლებიც თავისუფლებას მოუტანდნენ დამონებულ ქვეყანას, ესაჭიროებოდა ქართველებსაც". აკაკი წერეთლის თხზულების ამგვარ წინასიტყვაობას მხოლოდ 21-ე საუკუნის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ალექსანდრე კვიტაშვილი თუ დაწერდა, სამწუხაროდ და მე-18 საუკუნის ამგვარ საქართველოს დროშას პროფესორი ლერნერი თუ იპოვიდა, სხვა ალბათ ვერავინ! თანაც მოქარგულს. გამოცემას ერთვის, ისრაელის მოქალაქის, პროფესორ ლერნერის მოძიებული მე-18 საუკუნის საქართველოს დროშა, რომელიც ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობის ფონდში ყოფილა დაცული.

ამჯერად, საქართველოს დროშაზე (?) ტახტოსნად დაბრძანებული დავით წინასწარმეტყველია მხოლოდ წარმოდგენილი საქართველოში მოღვაწე პროფესორ ლერნერის მიერ, ამასთან განმარტოებული და ერთადერთი, საქართველოს მეფისა და ქრისტეს გარეშე (იხ. „დავითის გვირგვინი“, თსუ 2013 წელი).

ასეთი გახლავთ თავგადასავალი

საქართველოს ბაგრატიონთა ყოვლად ამაღლებული სამეფო ტიტულის: „დავითიანისა“.

ფიქრები ამ თავგადასავალზე კი, მკითხველისთვის მოგვინდია.

დენიზა სუმბაძე

მხედრულის მთავრული

საკითხი ეხება ქართულ დამწერლობაში მხედრული მთავრულის ასახვას!

მოგეხსენებათ, ინტერნეტ სივრცეში, ,,უნიკოდში", დამწერლობების გლობალურ ბაზაში - დღესდღეისობით ასახულია ორი ხუცური დამწერლობა (ასომთავრული და ნუსხა ხუცური) და მხედრული . . . არაა ასახული მხედრულის მთავრული და როდესაც გვინდა მთავრულად მიწერა, ამ დროს ვერ დავინახავთ მხედრულს მთავრულით, არამედ დავინახავ ხუცურს ასომთავრულით . . .

მხედრულის მთავრულისთვის ბრძოლა წამოიწყო ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ და იმ დროს იგი საკმაოდ ფართოდ გამოიყენებოდა . . .

1960-იანებში კი ეს საკითხი წამოჭრეს გამოჩენილმა მწერლმა, აკადემიკოსმა, კონსტანტინე გამსახურდიამ (გაზ. „კომუნისტის" 1961 წ. 1 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა სტატია — „მარადიული საუნჯე") და მისმა მეგობრებმა, მათ შორის აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა (აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი, ,,დღიურები და მოგონებები", 2015 წელი, ასევე, ,,ქართული შრიფტის გაუმჯობესებისათვის" აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი, ქართული სტამბის წიგნი 1629-1979, საქართველოსა და ამიერკავკასი-ის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. მონოგრაფიები, ტომი მეშვიდე, თბილისი, ,,მეცნიერება", 1984, გვ. 773-781).

არამარტო წარმოდგენილ წყაროებში, ავტორები ეხებიან თანამედროვე ქართული ეროვნული კულტურის უაღრესად აქტუალურ, ჩვენ ვიტყოდით, ერთ-ერთ, დიდმნიშვნელოვან პრობლემას, სახელდობრ, ქართული შრიფტის შემდგომი აუცილებელი გაუმჯობესებისათეის, მხედრული მთავრულის შემოღების საკითხს.

თანამედროვე ინტერნეტ სივრცეში და პოლიგრაფიულ მრეწველობაშიც, დღესაც გამოიყენება ფრიად დიფერენციული შრიფტი სხვადასხვა დანიშნულების ტექსტისათვის: საგაზეთო, საჟურნალო, საბავშვო, საშუალო სკოლების სახელმძღვანელოების, მხატვრული და მეცნიერული (თავის შიგნით კიდევ გრადაციებიანი – პოლიტიკური, ტექნიკური, მასობრივი, სპეციალური) ლიტერატურისათვის, რეკლამა-აფიშებისა და ა. შ.

თითოეულ მათგანში კიდევ იხმარება სხვადასხვა ზომის (,,კეგლის") შრიფტი, როგორც ტექსტისა და კურსივის ასაწყობად, ასევე მთავრული ანბანების გარნიტურთა სახით, რომ არა ვთქვათ რა აქციდენციური შრიფტისა და სხვა სასტამბო მასალის შესახებ. ინტერნეტ სივრცე და პოლიგრაფია თანამედროვე მრეწველობის ისეთი დარგებია, სადაც, ცნობილი მიზეზების გამო, მალე ინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის შესაბამისი მიღწევები. წარმოების ავტომატიზაცია, მექანიზაცია (ლინოტიპი, მონოტიპი, ფოტოამწყობი) გავლენას ახდენენ უწინარეს ანბანის (შრიფტის) გრაფემაზე (მოხაზულობაზე, ჩონჩხზე), მეტ-ნაკლები ზომით თვით წერისა და ლიტერატურული ენის, სტილის, ფრაზეოლოგიის, საერთოდ მეტყველების ეკონომიურობისა და მობილურობის განვითარებაზე.

ინტერნეტ სივრცესა და პოლიგრაფიაში, საერთოდ ლიტერატურულ და მეცნიერულ მუშაობაში ელექტრონის ,,გონიერი" მანქანების შეჭრა, კერძოდ, მთარგმნელობის ლექსიკური მასალის გამოვლენის, აღრიცხვისა და კონტროლის ინტერესები მოითხოვენ, რათა ყოველი სიტყვა (ტერმინი) ფუძის ანბანით იწყებოდეს, რასაც შეუძლია მეტ-ნაკლები ზომით თავსართების ,,გაქრობა" და შესაბამისად, იქნებ, ბოლოსართთა განვითარება გამოიწვიოს.

მაგრამ ბეჭდვით სიტყვაში ეკონომიურობას კარნახობს არა მხოლოდ მრეწველობის, არამედ თვით მკითხველთა ინტერესები. თანამედროვე მკითხველისათვის აუცილებელია, ასე ვთქვათ, ლაპიდარული წერა, ლაკონიური მეტყველება, ადვილად გასარჩევი და წასაკითხი შრიფტი, დროისა და ადგილის ეკონომია, რადგან მან განუზომლად უფრო მეტი უნდა წაიკითხოს, ვიდრე თუნდაც ორიოდე ათეული წლის წინანდელმა მკითხველმა.

ასომთავრული, ამ ტერმინის დღევანდელი გაგებით ეწოდება მოცულობით უფრო დიდ, მუქ ასოს, რომლითაც იწყება ყოველი საკუთარი და გეოგრაფიული სახელი, წერტილის შემდეგ წინადადება (ფრაზა), აიწყობა თხზულებათა და მისი ცალკე თავების სახელწოდება (ტიტულები) და სხვა, ესაა სათაურისა და ტიტულის ასოები.

ქართულ მხედრულ ანბანში ასომთავრული არ განვითარებულა. წინათ, როდესაც ასომთავრული საჭიროდ მიაჩნდათ, მხედრულში ხუცურ მთავრულს იყენებდნენ.

მხედრულ ანბანში მთავრულის შემუშავების ცდები, როგორც აკად. ივ.ჯავახიშვილს აქვს აღნიშნული, იწყება მე-18 ს. დამდეგიდან. ნიკოლოზ ტფილელი 1728 წ. წერდა: „მხედრული ასომთავრული ძველთაგან არ ყოფილარს, აწ მე გავაკეთე", „ჩემი მოგონილია".

მე-19 ს. მეორე ნახევრიდან ქართულ სტამბებში მეტ-ნაკლები ზომით გავრცელდა მთავრული შრიფტის სახით ტექსტში დიდი და მუქი მხედრული ასოების ხმარება.

1865 წ. გამოცემულ ი. გოგებაშვილის „ქართული ანბანის" და შემდეგ 1866 წლიდან გაზ. „დროების" (რედაქტორი გ. წერეთელი, გამომცემელი სტ.მელიქიშვილი) სტატიების ტექსტში გზა გაეხსნა მიხ. ყიფიანის მიერ შემუშავებულ მთავრულ ასოებს.

საინტერესოა, თუ როგორ ასაბუთებდა ამ თავის ინიციატივას გაზ. „დროების" რედაქცია: „უასომთავრულოდ კაცი საკუთარს სახელს ძნელად გამოიცნობს ხოლმე, ასე რომ ხშირად შეუნიშნავად რჩებიან უცხო ქვეყნების კაცების სახელები. ამასთანავე, ყოველი აზრი კითხვაში უფრო მკაფიოდ და ნათლად იხედება, რადგან ის ყოველთვის ასომთავრულით იწყება ხოლმე. ასომთავრულის შემოღებით აგრეთვე თვითონ ქართული შრიფტიცა და სტამბაც მრავალგვარდება და მშვენიერდება... როდესაც მკითხველებს ასომთავრულზე თვალი გაუტყდებათ, მაშინ ისინი ღირსებად ჩასთვლიან ნაკლულოვანებას, რომელსაც პირველად ხედავენ" („დროება", 1867 წ. № 1,2).

მთავრულის ტექსტში ხმარების – სატექსტო მთავრულის გამოყენების — შემდგომ სპორადულ ცდებზე ჩვენ აქ არ შევჩერდებით. საბოლოოდ, როგორც ცნობილია, ამ მხრივ, სამწუხაროდ, მთავრული ასოების ხმარება ჩვენს ბეჭდვით სიტყვაში არ დამკვიდრდა.

ამის უმთავრესი მიზეზი, ცხადია, ისაა, რომ არსებული ქართული მთავრული შრიფტი თავისი გრაფემისა და ზომის მხრივ, თვალის ჰიგიენის, მხატვრული და სხვა თვალსაზრისით ღრმა მეცნიერულად შესწავლილი და შემუშავებული არ ყოფილა.

ეს კი მნიშვნელოვან ხარჯებსა და კვალიფიციურ კადრებს მოითხოვდა. ასეთი საქმის შესრულება არც საბჭოთამდელ და არც საბჭოთა ქართულ ბეჭდვით სიტყვას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო. თანაც ზოგიერთები ფიქრობდნენ, რომ მთავრულის თანმიმდევრული გატარება, გარდა იმისა, რომ გააძვირებდა პოლიგრაფიის პროდუქციას, გააძნელებდა ქართულის შესწავლას, „აჭრელებდა" ტექსტს და სხვა.

ასეთ პირობებში არსებული მთავრული გაბატონდა უმთავრესად როგორც სატიტულო შრიფტი. ამგვარად, მხედრულის სრულყოფილი სატექსტო მთავრული, მიუხედავად მისი უდიდესი მნიშვნელობისა და საჭიროებისა, არსებითად დღემდე არ მოგვეპოვება.

შრიფტის მეურნეობის, პოლიგრაფიული მრეწველობის ყოველ მხრივი შესწავლის შედეგად დღეს საყოველთაოდ აღიარებულია სატექსტო მთავრული ასოების თანამიმდევრული გატარების აუცილებლობა, როგორც ეს მიღებულია მსოფლიოს სხვადასხვა განვითარებულ შრიფტებში.

დღეს, ცხადია, არავინ დაობს იმ დიდ უპირატესობათა შესახებ, რაც გააჩნია მთავრულს არა მხოლოდ თვალის ჰიგიენის, გეოგრაფიულდა საკუთარ სახელთა გამოყოფის, ტექსტის მონოტონურობის დაძლევის, წაკითხულის აღქმის გაადვილებისა და სხვა მხრივ, არამედ ფრიად მნიშვნელოვანი ზომით ტექსტში ეკონომიურობის გაძლიერების თვალსაზრისითაც.

ქართულ მხედრულში მთავრულის შემოღების დამაბრკოლებელ მიზეზად თვლიდნენ იმასაც, რომ მთავრული (დიდი მოხაზულობის) ასოების გამოყენებას შეეძლო გამოეწვია ტექსტის გადიდება, ე. ი. ქაღალდის მეტი სივრცული ხარჯვა და, მაშასადამე, პროდუქციის გაძვირება.

უნდა ითქვას, რომ ეს შეხედულება მაშინდელ პირობებშიც უსაფუძვლო იყო, რამდენადაც ქართულ მხედრულ შრიფტში ე. წ. გრძელი ასოების სიხშირე თავისთავადაც, ე. ი. მთავრულის გარეშეც, შესაბამის პროპორციას ამყარებდა სტრიქონთა შორის.

დღევანდელ ვითარებაში, როდესაც, როგორც წესი, თითქმის ყოველგვარ ტექსტში გატარებულია დიდძალი აბრევიატურა, მთავრულ ასოებს ამ სახით მნიშვნელოვანი ეკონომია შეაქვთ პოლიგრაფიაში.

ამგვარად, სწორედ ის მომენტი, რაც ოდესღაც განვრცობილობის გამომწვევ მიზეზად წარმოედგინათ, დღეს ეკონომიურობის მომასწავებელიც ხდება.

სატექსტო მთავრულის უქონლობითაც ასაბუთებენ ზოგიერთები ჩვენს რედაქციაში აბრევიატურების გამოუყენებლობას.

ვფიქრობთ, მთავრულის შემოღება მნიშვნელოვნად გააადვილებს ანაწყობის დაკაბადონებასაც, ე. ი. ხელს შეუწყობს თვით პოლიგრაფიული წარმოების ტექნოლოგიურ პროცესს, მაშასადამე, პროდუქციის გაუმჯობესებას, შრომის მწარმოებლურობის გადიდებას.

ისიც უნდა ითქვას, რომ თუ არა ინტერნეტ სივრცეს, ჩვენს პოლიგრაფიასაც და, იქნებ, უფრო მეტად, მთარგმნელობით ხელოვნებაში და ზოგიერთ რედაქციაში ფესვგადგმული რუტინა, ვფიქრობთ, არსებული მთავრულის ტექსტში, მაგალითად, აბრევიატურებისათვის ფართოდ გამოყენება არცთუ დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

სატექსტო მთავრულით ქართული შრიფტის გამდიდრებასთან ერთად უნდა შემუშავდეს კურსივის შრიფტიც (Italic – BPG) - დიდი და პატარა კეგელებისა, ფერთა (მკრთალი, მკვეთრი, თეთრი, მუქი) საჭირო გრადაციებით, თვალის ჰიგიენისა და პოლიგრაფიული ეკონომიურობის გათვალისწინებით. მაგრამ ქართული შრიფტის ნაკლოვანება მარტოოდენ სატექსტო მთავრულისა და კურსივის შეუმუშავებლობაში როდი გამოიხატება.

მართალია, მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს, კერძოდ, შრიფტის მეურნეობაშიც, მაგრამ ქართული შრიფტი დღევანდელ ეტაპზე მეტ ყურადღებას მოითხოვს და დღესაც უდაოა, რომ სხვადასხვა ეროვნული და უცხოური წარმოშობის გაეროვნულებული ანბანის პრობლემის შესწავლისა და უახლესი ტექნიკური მიღწევების შესაბამისი შრიფტების შექმნის საკითხზე უნდა მუშაობდნენ სპეციალური ინსტიტუტები. ჩვენი შრიფტებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის განვითარების ინტერესები დღესაც აქტუალურია და მოითხოვს, რომ ქართული შრიფტი თავისებური გრაფიკული ნიშანდობლიობის შესაბამისად უნდა იყოს ადვილად საკითხავი და ეკონომიური მოხაზულობის სხვადასხვა კეგელებით.

ისიც უნდა ითქვას, რომ შრიფტების სრულყოფისათვის, დღესაც მეტის გაკეთებაა საჭირო, რამდენადაც აშკარად არასაკმარისია ძალისხმევა ქართული შრიფტის საქმის ჯეროვან დონეზე ამაღლებისათვის.

ინტერნეტ სივრცე, ბეჭდვითი სიტყვა, სტამბური შრიფტი, პოლიგრაფია თანამედროვე ცივილიზაციის მიღწევათა გაზიარების ყველაზე სრულქმნილი და უნივერსალური საშუალებაა. ამიტომაც გასაგებია, რომ ქართული ეროვნული კულტურის განვითარების ინტერესები მოითხოვენ ამ საქმისადმი შეუნელებელ ყურადღებას. ჩამორჩენას ამ სფეროში გამოუსწორებელი ზიანის მოტანა შეუძლია.

აუცილებელია ქართული შრიფტის შესწავლისა და გაუმჯობესების საკითხი თანამედროვე მსოფლიოს უახლეს მიღწევათა დონეზე ამაღლდეს, საქმე ისე წარიმართოს, რომ ქართული ლინოტიპური, მონოტიპური და საერთოდ ბეჭვდითი და სტამბური შრიფტი გრადაციებისა და ეკონომიურობის მხრივ სხვა მაღალგანვითარებულ შრიფტებს არ ჩამორჩებოდეს, რათა, დროულად მოხდეს საწერი (საინტერნეტო სივრცის) გაუმჯობესებული შრიფტის შემუშავება, რაც აგრეთვე გადაუდებელ და დიდმნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, თავისთავად, ქართული მხედრული ანბანი ცივილიზებულ მსოფლიოში დღეს მომქმედ ანბანთა შორის უდავოდ უაღრესად სრულყოფილია. მრავალ ფრიად გავრცელებული ალფაბეტისაგან, მაგალითად, ლათინურისაგან განსხვავებით ქართულში ყოველ ბგერას, ხმოვანს, თუ თანხმოვანს, ზუსტად შეესაბამება ერთი ასო. თანაც ყოველი ასო სხვებთან ყველა შესაძლებელ შეთანაწყობაში ყოველთვის ერთნაირად ჟღერს (გამოითქმის).

ამგვარად, მისი გამომთქმელობითობა ნამდვილად უებროა.

რა თქმა უნდა, ვერ გავიზიარებთ საუკუნეთა განმავლობაში დახვეწილი თანამედროვე ქართული მხედრული ანბანის – ქართული გენიის უდიდებულესი და უმშვენიერესი ქმნილების – მოხაზულობათა შეცვლის, ე. ი. მრგვლოვანის კუთხოვნად გადაკეთებისა და ამ მხრივ ქართულ ნუსხა-ხუცურთან, ანდა კიდევ ლათინურთან მიახლოვების იდეას, მაგრამ მხოლოდ მისასალმებელია ჩვენი გრაფიკოსების ცდა ქართული შრიფტის ეკონომიურობის გაზრდის მიზნით, მაგალითად, ლასი, ზენი და დონი მათი გრაფემის დაურღვევლად თანამედროვე პოლიგრაფიის სტანდარტულ „ოთახში" მოათავსონ. ამ მხრივ მისაბაძი მაგალითები უწინარეს თვით ქართული ანბანის მრავალსაუკუნოვანი ევოლუციის საფეხურებზე უნდა დაიძებნოს, ცხადია, საერთოდ სტამბური

შრიფტის ყველაზე მოწინავე გამოცდილებათა გაზიარებით.

ვფიქრობთ, დროულიცაა, რათა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ქართული შრიფტის, ამ უადრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხის, ყოველმხრივ შესწავლისა და, მაშასადამე, უახლეს მიღწევათა შესაბამისად მისი გამდიდრების, გამრავალფეროვნებისა და საერთოდ გაუმჯობესებისათვის.

ასევე, უმთავრესია - მხედრული მთავრულის ასახვა საჭიროდ ჩაითვალოს „უნიკოდ"-ის ბაზაში! მართალია, მხედრულის მთავრული უკვე ასახულია უაღრესად გავრცელებულ ფონტების დასტაში "DejaVU" — PUA (Private Use Area) ზონაში და ამით პირველი ნაბიჯია გადადგმული მხედრულის მთავრულის Unicode სტანდარტში ასახვისთვის (https://bpgfonts.wordpress.com/2013/10/09/dejavu_2-34/), მაგრამ მხედრული მთავრულის სრულყოფისათვის დასახვეწი და გასავითარებელი კვლავ ბევრია, რამეთუ, უნიკოდში მთავრულის ასახვის ასპექტების განხილვისას და ამაზე მსჯელობისას, გასათვალისწინებელია უნიკოდში მთავრულის ასახვა, იმ დანაკარგის ანაზღაურებაა, რომელიც ქართულმა დამწერლობამ 1200 წლოვანი მუსლიმური სახელმწიფოებრივი, ცივილიზაციური და კულტურული ოკუპაციისას განიცადა, როდესაც დავიწყებას მიეცა ბიკამერული დამწერლობის უძველესი ქართული ტრადიცია და „მხედრული" დამწერლობა არაბული დამწერლობის, კალიგრაფიის ზეგავლენით, უნიკამერულ დამწერლობად ჩამოყალიბდა . . .

კიდევ ერთხელ, უდაოდ აღსანიშნავია:

- დროა ქართულმა დამწერლობამ თავი იხსნას არაბულ-სპარსული ზეგავლენებისგან და ევროპული დამწერლობების ტრადიციებს ეზიაროს . . .

- დროა იზეიმოს ქართული ინტელექტუალური ელიტის ამ ორ საუკუნოვანმა მისწრაფებამ . . .

ზოგადად, ამჟამად, მხედრულის მთავრული აქტიური არქიტექტონიკული განვითარების სტადიაშია. პატარა საქართველოში წლიურად რამდენიმე მხედრული ფონტი იქმნება რომელთაც ამ ფონტის საკუთარი მთავრული გააჩნია. მას მედია (გაზეთები, ჟურნალები, ტელევიზია) სულ უფრო ფართოდ იყენებს მხედრულის მთავრულს (მათ შორის პრივატულ კორპორატიულ ფონტებშიც, რაც სულ ახალი მოვლენაა საქართველოსთვის) და ამდენად დიზაინერებისთვის ამ სარბიელზე საკმაო სამუშაო გაჩნდა, რათა მხედრულ ფონტს საკუთარი, განუმეორებელი, სპეციფიკური და განსხვავებული მთავრულის არქიტექტურა შეექმნას: ერთი მხრივ მხედრულისგან განსხვავებული, მაგრამ და ამავე დროს სწორედ ამ კონკრეტული მხედრული ფონტის შესაბამისი (მისი საკუთარი)... ეს, რა თქმა უნდა შემოქმედებითი სამუშაოა — ნიჭია გამოსავლენი...

მთავრულს, იმის გარდა, რომ ხაზის სისქე უფრო სქელი სჭირდება და „თვალი" შესამჩნევად მაღალი და დიდი უნდა ჰქონდეს — Baseline-იც უნდა (სასურველია) ოდნავ, ზომიერად ჩამოცდეს მხედრულისას და სასურველია Caps height – მხედრულის Ascender-ზე ოდნავ მაღალი იყოს (ლათინურში ტრადიციული და პირიქითი განსხვავებაა რიგითი ასოებისა და მთავრულების სიმაღლეში — მთავრულები უფრო დაბალია).

საკითხი სახელმწიფოებრივად მასშტაბურია და ეს არა მხოლოდ პოლიგრაფიის მუშაკთა და გრაფიკოსთა, არამედ სამხატვრო აკადემიის, მხატვართა კავშირის, ჟურნალისტთა კავშირის, მწერალთა კავშირის, მეცნიერებათა აკადემიის საქმე, ეს საერთოდ მთელი ქართული კულტურის, ცივილიზაციის გადაუდებელი და, მაშასადამე, საზრუნავი პრობლემაა.

ნუკრი ბაღდავაძე

გარდაიცვალა ბატონი თენგიზ კიკაჩეიშვილი

„მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი... ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს, მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი"

/კ. გამსახურდია/

მისი სვეტიცხოველი მაშინ აღიმართა, როდესაც სამშობლოსთვის გულან-თებული, გამოარჩია უფალმა ხუთ მილიონ ქართველს შორის, ტვირთი უბოძა და ეროვნულ აღმართს შეუყენა.

ეს სვეტიცხოველი 78 წელი შენდებოდა, იგებოდა და დუღაბდებოდა რუდუნებით, წუხილით, სიხარულით, შრომით, ფიქრით, დარდით, შვებით, კალმით და სიტყვით. მის გვერდით იდგნენ თანამოაზრენი, მეგობრები, კოლეგები, სტუდენტები, ისინი, ვისთვისაც ბატონი თენგიზი იყო საზომი კაცობისა, მამულიშვილობისა, ეტალონი ძმობისა, გონისა და ქართველობისა.

მისი სახელი 1939 წლიდან იწერებოდა. იწერებოდა და იკითხებოდა 100-მდე სამეცნიერო ნაშრომსა და პუბლიკაციაში, მონოგრაფიებსა და კრებულებში, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე, აუდიტორიებსა და სტუდენტურ შეკრებებზე. ის გამორჩეულად, სულ სხვანაირად უყვარდათ და ეყვარებათ, რადგან პროფესორი მხოლოდ ლიტერატურის სიყვარულს კი არა, აზროვნებას, ცხოვრებას და ქართველობას ასწავლიდა. ასწავლიდა გულანთებულად, თავადვე გულანთებული. ბატონი თენგიზი ასევე გახლდათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უაქტიურესი ლიდერი, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" თავმჯდომარე და პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანება ,,მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" თავმჯდომარე.

ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს, შენი სახელი კი, დიდებულო ადამიანო, მუდამ დარჩება ჩვენი გულის ფიცარზე ამოტვიფრულ სიტყვად, რომელსაც სამყაროს შეცვლა შეუძლია. დაუზარებლად გამოწვდილ მარჯვენად, რომელსაც წყურვილისაგან მომაკვდავის გადარჩენა შეუძლია. საიმედო საყრდენად, რომელსაც უფსკრულის პირას მყოფის ამქვეყნად მობრუნება შეუძლია.

ღმერთმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი სასიქადულო მამულიშვილს, უდიდეს ადამიანს - ბატონ თენგიზ კიკაჩეიშვილს . . . იქ, სადაც მართალნი განისვენებენ! იქ სადაც მასსავით ალალმართალი ქართველები გვგულება და გველოდებიან . . . .

მარინე მაღრაძე

დაიბადა ქალაქ თბილისში, 1953 წელს. დაამთავრა სამედიცინო ტექნიკუმი. შექმნა ოჯახი. მუშაობდა, ერთგულად, თავდადებით და ემსახურებოდა ხალხს. ასეთივე ერთგულებითა და თავდავდადებით შეუერთდა 80-იანი წლების ბოლოს აგორებულ ეროვნული მოძრაობის ტალღას.

1992 წელს, სწორედ მაშინ, როდესაც კანონიერი ხელისუფლების მომხრეები სასტიკად იდევნებოდნენ პუტჩისტების მიერ, გაწევრიანდა „საქართველოს ჰელსინკის კავშირში". აქტიურად მონაწილეობდა იმ პერიოდის ყველა მიტინგსა, თუ აქციაში, რის გამოც დაითხოვეს სამსახურიდან.

. . . და მაინც არასოდეს გადაუხვევია ერთხელ არჩეული გზიდან.

გარდაიცვალა 2010 წელს.

გურამ ოქროცვარიძე

გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას პირადი მძღოლი და ერთგული თანამებრძოლი, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" აქტიური წევრი ბატონი გურამ ოქროცვარიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" გამოხატავს ღრმა მწუხარებას, კავშირის გამორჩეული წევრის - ბატონი გურამ ოქროცვარიძის გარდა-ცვალებასთან დაკავშირებით და ამ უდიდეს ტკივილს თანავუგრძნობთ მის ოჯახს, ახლობლებსა და ნათესავებს!

ზვიად გამსახურდია

თერსიტეს გაცოცხლება

იგავი

აინშტაინის ფარდობითობის თეორიის განვითარების შედეგად ადამიანებმა ბოლოს და ბოლოს შექმნეს მრავალგზის ნაწინასწარმეტყველევი „დროის მანქანა", რომელმაც შესძლო გარდასულ ჟამთა ისტორიული პირების, აგრეთვე მხატვრულ ნაწარმოებთა გმირების გაცოცხლება.

ახალი აგრეგატი საკმაოდ კაპრიზული აღმოჩნდა. თავდაპირველად იგი არ ემორჩილებოდა თავის შემქმნელთა ნებას და თვითნებურად მოქმედებდა. ყველაზე პირველად მან გააცოცხლა ცნობილი ისტორიული პირი, ძველ საბერძნეთში მცხოვრები კუზიანი თერსიტე, აგამემნონის, აქილევსის, ოდისევსის თანამოლაშქრე ტროას ომში, რომელიც გამოირჩეოდა არა მარტო ფიზიკური, არამედ სულიერი სიმახინჯით და ღვარძლიანობითაც. შურით შეპ-ყრობილი გამუდმებით ლანძღავდა გმირებს, აქილევსს, ეანტს და სხვათა, რამეთუ თავად სულით ჯაბანი იყო და არ ხელეწიფებოდა მათგვართა საქმეთა ჩადენა. სწორედ, ამიტომ უთავაზა მას ოდისევსმა თავისი კვერთხი და ჩააჩუმა სამუდამოდ.

ასე რომ, ეს ვაჟბატონი გააცოცხლა დროის მანქანამ ყველაზე ადრე. თერსიტეს წარბიც არ შეუხრია ახალი ადამიანის დანახვაზე, მას ერთი წუთითაც არ ეუცხოვა ახალი გარემო და წამსვე განაგრძო ძველი საქმიანობა. მან მიმოათვალიერა გარშემო მყოფნი და დაუწყო ძებნა ყველაზე მეტად ღირსეულებს. მისი ლანძღვა-გინების და ცილისწამების პირველ ობიექტად იქცა თავად „დროის მანქანის" გენიოსი გამომგონებელი.

შემდეგ სხვა ნიჭიერ და ღირსეულ ადამიანებსაც მიადგა იგი. ბოლოს ისე მოაბეზრა ხალხს თავი, რომ მეცნიერებმა გადაწყვიტეს თერსიტეს „ანულირება", ანუ ისევ წარსულში გადაყვანა, მაგრამ ამაოდ. გამოირკვა, რომ მათ მანქანას შეეძლო მხოლოდ წარსულიდან გამოხმობა სავალალო აჩრდილებისა, მათი უკანვე ჩადენა კი წარსულში მას აღარ ხელეწიფებოდა. მაშინ თერისტემ თავად გაანდო მათ თავისი მდგრადობის საიდუმლო: „მე ზოგადადამიანური მოვლენა ვარ, ყველა დროისთვის დამახასიათებელი, ამიტომ თქვენ ვერასგზით ვერ მოახერხებთ ჩემს ლოკალიზებას მხოლოდ წარსულში. მე რომ შემთხვევითი, ან არატიპიური მოვლენა ვყოფილიყავი, მაშინ შესძლებდით ჩემს ანულირებას. ამჟამად კი მე უფრო შევძლებ თქვენს ანულირებას, ვინაიდან თქვენისთანები უფრო ეკუთვნიან წარსულს, ვიდრე ჩემისთანები. ამაოდ ზრუნავთ, ვინაიდან ჩემია აწმყო და რაც მთავარია, მომავალი".

ამის შემდეგ თერისტე თავისუფლად დაპარპაშებს და ცდილობს თავისი საკუთარი „დროის მანქანის" გამოგონებას, რომლითაც შესძლებს ყველა ღირსეული და პატიოსანი ადამიანის გადადენას წარსულში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ქართული ზღაპრის ,,ნაცარქექიას" შესახებ

(წიგნიდან: „აირჩიე, ქართველო ერო!" - ზვიად გამსახურდიას გამონათქვამები)

,,ნაცარქექია სიზარმაცისა და ბაქიაობის განსახიერება კი არ არის, როგორც ზოგიერთ კალმოსანს ჰგონია, არამედ ჭკუისა და მოხერხებისა . . .

ნაცარქექია ქართველი ოდისევსია, იგი ახერხებს ციკლოპის მოტყუებას და დამარცხებას. ოღონდ კარგი იქნებოდა, თუ მის შესახებ მსჯელობას განვავითარებთ და მასში მხოლოდ პოლიტიკურ მებრძოლს და დიპლომატს კი არ დავინახავთ, არამედ სულიერ პლანში მებრძოლს უნივერსალურ ბოროტებასთან. იგი მედიტატორია და მოაზროვნე, იგი ჭვრეტითი ნატურაა (ნაცარი აზრის სიმბოლოდ იშიფრება ყველა ზღაპარში). აქედანაა მისი გარეგანი პასიურობა. ამ თვალსაზრისით იგი ზეეროვნული სახეა, ზოგადსაკაცობრიო სახე . . . ალბათ, ამიტომაც დაუკავშირა მღვდელმა გრიგოლ ფერაძემ ნაცარქექია წმინდა გიორგის სახეს".

ქართული ენის საგალობელი

დასაბამით იყო სიტყვა, სიტყვა ღვთის და განგების,
და სინათლედ გადაშალა ცამ მზის ფარშავანგები.
და ვით ღმერთმა სიტყვით შექმნა ეს სამყარო ნისლიდან,
ისე იშვა საქართველოც ღვთიურ ქართულ სიტყვიდან.

ჩემო ენავ, გულის, გრძნობის და ლოგოსის ტრიადავ,
ენავ დავითიანთა და ენავ ქართლოსიანთა.
მოელვარევ სულისდგმად და მახვილად და იმედად,
დედა ენავ ხალიბთა და დედა ენავ იბერთა,

შენ შეჰკარი ქართულ მიწად ეს ქვეყანა ფრიადი,
სადაც ჟამის შეწირვად და ლოცვად აგანთიადდი.
და მზე, შენში ჩაკირული, ქართლს სინათლედ მოჰფინე,
ოქროპირად აგალობე იოანე-ზოსიმე.

გადაანთე ქართულ მიწას ფერი ნაირ-ნაირი.
შენი ფრთებით ააფრინე რუსთაველის შაირი.
ენავ, ჩემი მზის და გზის და ბედისწერის ტრიადავ,
ენავ ფარნავაზიანთა, ენავ ქართლოსიანთა,

წინ მიმიძღვი და მიფარავ ქართლის ჭირით ნაწამებს,
დაცემულსაც შენ აღმადგენ, როგორც ქრისტე - ლაზარეს.
მოელვარე სულისდგმად და მახვილად და იმედად,
დედაო და თავკიდურო, ფუძის ფუძევ იბერთა,

ზეობ ერის სულის სასოდ მეაბჯრედ და განგებად,
ერთი ხარ და საქართველოც ერთი არის ამქვეყნად!

ჯანსუღ კორძაია

ISSN 1987-7986 helsinkiunion@gmail.com

სარედაქციო კოლეგია: ნოდარ კიკნაძე (595353505), ნუკრი ბაღდავაძე, რატი გაგოშიძე,
თორნიკე ამაშუკელი, დავით კაპანაძე, მირიან მაღრაძე, მალხაზ მუსერიძე